DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Ramishvili, R. / რამიშვილი, რ. / Рамишвили, Р.
- Title: ივრის ხევის არქეოლოგიური ძეგლები ტომი III (ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში) / Археологические Памятники Иврского Ушелья том III
- Publication Date: 1979
- Publisher: Georgian National Academy of Sciences, GNM Archaeological Center
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_eeb4b914bb

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.

რამინ რამიშვილი

ქრონოსვილი გვიანრომაზულ ხანაში

* მეცნიერება *
1979

IVE
2762(3)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

რამინ რამიშვილი

ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები
III
ერწოს ველი გვიანარმაგულ ხანაში

19180



გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1979

902.6 (C41)
ББК 63.4 (2 Г)
902.6 (47.922)
р 214

ნაშრომი ეძღვნება ერწოს ველზე 1966-1969 წწ. აღმოჩენილი მასალების შესწავლა-გამოქვეყნებას. განხილულია ე. წ. გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარი და ვრცელ სამაროვანზე მოპოვებული სამარხეული კომპლექსები, რომელთა შორის საყურადღებოა მდიდრული ინვენტარის შემცველი სამარხები.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მასალის ზოგად დახასიათებაზე და სამარხეულ მასალებზე დაყრდნობით განხილულია იმდროინდელი კახეთის კავშირ-ურთიერთობანი მეზობელ ქვეყნებთან ე. წ. გვიანანტიკური ხანის დასასრულისათვის.

М 10602 / М 607 (06)—79 254—79

© გამომცემლობა „მეცნიერება“

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო გ ა

1962 წელს სიონის წყალსაცავის არეში და, საერთოდ, „ჟალეთის ქვეყანაში“ წარმოებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ თვალნათლივ გვიჩვენა ივრის ხეობის შუა და ზემო ნაწილში არქეოლოგიურ სამუშაოთა გაფართოების აუცილებლობა.

რამდენიმე დაგვიანებული მაშველი არქეოლოგიური სამუშაოების დროს სიონის წყალსაცავის ტერიტორიაზე შესწავლილი ძეგლები (სიონის ბაზილიკა, დიდი მიწისქვეშა აკლდამა, განვითარებული შუასაუკუნეების სამაროვანი და სხვა) მხოლოდ მცირე ნაწილი იყო იმათგან, რომლებიც წყალსაცავის შევსებამდე უნდა გათხრილიყო, მაგრამ ვეღარ მოესწრო.

სიონის წყალსაცავში წყლის დონის დაკლების შემთხვევაში ზოგიერთი არქეოლოგიური ძეგლის გათხრის შესაძლებლობამ და, საერთოდ, ინტერესის გაცხოველებამ ამ მხარის მიმართ უკარნახა აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექციას, რომ უფრო ქმედითი ღონისძიებები განხორციელებულიყო ივრის ხეობის სიძველეთა შესასწავლად. ამიტომაც იყო, რომ ინსტიტუტის მაშინდელი ხელმძღვანელის აკად. ნ. ბერძენიშვილის ინიციატივით 1963—64 წლებში ივრის ხეობაში ერთბაშად ორი ექსპედიცია გაიგზავნა: ჟ ა ლ ე თ ი ს (ხელმძღვანელი დ. მუსხელიშვილი) და ე რ წ ო-თ ი ა ნ ე თ ი ს ა (ხელმძღვანელი რ. რამიშვილი). ერწო-თიანეთის არქეოლოგიურმა დაზვერვითმა ექსპედიციამ მუშაობა განაგრძო 1965—70 წლებშიაც და, გარდა ერწოსა და თიანეთის „ქვეყნებისა“, ფართო სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა „ჟალეთის ქვეყანაშიც“.

ისტორიულ კახეთში შემავალი ამ სამი ქვეყნიდან ერწო-თიანეთის არქეოლოგიური დაზვერვითი ექსპედიციის ძირითად სარბიელს მაინც მდ. აძეძის აუზში მდებარე ერწოს „ქვეყანა“ წარმოადგენდა. ეს მხარე უაღრესად მდიდარი აღმოჩნდა არქეოლოგიური ძეგლებით.

მრავალწლიანი საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად ივრის შუა და ზემო ნაწილში გამოვლინდა რამდენიმე ათეული მანამდე უცნობი, ან ყურადღების მიღმა დარჩენილი, ძეგლი, რომელთა ქრონოლოგიური დიაპაზონი ენეოლითსა და გვინშუასაუკუნეებს შორის ეჭცევა[1]. ამ ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი ერწოს ველზეა გამოვლენილი.

ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საქმიანობის წლებში ერწოს ველის საბჭოთა მეურნეობებმა განახორციელეს სასოფლო-სამეურნეო სავარ-

---

[1] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო მუშაობის შედეგები. «მაცნე», ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია. 1977, № 4, გვ. 155-170 (დასაწყისი) და 1978, №1, გვ. 143-162 (დასასრული).

გულების კეთილმოწყობა და განახლება (ძირითადად 1964—68 წლებში), კერძოდ, ღრმად გადაიხნა ნასვენი და გაყამირებული მიწები, რომელთა უმეტესობა ადრე საძოვრებად იყო დატოვებული ან ატყევებული[2]. ამ სამუშაოების დროს ერწოს ველის თითქმის ყველა კუთხეში თავი იჩინა სხვადასხვა ასაკის არა ერთმა ძეგლმა, რომელთა დიდი ნაწილი მიწის პლანტაჟის დროს ძლიერ დაზიანდა ან სრულიად განადგურდა (მაგ., სოფ. ზურაბების თავზე მდებარე გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარი, სიონთგორის ადრეანტიკური ხანის სამაროვანი, სოფ. ორანსა და სოფ. მაგრანეთს შორის მდებარე ნამოსახლარები და სხვადასხვა დროის სამაროვნები და სხვა მრავალი). მიწის ღრმად ხვნის დროს გამოვლენილ ძეგლთა ერთი ნაწილი, რომელთა გათხრა კიდევ შეიძლებოდა, ექსპედიციამ სათანადოდ გამოიკვლია. მათ შორის იყო სოფ. მაგრანეთის ბოლოზე, ადგილ ქუშანაანთგორაზე მდებარე გვიანარმაზული ხანის მდიდრული სამაროვანი სინქრონული ნამოსახლარის ნაშთითურთ და იქვე მდებარე ადრე შუასაუკუნეთა უაღრესად საყურადღებო ნამოსახლარი შესაბამისი სამაროვნითურთ.

ქუშახაანთგორაზე არქეოლოგიური კვლევა-ძიება მიმდინარეობდა 1966—69 წლებში, რისი მეოხებითაც დაგროვდა ჭეშმარიტად საყურადღებო არქეოლოგიური მონაპოვარი, რომლის ყველაზე საინტერესო ნაწილს გვიანარმაზული ხანის მასალა წარმოადგენს. გვიანარმაზული ხანის საკმაოდ საყურადღებო მასალებია მოპოვებული ერწოს სხვა სოფლებშიაც, რაც კიდევ უფრო ზრდის ამ მასალების ზოგად მნიშვნელობას, და, ბუნებრივია, რომ მათი სამეცნიერო მიმოქცევაში მთლიანად შეტანა გადაუდებელი ამოცანაა.

წინამდებარე მონოგრაფია — ი ვ რ ი ს ხ ე ო ბ ი ს ა რ ქ ე ო ლ ო გ ი უ რ ი ძ ე გ ლ ე ბ ი III (ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში) — ჩვენი მეორე ნაშრომია, რომელიც ეძღვნება ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლების პუბლიკაციას[3].

საერთოდ ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლების პუბლიკაცია, იმ მასალების საფუძველზე, რომლებიც მოიპოვა ერწო-თიანეთისა და ჟალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციებმა, დაგეგმილია რამდენიმე წიგნად, ამათგან, გვიანბრინჯაოს ხანის დასასრულის „რკინის კალოს“ სამაროვნის კატალოგი სულ ახლახან გამოქვეყნდა[4]. ივრის შუა და ზემო ნაწილის ადრე და შუაფეოდალური ხანის ძეგლების ერთი მოზრდილი ჯგუფის პუბლიკაციას ეძღვნება ცალკე მონოგრაფია, რომლის გამოქვეყნებაც განზრახულია 1981 წლისათვის[5].

ივრის ხეობის არქეოლოგიურ ძეგლთა პუბლიკაცია ამით, რა თქმა უნდა,

---

[2] უნდა აღინიშნოს, რომ ერწოს ველის მეურნეობებში ჩატარებული პლანტაჟის მეოხებით, ბევრგან ნიადაგების სტრუქტურა გაუარესდა. ეტყობა, ეს სამუშაოები დაიგეგმა წინასწარი შემოწმებისა და ანალიზის გარეშე. იმ ადგილებში, სადაც შავი მიწის საფარი 30-50 სმ არ აღემატებოდა, პლანტაჟის გუთანმა ამოაბრუნა მათ ქვეშ მდებარე ნარიყი ფენები თუ კონგლომერატები, ხოლო სასარგებლო გრუნტი ნიადაგის შავი ფენით ქვეშ მოექცა. ასეთი წინასწარ აუწონ-დაუწონავი ღონისძიებებით ზარალი განიცადა თვით მეურნეობებმა, ხოლო არქეოლოგიურ ძეგლთა დანაკარგი ხომ სამუდამოდ აუნაზღაურებელი დარჩება.

[3] წიგნი—ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები 1, სიონი, გამოქვეყნდა 1970 წელს. რედაქტორი გ. ლომთათიძე.

[4] ლ. კ ო ბ ა ი ძ ე, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები II. «რკინის კალოს» სამაროვანი, კატალოგი. თბ., 1978.

[5] ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები IV, ერწოს ჟალეთისა და თიანეთის შუასაუკუნეთა ძეგლები.

არ ამოიწურება. არქეოლოგიური კვლევა-ძიებით მოპოვებული მასალების სიუხვე და მათი გამოქვეყნების აუცილებლობა ჩვენ გვავალებს, რომ ივრის ხეობის არქეოლოგიურ მონაპოვარს კვლავაც მიეძღვნას ცალკეული გამოკვლევები[6].

1966—69 წლებში, როდესაც გაითხარა და გამოვლინდა წინამდებარე მონოგრაფიაში გაერთიანებული არქეოლოგური მასალები, ერწო-თიანეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, გარდა ავტორისა, მონაწილეობდნენ: ბ. ჯორბენაძე (ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე), პროფ. ლ. რჩეულიშვილი (ხელოვნებისმცოდნე — კონსულტანტი), დოც. გ. აბრამიშვილი (ხელოვნებისმცოდნე), უფრ. მეცნ. თან. მ. მიწიშვილი, უმცრ. მეცნ. თანამშრომლები: ლ. ასათიანი, ლ. კობაიძე, ბ. მჭედლიშვილი, მ. გოჩიაშვილი, მხატვარი ვ. კანდელაკი, ფოტოგრაფი მ. კოზლოვსკი.

ქუშანაანთგორის არქეოლოგიური ძეგლების სავალე დოკუმენტაცია ეკუთვნით: ლ. რჩეულიშვილს, გ. აბრამიშვილს, ვ. კანდელაკს, ბ. მჭედლიშვილს, რ. რამიშვილს. თანდართული ნახატები შეასრულეს მხატვრებმა: ნ. თოფურიძემ, ვ. კანდელაკმა, ბ. მჭედლიშვილმა, კამერალური ფოტოგადაღება ჩაატარეს ნ. არჩვაძემ, მ. კოზლოვსკიმ, ვ. ასტახოვმა და რ. რამიშვილმა. ყველა ფერადი ნახატის ავტორია ნ. თოფურიძე, ხოლო ფერადი დიაპოზიტივები ეკუთვნის ვ. ასტახოვს.

წინამდებარე ნაშრომის დასრულებიდან 8 წელზე მეტია გასული და, ბუნებრივია, მასში სრულად ვერ არის ასახული ის უახლესი მასალები ან ლიტერატურა, რაც ამ ბოლოს გახდა ცნობილი, თუმც წიგნის ხელახალი რედაქციის დროს ვცადეთ ზოგიერთი სიახლის მასში ასახვა.

რადგანაც ეს ნაშრომი წარმოადგენს ერწოს „ქვეყანაში“ გამოვლენილი გვიანარმაზული ხანის ძეგლების მეცნიერულ პუბლიკაციას, ბუნებრივია, ძირითადი ყურადღება არქეოლოგიური მასალის აღწერაზე, დარგობრივ და ტიპოლოგიურ კვლევასა და ქრონოლოგიაზეა გამახვილებული, თუმც არც ზოგადი საკითხებია დავიწყებული, მით უმეტეს, რომ საამისო მასალა ერწოს ველმა საკმაოდ უხვად მოგვცა.

მადლიერებით გვსურს მოვიხსენიოთ შუასაუკუნეთა არქეოლოგიის განყოფილების დამაარსებელი, აწ განსვენებული გ. ლომთათიძე, რომელიც წლების მანძილზე დიდ გულისყურს იჩენდა ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიმართ როგორც საველე მუშაობის დროს, ასევე მოპოვებული მასალის შესწავლისას.

ასევე მადლობას მოვახსენებთ ყველა იმ პირსა და ორგანიზაციას, რომლებმაც ხელი შეგვიწყვეს და დახმარება გაგვიწიეს წინამდებარე გამოცემის მომზადებასა და გამოქვეყნებაში.

---

[6] მაგალითად, უკვე მზად არის რ. რამიშვილის — ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები V, რომელიც ეძღვნება ქუშანაანთ გორის ადრე შუასაუკუნეთა ხანის ნამოსახლარის შესწავლას.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ერწოს ველი მდებარეობს თიანეთის რაიონში, არაგვის ხეობის მარჯვენა ნაწილში, თბილისიდან 50, ხოლო თიანეთიდან 20 კილომეტრზე და წარმოადგენს მთაგორიან ზონაში (ზღვის დონიდან 1000—1100 მ) საკმაოდ ვრცელ ტაფობს, რომელიც მდ. ივრის მარჯვენა შენაკადის აძეძის (ერწოს წყლის) მიერ ორ არათანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. ერწოს ველი (ან როგორც სპეციალურ ლიტერატურაში ეწოდება — ქვაბული), სამი მხრიდან კონტინენტური ნალექებისაგან (ძირითადად პონტ-მეოტური კონგლომერატები) აგებული მთებითაა შემოფარგლული. მეოთხე (აღმოსავლეთი) მხრიდან ქვაბული გახსნილია და თანდათანობით გადადის ივრის ჭალაში. ეს მხარე აგებულია ეოცენური, ოლიგოცენური და ცარცული ხნოვანების ქანებით, რაც წარმოდგენილია თიხებით, ქვიშაქვებით, მერგელებით და სხვა.

ერწოს ქვაბული თიანეთის ქვაბულთან შედარებით უფრო მთლიანობით (მასიურობით) და მდ. ივრის დონიდან უფრო მაღალი მდებარეობით ხასიათდება, რაც ამ ქვაბულისა და მისი მიდამოების ახლო წარსულში ამოზავებას უნდა მიეწეროს[1].

მდ. აძეძი სათავეს იღებს ერწოს ველის დასავლეთ ბოლოზე გორანა-სიონთგორის შორის მდებარე მასივიდან და ქედებიდან, რომლებიც ერწოს ველს დასავლეთიდან საზღვრავენ. სოფ. ხევსოფლის (ანუ ხევსურთსოფლის) გასწვრივ აძეძი თანდათანობით ღრმად იჭრება ერწოს ტაფობის მძლავრ დელუვიურ თიხნარებში და სოფ. მაგრანეთ-ვეძათხევის სექტორზე უკვე საკმაოდ ღრმა კანიონს ქმნის. აძეძი მდ. იორს უერთდება სოფ. ბეწენწურებთან. ივრის ჭალის ზონაში მდ. აძეძის კალაპოტი ზედაპირულად მიედინება.

ერწოს ველის ის ნახევარი რომელიც მდ. აძეძის ჩრდილოეთითაა მოქცეული, შედარებით ვიწრო და უტყეოა. როგორც ჩანს, ტაფობის ჩრდილოეთით მოსაზღვრე ფერდობებსა და ქედებზე ტყე ადრევე გაიჩეხა. აღნიშნული ზოლი ზვარე ადგილს წარმოადგენს, რომელიც ხასიათდება მშრალი მიკროკლიმატითა და მცხუნვარე მზით, რაც, როგორც ჩანს, უარყოფითად მოქმედებდა ერთხელ გაკაფული ტყეების ხელახალ აღდგენაზე. ტყის მცირე კორომი შემორჩენილია მხოლოდ სოფ. დორეულების თავზე, სადაც რამდენიმე კარგი წყარო გამოდის.

შიშველი ქედებიდან მდ. აძეძს ერთვის რამდენიმე მშრალი ხევი (გორანის ხევი, დევენაანთ ხევი, ვეძათხევი და სხვა), რომლებმაც მხოლოდ წვიმების დროს იციან მოდიდება. ვეძათხევში გამოდის მინერალური წყლები, რომლე-

---

[1] მ. ს ა ნ ე ბ ლ ი ძ ე, ერწო-თიანეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონის ბუნების თავისებურება, საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოების შრომები. IX-X, თბ., 1967, გვ. 288-308.

ბიც ძალზე მდიდარია მარილებით[2]. აღნიშნული გორები და ფერდობები ბოლო დრომდე გამოყენებული იყო სახნავ-სათესად და ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში მოსავალიც კარგი მოდიოდა. ამჟამად ამ ზოლზე საძოვრები და სათიბებია.

რაც შეეხება ერწოს ველის შედარებით უფრო განიერ და ვრცელ ნაწილს (მდ. აძეძის სამხრეთით), რომელსაც სამხრეთიდან საზღვრავს საბადურის — იკვლივის ქედი (იგივე ქედი წარმოადგენს მდ. აძეძისა და მდ. თეძმის წყალგამყოფს), გაცილებით უფრო მდიდარია როგორც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით, საძოვრებითა და სათიბებით, ასევე მთის ფერდობებზე შეფენილი ხშირი ტყეებითა და შედარებით წყალუხვი ხევებით.

ერწოს ველის სამხრეთით მდებარე საბადურის ქედიდან, რომლის აღმოსავლეთ ბოლოზე აღმართულია ალპური საძოვრებით მდიდარი იკვლივის მთა-ილალაღი, მდ. აძეძისაკენ ეშვება რამდენიმე მოზრდილი ხევი (წაქალაქრის ხევი, ორანულას ხევი, კვირიას ხევი და სხვა). მათ შორის სიდიდითა და წყალუხვობით გამოირჩევა საბადურიდან ჩამომდინარე თრანულას ხევი.

საბადურ-იკვლივის ქედი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე მისი მოპირდაპირე (სამხრეთი) მთები და მდიდარია ტყეებითა და სათიბ-საძოვრებით. თრანულას ხევის სიღრმეში, მის შენაკად შირიმისხევში არსებობს შირიმის ქვის დიდი კარიერი, რომელსაც მოსახლეობა უკანასკნელ დრომდე იყენებდა სამშენებლო მიზნებისათვის. უნდა ვივარაუდოთ, რომ ერწოს ველის ადრე შუასაუკუნეთა ხანის ხუროთმოძღვრულ ძეგლებსა და სამაროვნებზე გამოყენებული შირიმის ფილები და ქვათლილები აღნიშნულ კარიერზეა მოპოვებული.

ერწოს ველის სიგრძეა 12 კმ, სიგანე კი 8—9 კმ, ხოლო საერთო ფართობი მთელი ტაფობისა მიმდებარე ტყიანი ფერდობებითა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებითურთ) 30-35 ათას ჰექტრამდე აღწევს.

მეურნეობის ძირითადი დარგები ერწოში მესაქონლეობა და მემინდვრეობაა, თუმც იქაური აწინდელი მოსახლეობა მებაღეობასა და მეფუტკრეობასაც მისდევს.

ერწოს ველი გარე სამყაროს რამდენიმე კზით უკავშირდება, რომელთა შორის დღეისათვის უმთავრესი ორია: თბილისი-გლდანი-ცხვარიჭამია-საბადურიო-თიანეთის მაგისტრალი, რომელიც შუაზე გადაკვეთს ერწოს ველს. ამ გზაზე ერწოს ველი, როგორც ითქვა, თბილისიდან 50 კმ-ზეა, ხოლო თბილის-ერწო-თიანეთის გზის საერთო სიგრძეა 80 კმ. მეორე გზა თბილისიდან უჯარმა-სასადილო-ორხევის გავლით აგრეთვე ერწოში შედის და აძეძის მარცხენა ნაპირით თიანეთისაკენ უხვევს. ამ გზის საერთო სიგრძეა 110 კმ, ხოლო მანძილი თბილისიდან ორხევამდე (ერწოს დასაწყისამდე) 80 კმ-ია. მაშასადამე, უმოკლესი გზა თბილისიდან ერწოსაკენ გლდან-საბადურზე გადის.

გარდა ამ მთავარი მაგისტრალებისა, ერწოს ველი მცხეთისა და დუშეთის რაიონებს უკავშირდება დამხმარე გზებითაც, რომელთა შორის ყველაზე უფრო მოსახერხებელია გორანა-ახატნისა და გორანა-დავათ-ლაფანაანთკარის

---

[2] მარილის კრიზისის დროს ადგილობრივი მოსახლეობა ვეძათხევის წყაროებს ბოლო დრომდე იყენებდა სამეურნეო მიზნებისათვის. როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი გადმოგვცემენ, მეორე მსოფლიო ომის დროს ერწოელები მარილის დანაკლისს ამ წყლის გამოყენებით ივსებდნენ — ასმევდნენ საქონელს და იყენებდნენ მწნილების ჩასადებად. უნდა ვივარაუდოთ, რომ ძველი ერწოელების ყოფაში ვეძათხევის წყლის ასეთი დანიშნულებით გამოყენებას უფრო ფართო მასშტაბი ეჭნებოდა.

გზები. ეს უკანასკნელი სოფ. აბანოსხევის (ქვ. ბულაჩაურის) გავლით, ერთი მხრივ, მისაქციელისაკენ გადის, ხოლო, მეორე მხრივ, ჩინთ-ჟინვალისა და, შესაბამისად, არაგვის ხეობათა სიღრმისაკენ. ერწოს ველზე ამჟამად 23 სოფელია: ბენწენწურები, ქვემო ნაქალაქარი, ზემო ნაქალაქარი, მაგრანეთი, თრანი, ტოლათსოფელი, ღულელები, ციათსოფელი, კვირიასხევი ანუ დამწვართსოფელი, როშკიანთსოფელი, სიონთგორი, ნადოკრა, გორანა, სვიმონიანთხევი, მელიასხევი, თოლენჯი, ცალუღელაანთსოფელი, ხევსურთსოფელი, დევენაანთხევი, საყდრიონი, ვეძათხევი, ზურაბები, დორეულები.

ერწოს თანამედროვე მოსახლეობა ძირითადად მოგვიანებით ჩამოსახლებულ მთიელთაგან შედგება, თუმცა აშკარაა, რომ ზოგიერთ სოფელში შემონახულია ძირძველი მოსახლეობის ნაშთებიც. მათ ერწოს მცხოვრებნი კახებს უწოდებენ. ამასთანავე, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანადაა შემჩნეული, ერწოს განსახლებაში შეიმჩნევა შიდალოკალიზაცია[3]. ე. წ. ხევსურობა უპირატესად თავმოყრილია ერწოს ველის სამხრეთ ნაწილში, აღმოსავლეთ განაპირას მდებარე სოფლებში ძირითადად ფშავლობა ცხოვრობს; ხოლო ძველი კახების ნაშთები კი სახლობენ სოფ. გორანასა და საყდრიონს შორის, თუმც მთიელები აქაც მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს შეადგენენ. ამასთანავე, აქაური მოსახლეობის ძველკახობაც გამოსაკვლევი და შესასწავლია. სულ ადვილი მოსალოდნელია, რომ გარკვეული ნაწილი მათგან რამდენადმე ადრე ჩამოსახლებული და შესაბამისად ადრევე გაკახებული მთიელი ან სხვა კუთხიდან მოსული იყოს.

ერწოს ველი გვიანდელ ეტაპზე მთისა და ბარის ურთიერთობის ისტორიის შესასწავლად იძლევა უძვირფასეს მასალას.

რაც შეეხება ერწოს ველის არქეოლოგიური ძეგლების კვლევას, ცალკეული წლების მიხედვით 1963 წლიდან ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ იქ შემდეგი სამუშაოები იქნა ჩატარებული:

ერწო-თიანეთის დაზვერვითმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1963 წელს მოიხილა ერწოს ველის თითქმის ყველა სოფელი. აღრიცხა და აღწერა მანამდე ყურადღების მიღმა დარჩენილი მრავალი ძეგლი, ხოლო მაგრანეთის ჭუშახაანთგორის ადრე შუასაუკუნეთა ხანის სამაროვანზე და თრანის „რკინის კალოზე“ ჩაატარა დაზვერვითი თხრა[4].

1964 წელს ერწო-თიანეთის ექსპედიციის წევრები მონაწილეობდნენ ჯალეთის „ქვეყნის“ არქეოლოგიურ შესწავლაში[5].

1965 წელს, ზაფხულში, ფართო სამუშაოები ჩატარდა ერწოს „რკინის კალოზე“ (სოფ. თრანი), სადაც გვიანბრინჯაოს ბოლოსა და რკინის ფართოდ ათვისების ხანის უაღრესად საინტერესო სამაროვანი ითხრებოდა. ამავე წელს

---

[3] ვ. ითონიშვილი, ჯ. სონღულაშვილი, ერწო-თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1972 «მაცნე», № 4, 1973, გვ. 189-199.

[4] რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ერწოს ველის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში. XII სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1963 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. თბ., 1964, გვ. 17-22 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი); ბ. ჯორბენაძე, ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ერწოს ველზე, «მაცნე», 1968, №2, გვ. 219-229.

[5] ამ წელიწადს გარდა საკუთრივ ჯალეთის კომპლექსისა დაზვერვითი გათხრები ჩატარდა საყარაულოსა და კუპრიაანთ კარში. ამავე დროს ერთხელ კიდევ დაიზვერა წყალსაცავს გარეთ მდებარე მიწები ჯალეთის «ქვეყანაში». დ. მუსხელიშვილი, კახეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში. ხელნაწერი. 1964.



ივრის ხეობის ზემოწელის ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლთა განლაგების სქემა

ექსპედიციამ განახორციელა ფართო დაზვერვითი სამუშაოები ძველ ნასოფლარებსა და ხაგზაურებზე[6]. პარალელურად თვალყური ეჭცეოდა საპლანტაჟო სამუშაოებსაც.

განსაკუთრებით ნაყოფიერი ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციისათვის იყო 1966 წელი. ამ წლის გაზაფხულზე ქუშანაანთგორის ჩრდილოეთ

---

[6] რ. რამიშვილი. ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები 1. სიონი. თბ., 1970. გვ. 10-11; მისივე, ივრის ხეობის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქზე. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის და თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო სესიის მოკლე შინაარსი. თბ., 1968, გვ. 6.

ხაწილში შიწის გადაბრუნების დროს თავი იჩინა ძველი ნამოსახლარის ნაშთებმა, რომლის შესახებაც მაშინვე აცნობეს ისტორიის ინსტიტუტს. ერწოთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიცია ამ შემთხვევაში რამდენადმე ადრე გავიდა ველზე. სამწუხაროდ, პლანტაჟის გუთანს შედარებით უფრო ზედაპირულად მდებარე გვიანარმაზული ხანის ნამოსახლარი მთლიანად გაეწადგურებინა. ასევე ძლიერ იყო დაზიანებული ნამოსახლარის სინქრონული სამაროვანიც. არა ერთი სამარხეული კომპლექსი, სახნისის წვერით ამობრუნებული, მიმოფანტული იყო ხნულში და ადგილობრივი მოსახლეობა დიდის ინტერესით ეძებდა სიძველეთა ნაშთებს. მოგვიანებით, როდესაც ჩვენი ექსპედიცია ჩაერია საქმეში, ზოგიერთი ნივთის შეგროვება მოსახლეობაში შევძელით. ასევე უხვად შეგროვდა ხნულში მიმოფანტული საგნებიც (ძირითადად კერამიკული ხაწარმი). განსაკუთრებული ყურადღება მაშინ მიიქცია სამაროვნის დასავლეთმა უბანმა, ჭუშანაანთგორის დასავლეთ ნაპირას, სადაც ხნულში დიდი რაოდენობით იყო მიმოფანტული მცხეთური ტიპის ღარიანი და გვერდაკეცილი კრამიტის ნატეხები. როგორც მოგვიანებით გაირკვა, კრამიტის ნატეხები ეკუთვნოდა მდიდრულ სამარხებს, რომელთაგან ერთს ასეთი კრამიტით საკმაოდ მოზრდილი ორფერდა სახურავი ჰქონია მოწყობილი. რაღაც ბედნიერი შემთხვევით კრამიტის სახურავიანი მდიდრული სამარხის დასაკრძალავი კამერა სახნისს გადარჩენია. ამოყრილი, დაზიანებული და ხნულში მიმოფანტული იყო ძხოლოდ საძარხის სახურავად გამოყენებული კრამიტი[7].

1966 წელს ჭუშანაანთგორის გვიანარმაზული ხანის სამაროვანზე გაითხარა ცხრა სამარხი, მათ შორის უმეტესობა თითქმის მთლიანად დანგრეული. გარდა ამისა, იმავე წელს მცირე გათხრები ჩატარდა სოფ. მაგრანეთის საცხვრეგორაზე და ჭუშანაანთგორის ადრე შუასაუკუნეთა სამაროვანზე, რომელიც ძღებარეობს მდიდრული საძაროვხის საძხრეთით[8].

1966 წელს ჭუშანაანთგორის გვიანარმაზული ხანის სამარხებში აღმოჩენილმა მდიდრულმა კომპლექსებმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია სამეცნიერო წრეებში და, ბუნებრივია, ხელი შეუწყო არქეოლოგიური კვლევის გაღრმავებას ერწოს ველზე. 1967—1968 წლებში კიდევ უფრო მეტი ენერგიით გაგრძელდა ჭუშანაანთგორის ძეგლების თხრა. ამასთანავე, გვიანარმაზული ხანის სამაროვნის პარალელურად დაიწყო იქვე მდებარე ადრეშუასაუკუნეთა ნამოსახლარის შესწავლა[9]. ამ ნამოსახლარის ერთ-ერთ სათავსში აღმოჩნდა სასანურ-ბიზანტიური მონეტების შერეული განძი[10].

---

[7] რ. რამიშვილი, ერწოს ველის არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის შედეგები, XVI სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1966 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოკლე ანგარიშები, თბ., 1967, გვ. 71-74 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი).

[8] ბ. ჯორბენაძე, ფეოდალური ხანის ახლად აღმოჩენილი ძეგლები ერწოს ველზე, XV სამეცნიერო სესია, გვ. 74-75.

მისივე. ახალი არქეოლოგიური ძეგლები ერწოს ველზე. «ძეგლის მეგობარი». 1968, 15, გვ. 48-49.

[9] რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ლ. ასათიანი, ლ. კობაიძე. ერწოს ველის არქეოლოგიური ექსპედიციის 1967-68 წწ. მუშაობის შედეგები. XVIII სამეცნიერო სესია მიძღვნილი საქართველოში 1968 წელს წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოკლე ანგარიში, თბ., 1969, გვ. 28 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი). Р. М. Рамишвили, Раскопки в Эрцо. АО-1967. М. 1968 стр. 303, მისივე, ერწოს ველი ანტიკურ ხანაში, «ძეგლის მეგობარი», 1971, 27-28, გვ. 54

[10] ირ. ჯალაღანია, სასანური და ბიზანტიური მონეტების განძი სოფ. მაგრანეთიდან

1968 წელსავე ჩატარდა დაზვერვითი თხრა სოფ. სიმონიანთხევის ძეგლებზე, სადაც კარგად ჩანს გვიანარმაზული ხანის მოზრდილი ნამოსახლარი და ადრეშუასაუკუნეთა სამაროვანი. სოფ. სიმონიანთხევში 1967—68 წლებში შემთხვევით აღმოჩნდა მდიდრული სამარხი, რომლის ინვენტარი კერძო პირებმა დაიტაცეს. მხოლოდ ოქროს ერთი აურეოსი მოხვდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში (მოიტანა იქაურმა მკვიდრმა გ. ბაიაშვილმა). გვიანარმაზული ხანის სამაროვანს ნაწილობრივ ფარავს თანამედროვე სასაფლაო და, როგორც ჩანს, მიწის ამოღების დროს, არც თუ იშვიათად, ჩნდება ძველი სამარხები.

1969 წელს ქუშანაანთგორაზე ერწო-თიანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჩაატარა შემაჯამებელი სეზონი. დასრულდა სამაროვნის მდიდრული უბნის მთლიანი გათხრა. სულ აღმოჩნდა 15 სამარხი და ამდენივე ორმო, რომლებიც სამარხებს შორის იყო გაბნეული და ამოვსებული იყო ალიზის ნატეხებით, რიყის ქვებით, ნაცარ-ნახშიროვანი მასით, საოჯახო ნამუსრევით (ძირითადად კერამიკული ნატეხებით) და ცხოველთა ძვლებით. აღნიშნულ ორმოთა ნაწილი, ჩვენი ვარაუდით, უფრო ადრეულია, ვიდრე სამაროვანი, მაგრამ ძალიან დიდი ქრონოლოგიური სხვაობა მათ შორის არ უნდა ვიგულისხმოთ[11]

ქუშანაანთგორის გვიანარმაზული და ადრეშუასაუკუნეთა ძეგლებიდან მომდინარე არქეოლოგიურმა მონაპოვარმა თავისი მრავალფეროვნებითა და დიდი მნიშვნელობით საკმაოდ დიდი გამოხმაურება ჰპოვა სამეცნიერო ლიტერატურაში. გარდა ექსპედიციის წევრთა ნაშრომებისა, იგი აისახა სხვადასხვა ავტორთა გამოკვლევებშიც[12].

1970—71 წლებში ერწოს „ქვეყანაში“ და საერთოდ თიანეთის რაიონში კვლავ ვაგრძელებდით სადაზვერვო-არქეოლოგიურ სამუშაოებს, მაგრამ იმის გამო, რომ 1971 წელს ერწო-თიანეთის ექსპედიციის ბაზაზე ჩამოყალიბდა ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია, გათხრითი სამუშაოები ივრის ხეობაში დროებით შეწყდა, თუმც არაგვის ხეობის შესწავლასთან დაკავშირებით სადაზვერვო სამუშაოები ივრის აუზში კვლავაც გრძელდება. ამასთანავე, ჩვენ ყო-

---

(ერწო), «მაცნე» ისტორიის .... სერია, 1975, №4, გვ. 123-131. Т. Я. Абрамишвили, Клад монет из Магранети, Нумизматический сборник, Тб., 1977, გვ. 73-82.

[11] რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ლ. ასათიანი, ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წ. მუშაობის ანგარიში, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს. თბ., 1971, გვ. 91-93.

[12] ე. აბესაძე, რ. ბახტაძე, ვერცხლის ქლორიდით დაზიანებული არქეოლოგიური ვერცხლის ნივთების გაწმენდა-აღდგენა. მუზეუმის მოამბე, 1967, ტ. 27-28. К. Мачабели, Некоторые вопросы изучения художественного серебра в позднеантичной Грузии, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1969, №4, გვ. 153, 159, დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ., 1969, გვ. 46-47; Д. Г. Капанадзе. Новые находки подражаний римским ауреусам в Грузии, ВДИ, 1970. № 4. გვ. 83; რ. რამიშვილი, ი. ანდრიაშვილი, ვერცხლის პინაკი ერწოდან, «საბჭოთა ხელოვნება», 1972, № 8, გვ. 72-75; К. Мачабели, Несколько памятников сасанидской торевтики в Грузии, «მაცნე» ისტორიის სერია, 1972 წ. № 3, გვ. 49, 69-70; თ. აბრამიშვილი, საქ. სახელმწიფო მუზეუმის ქართული მონეტების კატალოგი, თბ., 1974, გვ. 107-108; გ. ლომთათიძე. ყოფა და კულტურა არქეოლოგიური მასალების მიხედვით. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. 2, თბ., 1973; კ. მაჩაბელი, მელითონეობის ხელოვნება საქართველოში, «საბჭოთა ხელოვნება», 1976, № 3, გვ. 82, 85; К. Мачабели, Позднеантичная торевтика Грузии, Тб, 1976; А. Димитрова, Проучвания на античната култура в Грузии и Армения, Археология. София, 1868, №4 გვ. 86 და სხვ.

ველთვის ვიტოვებთ იმის იმედს, რომ ოდესმე განვახორციელებთ არქეოლოგიურ ძიებას სოფ. სიმონიანთხევის გვიანარმაზული და ადრეშუასაუკუნეების ხანის ნამოსახლარსა და სამაროვნებზე, აგრეთვე ადრეანტიკური ხანის სიონთგორის სამაროვნის ნაშთზე, რომლის უდიდესი ნაწილი მიწის ღრმად ხვნის დროს განადგურდა.

წიხაშდებარე ძოხოგრაფიაში თავდაპირველად ვფიქრობდით ქუშანაანთგორაზე გათხრილი ყველა ძეგლის თანმიმდევრულ განხილვას, მაგრამ მონოგრაფიის შეზღუდული მოცულობის გამო, წიგნში ვტოვებთ მხოლოდ გვიანარმაზული ხანის მასალებს. ამავე დროს აქვე განხილული გვექნება ერწოს ველზე მოპოვებული იმავდროული სხვა მასალებიც სოფ. ზურაბებიდან, სიმონიანთხევიდან და სხვა, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად დავახასიათოთ ერწოს „ქვეყანა" უშუალოდ წინაქრისტიანულ ხანაში და განვსაზღვროთ განვითარების ის ძირითადი ტენდენცია, რაც აღმოსავლეთ საქართველოს ამ ტიპიურ „ქვეყანას" ახასიათებდა ახ. წ. III—IV საუკუნეებში, განსაკუთრებით კი ამ საუკუნეთა მიჯნაზე.

თავი I

ქუშანაანთგორის გვიანარმაზული ხანის ნამოსახლარი ნაშთები

ქუშანაანთგორა მდებარეობს სოფ. მაგრანეთის განაპირას, მის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. თრანულას მარცხენა ნაპირზე და გაწოლილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. სამხრეთი ბოლოთი ქუშანაანთგორა უერთდება საბადურიკვლივის ქედის ჩრდილოეთ ტყიან ფერდობებს, ხოლო ჩრდილოეთით, ეშვება რა საკმაოდ მკვეთრად, სოფლის ბოლოზე თანდათანობით გაივაკებს და ერწყმის ერწოს ველს. ესაა დაბალი ქედობი, რომლის ზედაპირი საკმაოდ ვრცელი ვაკობის სახით ვრცელდება მაგრანეთის ხევამდე. ფაქტიურად, ქუშანაანთგორა წარმოადგენს თრანულას ხევის მეორე ტერასას, რომელიც პირველი ტერასისა და მდინარის კალაპოტისგან მცირედ დამრეცი ბექობითაა გამოყოფილი. ქუშანაანთგორა თითქმის მთელ სიგრძეზე უტყეოა და მისი ტერიტორია სახნავ-სათესადაა გამოყენებული (ტაბ. 1).

წრიული გზა, რომელიც ერწოს სოფლებს აერთებს, ქუშანაანთგორას შუაზე გადაკვეთს. სწორედ ამ გზის მშენებლობის დროს იჩინა თავი ადრეშუასაუკუნეთა ხანის ქვის სამარხებმა, რომელთაგან ოთხი 1963 წელს გაითხარა[1]. როგორც ჩანს, ადრეშუასაუკუნეთა სამაროვნის ერთი უბანი მოთავსებულია ამ გზის მიდამოებში. ასევე ადრეშუასაუკუნეთა ხანის, მაგრამ რამდენადმე უფრო ადრეული (IV—V სს.) სამარხების ჯგუფი აღმოჩნდა სამარხთა პირველი ჯგუფის ჩრდილოეთით, 150—200 მეტრზე. კიდევ უფრო ჩრდილოეთით კი მდებარეობს გვიანარმაზული ხანის ის მდიდრული სამაროვანი, რომელსაც ქვემოთ ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ. მდიდრული სამაროვნის აღმოსავლეთით, მისსავე გაგრძელებაზე, განფენილი იყო აღნიშნული სამაროვნის სინქრონული ნამოსახლარი, ხოლო სამხრეთით ადრე შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრული კომპლექსის ნაშთი.

ქუშანაანთგორაზე აღმოჩენილ ყველა ძეგლს, ერთობლივად, უჭირავს 14 ჰექტარი ფართობი. 1965—66 წლებში ღრმად გადაიხნა ამ ფართობის ჩრდილო ხახევარი, რომელშიაც მთლიანად მოჰყვა გვიანარმაზული ხანის მდიდრული სამაროვანი და მისი შესაბამისი ნამოსახლარი.

პლანტაჟის გუთნით, რომელიც მიწას აბრუნებს 0,45—0,7 მეტრზე, თითქმის ძირფესვიანად იყო განადგურებული ნამოსახლარის ნაშთები. შედარებით ხაკლები ზარალი განიცადა სამაროვანმა, სადაც ზოგიერთ სამარხს სახნისის

---

[1] რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე. ერწოს ველის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში. XII სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1963 წ. საველე-არქეოლოგიური კვლევის შედეგებისადმი. თბ., 1964, გვ. 17-22.

წევრი ბოლომდე ვერ ჩასწვდა. ფაქტიურად, ნასახლართა ფიქსირება ჩვენ შევძელით მხოლოდ იმ ცალკეული „გადამწვარი“ ლაქების მიხედვით, რომლებიც შემჩნეულ იქნა პლანტაჟის ზედაპირზე. ეს ე. წ. „ლაქები“ შედგენილი იყო ძირითადად გადამწვარი, დაჭუცმაცებული ბათქაშის მასისაგან, რომელშიც დიდი რაოდენობით გვხვდებოდა თიხის საოჯახო ჭურჭლის ნამტვრევი, ხელსაფქვავთა და ხელწისქვილთა ნატეხები, შინაური საქონლის ძვლები, ნაცარ-ნახშიროვანი შრეები და სხვა. ამ ცალკეულ „ნასახლართა“ მიდამოებში შეიმჩნეოდა მეტნაკლები სიდიდის ორმოები, აგრეთვე საოჯახო ნამუსრევით ამოვსებული.

სულ სამაროვანსა და ნამოსახლარზე გაიჭრა 30 საძიებო თხრილი, რაც მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, ნამოსახლარის საზღვრებისა და შინაარსის დადგენას, ხოლო, მეორე მხრივ, სამაროვნის იმ უბნის გულდასმით გამოკვლევას, სადაც მდიდრული ინვენტარის შემცველი სამარხები გვეგულებოდა.

ნახნავი ტერიტორიის ამგვარმა შესწავლამ და ზედაპირულმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ცალკეულ ნასახლართა ნაშთები ძველ ნამოსახლარზე გარკვეული წესრიგით იყო განლაგებული.

ნაცეცხლარ-გადამწვარი და საოჯახო ნამუსრევით „შეჯერებული ლაქები“ ნამოსახლარზე ზოგან უფრო მძლავრად იყო წარმოდგენილი და გარკვევით „იკითხებოდა“, ზოგან კი უფრო ნაკლებად, მაგრამ, რაც მთავარია, ისინი ქმნიდნენ ერთგვარ ზოლებს, რომელთა შორისაც ერთი ყველაზე უფრო მოზრდილი, ს/ა-დან ჩ/დ-საკენ იყო დამხრობილი და დაახლოებით 150—200 მეტრზე გრძელდებოდა. მეორე, უფრო მოკლე, გადამწვარი ზოლი მდებარეობდა პირველის ჩ/ა მხარეს, მისგან სულ რამდენიმე მეტრის დაცილებით. გარდა ამისა, გადახნული მინდვრის აღმოსავლეთ ნაწილში შეიმჩნეოდა დამწვარი ალიზის და ჭურჭლის ნატეხთა შემცველი ცალკეული ბუდეები, რომლებიც ტერიტორიულად არ იყო ძალიან დაშორებული ზემოხსენებული ზოლებისაგან (ტაბ. 2).

საკონტროლო თხრილებით შევძელით დაგვედგინა, რომ გუთნის წვერი გაცილებით უფრო ღრმად იყო ჩასული ნიადაგში, ვიდრე ამ გადამწვარ „ნასახლართა“ იატაკების სავარაუდო დონე, რის გამოც თუნდაც ერთი პატარა დეტალის თავდაპირველ მდგომარეობაში დანახვა შეუძლებელი გახდა.

ამიტომაც ჩვენს მიერ ნამოსახლარებად მიჩნეული ნაშთების დახასიათების ერთ-ერთ საშუალებას, გარდა ზოგიერთი ვიზუალური დაკვირვებისა, წარმოადგენს თვით იქვე მოპოვებული ნივთიერი მასალის ანალიზი.

პირველ რიგში ამ მასალებიდან თვალში საცემია ალიზის მეტნაკლები სიდიდის ის გადარჩენილი ნაწილები, რომლებიც, როგორც ჩანს, საცხოვრებელ ნაგებობებთან იყვნენ დაკავშირებულნი. ალიზთა ერთი ჯგუფი ცეცხლში მოხვედრისას გამომწვარი იყო და ზოგიერთ მათგანზე ნათლად შეიმჩნეოდა წნულის ანაბეჭდები, რაც იმის საბუთად იქნა მიჩნეული, რომ ნაგებობათა შორის იყო ისეთებიც, რომლებსაც ჰქონიათ ხის წვრილი ტოტებისაგან დაწნული და შემდეგ შელესილ-შებათქაშებული კედლები. ჩვენ არ შეგვიძლია დავადგინოთ, იყო თუ არა შენების ეს წესი ერთადერთი ამ მიკრორაიონში, მაგრამ ვარაუდის სახით შეიძლება ვიფიქროთ, რომ შენობების კედლებში ხეც იყო გამოყენებული. ალიზის ნატეხებში, რომელიც ძალზე უხვად იყო გამოვლენილი ამ ე. წ. ნამოსახლარ ბუდეებს შორის, გარდა ბრტყელი ფრაგმენტებისა, ყურადღებას იქცევდა მოზრდილი და შედარებით რთული დეტალები, რომელთაც განივ-

კვეთში სამკუთხა მოყვანილობა ჰქონდათ, ხოლო ზოგი რაღაც ხუროთმოძღვრული დეტალების (კარნიზის, სარკმლის ჩარჩოს) ნატეხებს მოგვაგონებდნენ[2]. ალიზის ნატეხთა თიხა საკმაოდ უხეშია, თითქმის გაუწმენდავი და არცთუ საგულდაგულოდაა შელესილი. ზოგიერთ ნიმუშზე, გარდა წნელებისა და ჯოხების ანაბეჭდებისა, შეიმჩნეოდა თივისა თუ ბზის ანაბეჭდებიც, რამაც ისიც კი გვაფიქრებინა, რომ ნაგებობათა კედლებში, გარადა წნულშელესილი კონსტრუქციებისა, გამოყენებული იყო ალიზის წყობაც, მაგრამ საამისო ფაქტის უქონლობა ამჯერად საშუალებას არ იძლევა ვარაუდზე უფრო შორს წავიდეთ.

საყურადღებოა, რომ გადამწვარი ალიზის შემცველ ფენებში არ აღმოჩენილა კრამიტის ნატეხები, რაც აქ არსებული შენობების სხვა მასალით, სხვა წესით გადახურვას გვაფიქრებინებს[3].

გადამწვარი მიწა-ალიზით შექმნილი ლაქები, რომლებსაც ჩვენ მივაკუთნებთ ცალკეულ ნასახლარებს, ოთხკუთხა ან მოგრძო სწორკუთხა მოყვანილობისა იყო (4,5×4,5 მ; 5,×5 მ; 4×6 მ; 4,5—5,5 მ). თუ კი შეიძლება რაიმე დასკვნის გაკეთება იმ უმნიშვნელო ნაშთებისაგან, რაც ნამოსახლარზე იყო შემორჩენილი, უნდა ვიფიქროთ, რომ ბათქაშით შელესილი წნულკედლებიანი სახლები უპირატესად თითო სათავსისაგან შედგებოდა.

ნასოფლარის ნაშთი გარკვეულ მასალას გვაძლევს სოფლის გეგმარების შესახებაც. თითოეული ნასახლარი ბუდე ერთიმეორისაგან 15—30 მეტრით იყო დაცილებული და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთგვარ მწკრივებად იყო განლაგებული. შესაძლოა, ეს იყოს ნაშთი სოფლის ქუჩის ორმხრივ განლაგებული საცხოვრებლებისა, რომელთაც გააჩნდა საკუთარი ეზოები (ტაბ. 2).

უფრო მნიშვნელოვან ინფორმაციას ნამოსახლარის შესახებ შეიცავს ის ნივთიერი მასალა, რომელიც შენობათა ნაშთებსა და მათ ირგვლივ არსებულ ორმოებში იქნა მიკვლეული.

ვიდრე ამ მასალის კონკრეტულ დახასიათებას შევეხებოდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საკონტროლო თხრილებში, ასევე ხნულის ზედაპირზე შეკრებილი მასალა სრულიად ერთგვაროვანია და ერთი დროისა უნდა იყოს.

ნამოსახლარ „ბუდეებში“ აკრეფილი კერამიკული ნაწარმიდან, პირველ რიგში, ყურადღებას იმსახურებს სამეურნეო დანიშნულების დიდრონი ჭურჭლების — ქვევრების, ჭოცოების, დერგების და სხვათა ნატეხები.

ნამოსახლარზე გამოვლენილი ქვევრებისათვის (რამდენადაც შეიძლება მსჯელობა ნატეხების მიხედვით) დამახასიათებელია ბრტყელი ბაკო (ტაბ. 7 სურ 2), დაბალი ყელი, მეჩხერსარტყლებიანი, თხელკეციანი გვერდები და მცირე დიამეტრის მქონე ბრტყელი ძირი (წაკვეთილი კონუსისებრი)[4].

საკმაოდ მრავლად ჩნდებოდა ნამოსახლარზე მცირე ზომის ქვევრების —

---

[2] ტაბ. 6 სურ 3. იხ. ერწოს ველის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე დავთარი № 1. აქ გ-66-10, 134, 135 და სხვა. ალიზის ზოგიერთ ნატეხზე შერჩენილი იყო ალებასტრის თუ კირისებრი მასის თხელი ფენა, რაც შესაძლოა სათავსების შიდა კედლების შელესილობის ნაშთი იყოს.

[3] გამორიცხული არ არის, რომ ასეთი «მსუბუქი» კონსტრუქციის სახლებზე სახურავად გამოყენებული ყოფილიყო ისლი, რომელიც ერწოს ჰაობებში, როგორც ადგილობრივი მკვიდრნი გადმოგვცემენ, ბოლო დრომდე ხარობდა. მით უმეტეს, რომ ისლის გამოყენება სახურავ მასალად კავკასიის ეთნოგრაფიული ყოფისათვის უცხო არ იყო.

[4] ჭგ.66=7, 13, 175, 430 და სხვ. ამ მითითებაში ჭგ. ნიშნავს ჭუშანაანთ გორას. მომდევნო ორი ციფრი აღმოჩენის წელს, ხოლო დანარჩენები საველე წიგნის ნომრებია. ქვევრი № 175-ის ორი ფრაგმენტი იხ. ტაბ. 40, სურ. 5.

ქოცოებისა და დერგების, ნატეხებიც[5]. ქვევრების ნატეხთა სიმრავლე ნამოსახლარზე მოპოვებულ მასალებს შორის მიუთითებს მის ფართო გამოყენებაზე. აღნიშნული ჭურჭელი შესაძლოა წყლის მოსაკავებლადაც ეხმარათ, მაგრამ მათი ძირითადი დანიშნულება, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, ღვინის შენახვა იყო. ერწოს ველი თავისი მდებარეობით და ზონალობით არ განეკუთვნება მევენახეობის გავრცელების არეალს. გამორიცხული არ არის, რომ ახ. წ. ა. პირველი საუკუნეების ერწოელები ბარიდან, უფრო სწორად — მევენახეობის რაიონებიდან, ეზიდებოდნენ მზამზარეულ პროდუქტს, ან თვითონვე მისდევდნენ მევენახეობას, ოღონდ ბარში მდებარე ზვრებში. ამასთანავე, არც ის არის გამორიცხული, რომ საკუთრივ ერწოში, რომელიც ზღვის დონიდან 1000—1100 მეტრზე მდებარეობს, გავრცელებული ყოფილიყო ვაზის საადრეო ჯიშები. ასეთი მაგალითი საქართველოს მევენახეობას არა ერთი და ორი აქვს. ისედაც ჯიშების კარგი შერჩევის პირობებში 1100 მეტრი არ არის ისეთი ზღვარი, სადაც არ შეიძლებოდეს ვაზის მოშენება[6].

ქვევრების სიმრავლით მარტო ქუშანაანთგორის ნამოსახლარი როდი ხასიათდება. ჩვენ არქეოლოგიური დაზვერვების დროს ტოლათსოფელში, ღუღელებში, მაგრანეთში, ნაქალაქარში, ზურაბებში, დორეულებსა და სხვა ადგილებში არა ერთი ნამარნალი აღმოვაჩინეთ, რომლებიც სხვადასხვა დროით თარიღდებოდა.

ქვევრები და ქოცოები დამზადებულია საკმაოდ კარგად განლექილი თიხისაგან, იგრძნობა თიხის დამუშავების მაღალი კულტურა და გამოწვაც სრულია. სამეთუნეო თიხების არსებობა ერწოს ველზე, განსაკუთრებით კი მის სამხრეთ ნაწილში, აგრეთვე თვით თიხის ნაწარმის სიუხვე ძველ ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე შესაძლებლად ხდის ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებისათვის თიხის ჭურჭლის ადგილობრივ წარმოების ვარაუდს. ერწოს ველზე და განსაკუთრებით ქუშანაანთგორის ნამოსახლარზე მოპოვებული ქვევრები თავისი ფაქტურით, მოყვანილობითა და ტექნოლოგიური ნიშნებით დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ნამოსახლარებზე მოპოვებულ ნიმუშებთან. კერძოდ, მსგავსი ქვევრები აღმოჩენილია მცხეთაში[7], თბილისში (დიღმის მასივში, ვაშლიჯვარის ქვემოთ[8]), ზღუდერში[9], ახალ ჟინვალში[10], არაგვისპირში[11] და სხვა. ამ პუნქტებში აღმოჩენილი მასალები უპირატესად ახ. წ. II—IV საუკუნეებითაა დათარიღებული, რაც საშუალებას

---

[5] ჭ. გ. 66=15, 26, 32, 33, 186, 187, 189 და სხვა.

[6] აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ერწოს ტყეებში და ნასოფლარებზე ჩვენ ვერსად დავადასტურეთ გარეული ან გაგარეულებული ვაზის ფორმები, რაც იქნებ იმის მანიშნებელი იყოს, რომ იქაური მიკროკლიმატი არ იყო ხელსაყრელი ვაზის კულტურისათვის.

[7] ა ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1958 წლის სეზონის ძირითადი შედეგებისათვის. სამეცნიერო სესია მიძღვნილი საქართველოში 1958 წ. წარმოებული საველე არქ. კვლევის შედეგებისადმი. მოხსენებათა თეზისები, თბ., 1959, გვ. 15.

[8] რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ვ. ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი, ნ. ო ქ რ ო პ ი რ ი ძ ე, ა. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დიდი თბილისის არქეოლოგიური ექსპედიცია. საველე არქ. კვლევა-ძიება 1973 წ. თბ., 1974, გვ. 25-27.

[9] გ. ნ ე მ ს ა ძ ე. ზღუდერის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1965-66 წწ. ჩატარებული მუშაობის ანგარიში. სსმაე — 1, თბ., 1969, გვ. 45-56.

[10] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ახალ ჟინვალში. ჟინვალის ექსპედიცია, თბ., 1975, გვ. 19-24.

[11] ი რ. ბ ა ქ რ ა ძ ე, არაგვისპირის ნამოსახლარი. ჟინვალის ექსპედიცია, თბ., 1975, გვ. 25-27.

გვაძლევს ერწოს ველის ქვევრების ზემოხსენებული ჯგუფი ამ ქრონოლოგიურ ჩარჩოში მოვაქციოთ.

საკმაოდ უხვადაა წარმოდგენილი ნამოსახლარის ნანგრევებსა და ორმოებში საოჯახო ჭურჭელი, რომელიც ორ ძირითად ჯგუფად იყოფა — სასუფრე-საოჯახო და საშრომულოდ.

სუფრის ჭურჭელი ძირითადად მოწითალოდ ან მოჩალისფროდაა გამომწვარი; თითქმის ყველა შემთხვევაში თიხა კარგადაა განლექილი და მაღალ დონეზე დამუშავებული. სასუფრე-საოჯახო ჭურჭლის ნატეხთა შორის ნამოსახლარზე ყველაზე დიდი რაოდენობით ხელადების ნატეხებია მოპოვებული[12]. ასეთი ხელადებისათვის დამახასიათებელი ყოფილა უმეტესად მრგვალი და იშვიათად სამტუჩა პირი, საშუალო ან დაბალი ყელი, რომელზედაც ხშირად შემოუყვება დაბალი რელიეფური წიბო, თითქმის სფერული, ან ოდნავ წაგრძელებული მუცელი და საკმაოდ დიდი დიამეტრის მქონე ბრტყელი ძირი[13]. ხელადებს, როგორც წესი, აქვს თითო ყური, რომელიც მიძერწილია ჭურჭლის მუცელზე და პირზე, თუმც შედარებით მოგვიანო ნიმუშებს (III—IV საუკუნეთა მიჯნისა და IV საუკუნის) ყური თავით მიძერწილი აქვს წიბოვან ყელზე.

მსგავსი ჭურჭლები ფრიად დამახასიათებელია გვიანანტიკური ხანის თითქმის მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებისათვის და უხვად გვხვდება როგორც ნამოსახლარებზე, ასევე მის სინქრონულ სამაროვნებზედაც. მცხეთის[14] და ურბნისის[15] მაგალითების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული ასეთი ხელადები საკმაოდ კარგა ხანს რჩება ხმარებაში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც.

აქვე ხელადებთან ერთად არ შეიძლება გვერდი ავუაროთ შედარებით უფრო მოზრდილი ჭურჭლების — ჩაფების ნატეხებსაც, რომლებისთვისაც დამახასიათებელი ყოფილა წიბოვანი ყელი და ზოგჯერ ორი ყური (ტაბ. 6, სურ 1). ხსენებული ჭურჭლები განსაკუთრებით ფართოდაა ცნობილი ადრექრისტიანული ხანის ძეგლებიდან (ქვემო ქართლი[16], ურბნისი[17], ნასტაკისი[18], მცხეთა[19] და სხვა).

---

[12] ქ. გ. — 66 — 14, 16, 18, 19, 20, 21, 28, 170, და სხვ. (ტაბ. 6. სურ. 2)

[13] გვიანანტიკური ხანის ხელადების ერთი ჯგუფი, შედარებით უფრო მომცრო ზომისა, შემკულია კოპების მწკრივებით, რომლებიც შიგნიდან დაწნევის გზითაა მიღებული. მსგავსი ჭურჭლის ნატეხები ქუშანაანთგორის ნამოსახლარზე საკმაოდ ბევრი იყო. აღნიშნული ჭურჭლები ძირითადად ახ. წ. II-III სს. თარიღდება.

[14] ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937-1946 წლების განათხარის მიხედვით, მცხეთა 1. თბილისი, 1955.

[15] ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, ტაბ. XX-XXIII.

[16] მ. სინაურიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით), კრებულში: მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის 1. თბ. 1966, გვ. 39-90

[17] ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXX, XXXI.

[18] ალ. ბოხოჩაძე, ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. კრებულში «საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს (მოკლე ანგარიშები)» თბ., 1974, გვ. 54.

[19] ალ. ბოხოჩაძე, ალ. კალანდაძე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1968 წლის ჩატარებული მუშაობის შედეგები. XVIII სამეცნიერო სესია მიძღვნილი საქართველოში 1968 წელს წარმოებული არქეოლოგიური კვლევის შედეგებისადმი. თბ., 1969, გვ. 26-27.

როგორც ერწოს ველის მასალების შესწავლა გვიჩვენებს, ყელწიბოვანი ჩაფების გავრცელება გვიანბრინჯაოს ხანაში იწყება, რაც კარგად დაადასტურა ახალი ჟინვალის სამაროვანზე ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ[20].

სამზარეულო ჭურჭელი. ქუშანაანთგორის ნამოსახლარზე მრავლად მოვიპოვეთ სამზარეულო ჭურჭლების, კერძოდ ქოთნების, ნატეხები. მათი ფრაგმენტები გვხვდებოდა ნამოსახლარის სხვადასხვა კუთხეში არსებულ ორმოებში, რომელთა დანიშნულებაც მთლად ნათელი არ არის (ჩვენ ამ ორმოების შესახებ რამდენადმე ვრცლად ვისაუბრებთ ქვემოთ).

სამზარეულო ჭურჭელი, როგორც საოჯახო მეურნეობის აუცილებელი ატრიბუტი, ფართოდ იყო ხმარებაში საკმაოდ დიდი დროის მანძილზე. ერწოს ნამოსახლარებზე მათი რიცხვობრივი შეფარდება კერამიკის სხვა დანარჩენ სახეობებთან გვიჩვენებს, რომ იგი მთელი თიხის ნაწარმის დაახლოებით 1/3-ს წარმოადგენს.

ქუშანაანთგორაზე მოპოვებულ სამზარეულო ჭურჭელს[21] ახასიათებს მეტწილად გადაშლილი ბაკო, დაბალი ყელი, სფერული მუცელი და საკმაოდ დიდი დიამეტრის მქონე ბრტყელი ძირი. თიხა, შედარებით სასუფრე-საოჯახო ჭურჭელთან, უხეშია, მაგრამ საკმაოდ მკვრივი. ამ ჭურჭლების თიხა მეტწილად გამომწვარია ლეგა-მონაცრისფროდ, ან ნაცრისფრად, ბევრ მათგანს ეტყობა ცეცხლზე შებოლვის კვალი. ქოთნების ერთი ნაწილი სადა ყოფილა, მაგრამ ნაწილს აქვს ირიბი და ტალღური ნაჭდევები. ქოთნების დიდ ნაწილს ჰქონია თითო ყურა, მიძერწილი ჭურჭლის მუცელზე (ტაბ. 7, სურ. 1 № 177). გვხვდება ორყურა ხიმუშებიც.

შავლეგა ჭურჭლების უდიდესი ნაწილი წარმოადგენს სადუღარ ქოთნებს, კერძის დასამზადებელ ჭურჭლებს, მაგრამ ნაწილი, რომელთაც არ ეტყობათ ცეცხლზე ხმარების კვალი, შესაძლოა რძის პროდუქტების მოსაკავებელი ჭურჭელი იყოს.

ერწოს ველი, როგორც მთის ზონაში შემავალი ქვეყანა, უძველესი დროიდანვე მისდევდა მესაქონლეობას, რაც კარგად გვიჩვენა „რკინის კალოზე“ 1963—69 წლებში ჩატარებულმა საველე მუშაობამ[22]; მაგრამ ჩვენ მესაქონლეობას, კერძოდ რძის პროდუქტების შენახვას, ვუკავშირებთ არა მარტო ლეგა ჭურჭლების ერთ ჯგუფს, არამედ დერგებს, დიდრონი ბადიების ნატეხებს და სხვა.

ქუშანაანთგორის ნამოსახლარის ნაშთებში და საძიებო თხრილებში მოპოვებულია საოჯახო მეურნეობასთან დაკავშირებული საგნები: ხელისწისქვილთა და ხელსაფქვავთა ნატეხები, კვირისტავები, სალესი ქვები და სხვა, რაც საშუალებას გვაძლევს უფრო სრულად გავარკვიოთ ერწოს ველის მოსახ-

---

[20] რ. რამიშვილი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ახალ ჟინვალში. გვ. 22. № 5 სამარხში აღმოჩნდა ორყურა ჩაფი, რომელიც თანმხლები ინვენტარით კარგად თარიღდება ახ. წ. III ს. დასასრულით და IV ს. დამდეგით.

[21] ქ. გ. 66=12, 25, 163, 173, 174, 177, 178—185 და ქ. გ. 67=298, 323, 326, 331, 333, 338 352, 403 და სხვ. (ტაბ. 7. სურ. 1).

[22] «რკინის კალოს» სამარხეულ კომპლექსებში, რომელიც ძირითადად ძვ. წ. ა. VIII-VI საუკუნეებით თარიღდება, მრავლად ჩნდებოდა შინაური ცხოველთა ძვლები, რომელთაგან უმრავლესობა ეკუთვნოდა მსხვილფეხა პირუტყვს და ცხვარს. თვით ქუშანაანთგორის ნამოსახლარზე ცხოველთა ძვლებს შორის დიდი ხვედრითი წონა აქვს მსხვილფეხა საქონლის ძვალს (მაგ. ქ. გ. 66=197, 198, 199 და სხვა) .

ლეობის სამეურნეო საქმიანობა ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ანდეზიტის თხელი ჭვებისაგან გამოკოპიტებულ ხელისწისქვილთა ნატეხების აღმოჩენის ფაქტს. ზოგიერთი ნატეხის სიდიდე გვაფიქრებინებს, რომ იგი წისქვილშიც შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული (მდინარე თრანულაზე წისქვილის მოწყობა დღესაც არის შესაძლებელი). ამგვარი მასალის სიუხვე მიუთითებს ერწოში მემინდვრეობის, კერძოდ პურეული კულტურების, დიდ ხვედრით წონაზე. ამავე ფაქტის მეტყველი დადასტურებაა ისიც, რომ ნამოსახლართა სინქრონულ ორმოებში (№ 1 და № 4) ფსკერზე ქერის და ხორბლის ნაშთები იქნა აღმოჩენილი[23]. საყურადღებოა, რომ ზოგიერთ ორმოში (ტაბ. 12 სურ. 2), სხვადასხვა საოჯახო ნამუსრევთან ერთად, ხორბლის ნაშთები და ხელისწისქვილთა თუ ხელსაფქვავთა ნატეხები ერთად არის ხოლმე აღმოჩენილი. ხელისწისქვილის ნატეხებთან ერთად[24] ქუშანაანთგორაზე ჩნდება მოგრძო ხელსაფქვავთა ზედა ქვის ნატეხებიც, რომლებიც ერწოს ველზე ძველი (ენეოლითური) ტრადიციის რეპლიკას უნდა წარმოადგენდეს. ამ მოგრძო ხელსაფქვავებს გვიანარმაზულ ხანაში, როგორც ჩანს, საგანგებო დანიშნულება ჰქონდა[25].

გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს კვირისტავებიც. მართალია, მათი რიცხვი არც ისე დიდია, მაგრამ მაინც გვხვდება როგორც ნასახლართა ნანგრევებზე, ასევე ორმოებშიც. ერთ-ერთი კვირისტავი, მაგ., თიხისაა[26], ქვევიდან გლუვია, ზედა მხარეს კონუსური, გამოძერწილი კარგად განლექილი თიხისაგან (დმ 4 სმ).

მესაქონლეობით განთქმულ მხარეში, იქ, სადაც ცხვრის მოშენებას უძველესი დროიდანვე მისდევდნენ (ამის დასტურია ცხვრის ძვლების სიუხვე), სრულიად ბუნებრივია, რომ განვითარებულიყო მეურნეობის ისეთი დარგი, როგორიცაა მატყლის დამუშავება, ძაფის წარმოება და მასთან დაკავშირებული ხელსაქმე.

ქუშანაანთგორის ნამოსახლარზე, კულტურულ ფენებში, გარდა ზემოაღნიშნულისა, აღმოჩენილია ისრისპირი[27], შუბისპირი[28], რკინის მუჯირას[29] ნატეხი და სხვა, რაც გარკვეულ შუქს ჰფენს ძველ ერწოელთა შეიარაღების ისტორიას. ამ საბრძოლო იარაღს საიდან იღებდა ერწოს მოსახლეობა, ძნელია ახლა მსჯელობა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნამოსახლართა ნანგრევებში, განსაკუთრებით ზოგიერთ ორმოში, რკინის წიდის ნაშთები იქნა აღმოჩენილი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობისათვის ლითონის დამუშავება არ უნდა ყოფილიყო უცხო.

ო რ მ ო ე ბ ი. ქუშანაანთგორის ნამოსახლარის ნაშთების დახასიათება არ

---

[23] ერწოს ველის მოსახლეობა ხორბლეული კულტურების წარმოებას დღესაც დიდი ხალისით მისდევს. ერწო ივრის ხეობის მოსახლეობისათვის ჩითვლებოდა ერთგვარ «ბეღლად» და პურეული საკვების მარაგის შევსების მნიშვნელოვან კერად (პატარა «შირაქად»).

[24] ჭ. გ. 66=9, 196, 191 და სხვა.

[25] ჭ. გ. 66=150[1]. შესაძლოა ისინი გამოიყენებოდნენ ჭირნახულის რომელიღაც სახეების დასამუშავებლად. ხელწისქვილთა ნატეხები საკმაოდ დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ახალ ჯინვალშიც, ზუსტად ისეთსავე ვითარებაში, ძველ ნასახლართა ნანგრევებსა და ორმოებში, მაგრამ იქ მოგრძო ხელსაფქვავთა ნატეხების აღმოჩენას ადგილი არ ჰქონია.

[26] ჭ. გ. 67-319.

[27] ჭ. გ. 66=40

[28] ჭ. გ. 66=41

[29] ჭ. გ. 66=42.

იქნება სრული, თუ ორიოდე სიტყვით არ შევეხებით იმ ორმოებს, რომლებიც საკმაო რაოდენობითაა აღმოჩენილი ნამოსახლარისა და განსაკუთრებით კი სამაროვნის ტერიტორიაზე. თუ რა მიმართებაში იყო ეს ორმოები სამოსახლოსთან ან ცალკეულ შენობებთან, ან რა მიზნით აკეთებდნენ მათ, ჯერჯერობით მთლად კარგად არ არის გარკვეული. ვიდრე ჩვენ შევეცდებით გამოვთქვათ გარკვეული თვალსაზრისი ამ ორმოებთან დაკავშირებით, ქვემოთ აღვწერთ რამდენიმე ტიპიურ და შედარებით „შინაარსიან" ორმოს[30].

ორმო № 1. მდებარეობდა 1966 წელს გათხრილ III თხრილში (ტაბ. 8). წარმოადგენდა თიხნარ ნიადაგში ჩაჭრილ ფუძეგანიერ მრგვალ ორმოს, რომლის ზედა ნახევარი სახნისის წვერით იყო დანგრეული, გამომწვარი თიხისა და ბათქაშის ნატეხები ნახნავის ზედაპირზე იყო მიმოფანტული. მიწის ზედაპირიდან 0,6—0,7 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა ორმოს ხელუხლები ნაწილი. ამ დონეზე ორმოს დიამეტრი 1,7 მეტრს აღწევდა. ორმოს შუა ნაწილში გავლებულმა საკონტროლო თხრილმა გვიჩვენა, რომ მისი საერთო სიღრმე მიწის ზედაპირიდან 1,5 მეტრს უდრიდა (ტაბ. 10, სურ. 1). ორმოს იატაკი რამდენადმე უსწორმასწორო ჩანდა, დიამეტრი 1,9 მეტრს არ აღემატებოდა. ჩვენი ვარაუდით, პირის დიამეტრი 1,4—1,5 მეტრი უნდა ყოფილიყო (ტაბ. 11, სურ. 2, ტაბ. 12, სურ. 2).

ორმოს ხელუხლებ ნაწილში კარგად ჩანდა, რომ იგი ამოვსებული იყო ძლიერი ცეცხლის შედეგად გამომწვარი თიხის მასით, რომელთა შორის ჭარბობდა სამშენებლო ბათქაშის ნატეხები. ბათქაშთა ერთი ნაწილი კვეთში სამკუთხა მოყვანილობისა იყო. ზოგიერთებს წნულის ანაბეჭდი ჰქონდათ შემორჩენილი. საყურადღებოა, რომ თვით ორმოს კედლებს არ ემჩნეოდათ ცეცხლის კვალი. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ორმო ამოავსეს ხანძრისაგან გადაბუგული შენობის ნაშთით. გარდა სამკუთხა ბათქაშებისა, ორმოში სხვადასხვა დონეზე ჩნდებოდა ალიზის აგურთა ნაშთები. ერთ-ერთი ყველაზე უფრო კარგად შემონახული ნახევრად გამომწვარი ფრაგმენტის მიხედვით ჩანს, რომ ალიზის აგურს უნდა ჰქონოდა კვადრატული მოყვანილობა (40×40 სმ), ხოლო სისქე 7,5—8 სმ[31]. ალიზის აგურის თიხა უხეშია, ურევია ღორღი და ბზე; ეტყობა, აგურის დასაყალიბებლად გამოყენებული იყო ხის სპეციალური ყუთი, წყობაში უხმარიათ თიხის ხსნარი, რისი ნაშთიც ალიზის აგურის ორივე მხარესაა შემორჩენილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ სამშენებლოდ იყენებდნენ გამოუწვავ, ჩრდილში კარგად გამომშრალ აგურებს, იგი ძლიერი ხანძრის შედეგად უხდა იყოს სახახევროდ გამომწვარი.

№ 1 ორმოში, გარდა ზემოჩამოთვლილისა, აღმოჩნდა თიხის საოჯახო ჭურჭლის უამრავი ნატეხი, ხელისწისქვილისა და ქვევრის რამდენიმე ფრაგმენტი, ხოლო ორმოს ძირზე, მიწის ზედაპირიდან 1,45 მეტრის სიღრმეზე, მთელი

---

[30] სულ ქუშანაანთგორის გვიანარმაზული ხანის ნამოსახლარსა და სამაროვანზე გამოვლინდა 20-მდე ორმო. აქედან 14 ორმო მდიდრული სამარხების უბანში გაითხარა. ჩვენ თავის დროზე არ მოგვეცა საშუალება ნამოსახლარის რომელიმე მონაკვეთზე ისეთივე ფართო სამუშაოები გვეწარმოებინა, როგორც სამაროვნის მდიდრულ უბანზე, თორემ შესაძლებელია ეს ორმოები იქაც ისეთივე სიხშირით გამოვლინებულიყო, როგორც სამაროვანზე. დანგრეულ ნასახლარებს შორის არსებული ორმოები მიკვლეული იყო საკონტროლო თხრილების მეშვეობით და მათი უმრავლესობა ძირფესვიანად იყო ამობრუნებული პლანტაჟის გუთნის მიერ. სამაროვანზე ორმოები შედარებით უკეთ იყო დაცული.

[31] ქ. გ. 66-192.

ფსკერი მოფენილი იყო დანახშირებული ხორბლისა და ქერის სქელი ფენით. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტთა დიდ ნაწილს ემჩნეოდა ძლიერ ცეცხლში მოხვედრის კვალი. ამ ნატეხთა შორის საყურადღებოა:

ხ ე ლ ა დ ი ს ყ ე ლ-პ ი რ ი[32]. მონაცრისფრო კეცით. ჭურჭელს ჰქონია მრგვალი პირი, ცილინდრული ყელი დაბალრელიეფური წიბოთი და ცალი ყური. პირის დმ 9,3 სმ; ყელის სიმაღლე 4,5 სმ; კეცის სისქე 0,5 სმ.

ო რ ყ უ რ ა ჩ ა ფ ი ს პ ი რ-ყ ე ლ ი[33]. შეკოწიწებული. გამომწვარია მონაცრისფროდ (შესაძლოა ეს ფერი ძლიერ ცეცხლში ხელმეორედ მოხვედრის შემდეგ მიეცა). ჭურჭელს ჰქონია მრგვალი გადაშლილი პირი თხელი ბაკოთი, მრგვალი ცილინდრული მაღალი ყელი, შემკული ერთი წრიული რელიეფური წიბოთი. ყურის თავები მიძერწილი ჰქონია ამ წიბოზე, ურთიერთმოპირდაპირედ. თიხა კარგადაა განლექილი და დამჭლევებულია წმინდა სილით. კეცი მკვრივია. გამომწვარია თახაბრად.

პირის დმ 13 სმ; ყელის სიმაღლე 10 სმ; მანძილი პირიდან წიბომდე 5,5 სმ; კეცის სისქე 0, 7 სმ.

ქ ო თ ნ ი ს პ ი რ-ყ ე ლ ი ს მ ც ი რ ე ნ ა ტ ე ხ ი[34] . ლეგა-მოვარდისფრო. ჭურჭელს ჰქონია ოდნავ გადაშლილი პირი, რამდენადმე შემაღლებული ყელი და სფერული მუცელი. თიხა დამჭლევებულია სილით და შეიცავს კირქვის წვრილი მარცვლების მინარევსაც. კეცი მკვრივია და გამომწვარია სრულად. № 1 ორმოში აღმოჩნდა სამზარეულო ჭურჭლის დიდძალი ნატეხები, რომელთა შორის უმრავლესობა ეკუთვნოდა ცალყურა ქოთნებს. ზოგიერთ მათგანს ყური მუცელზე ჰქონდა დაძერწილი[35], ზოგიერთს კი პირ-ბაკოსა და მხარზე[36].

სამეურნეო ჭურჭელს შორის ყურადღებას იქცევს ქვევრის ძირების, გვერდებისა და პირის ფრაგმენტები[37]. ამ მასალის მიხედვით ქვევრებს უნდა ჰქონოდათ ბაკოგანიერი პირი, დაბალი ყელი, რელიეფური სარტყლებიანი ტანი და ბრტყელი, ოდნავ „ჭუსლისებრი“, გამოყვანილი ძირი.

ქვევრის ნატეხთაგან ერთი ძლიერაა გადამწვარი. მისი ასე გამოფიტვა შეუძლებელია მივაწეროთ ხანძარს. იგი უფრო საწარმოო წუნის შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც იქნებ ასეთი ქვევრების ადგილობრივი წარმოების მანიშნებელი იყოს.

უნდა შეინიშნოს, რომ ერთიდაიმავე ჭურჭლის ნატეხები ორმოში ჩნდებოდა სხვადასხვა დონეზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მთელი ნამუსრევი და გადამწვარი თიხა-ბათქაში ორმოში ერთბაშად იყო ჩახვეტილი.

ორმოს ფსკერის სიახლოვეს, სხვადასხვა დონეზე აღმოჩნდა ერთი ხელისწისქვილის ზედა ქვის რამდენიმე ნატეხი[38]. ხელისწისქვილს შუაში ჰქონდა მრგვალი ხვრელი (მარცვლეულის ჩასაყრელად), გარშემო რელიეფური წრით. ამასთანავე, თუ ხელისწისქვილის შუა ნაწილში ქვის სისქე 3,5 სმ არ აღემატება, ნაპირის სისქე 5 სმ. ნაპირზე ერთ ადგილას აქვს სახელურის ჩასამაგ-

---

[32] ქ. გ. 66-185, ტაბ. 6, სურ. 1.
[33] ქ. გ. 66-183, ტაბ. 6, სურ. 1.
[34] ქ. გ. 66=184, ტაბ. 6, სურ. 1.
[35] ქ. გ. 66=177, ტაბ. 7. სურ. 1.
[36] ქ. გ. 66=178.
[37] ქ. გ. 66-186, 187, 189.
[38] ქ. გ. 66-191.

რებელი მცირე ხვრელი. ხელისწისქვილი დამზადებულია ანდეზიტის საკმაოდ მკვრივი ქვისაგან (დმ 45 სმ).

უნდა ვივარაუდოთ, რომ № 1 ორმოს თავიდან სამეურნეო დანიშნულება უნდა ჰქონოდა. მის ფსკერზე შემონახული ხორბლისა და ქერის სქელი ფენა, ალბათ, ამის მყარ საბუთად უნდა მივიჩნიოთ. სასურსათო და, კერძოდ, ხორბლის შესანახი ხაროები საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი, ადრე სამიწათმოქმედო კულტურების დროიდან, არის ცნობილი და, რომ გვიანარმაზულ ხანაში ნამოსახლარზე ამ დანიშნულების ორმოები ჰქონდათ, არ უნდა მივიჩნიოთ უჩვეულოდ. ერწოს ველი ისტორიულ კახეთში წარმოადგენდა მემინდვრეობის ერთ-ერთ მძლავრ კერას და ხორბლისა და ქერის წარმოება, როგორც ჩანს, იქ უძველესი დროიდან მდგარა მაღალ საფეხურზე. ხორბლისა და ქერის ორმოები, არქეოლოგიური მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უშუალოდ ნიადაგში იჭრებოდა, თიხნარი ნიადაგი ამ მიზნით ალბათ, საუკეთესო უნდა ყოფილიყო.

არქეოლოგიური მონაპოვარი, რომელიც ამ ორმოში იქნა აღმოჩენილი, გვიანარმაზული ხანის გასულით და ადრე შუა საუკუნეთა დამდეგით უნდა დათარიღდეს, რაზედაც პირველ რიგში მიუთითებს ყელწიბოვანი ჭურჭლების და, კერძოდ, ორყურა ჩაფების ნატეხების აღმოჩენა, მაგრამ თვით ორმო, უფრო ადრეული უნდა იყოს მასში მოხვედრილ „ნამუსრევთან" შედარებით. ამ ორმოს ამოთხრის (მოწყობის) თარიღის დადგენა ამჟამად რთულია, მაგრამ მისი გაუქმების თარიღს უნდა მიუთითებდეს ის უამრავი ნამტვრევი და გადამწვარი თიხა-ბათქაში, რომელიც, ეტყობა, ერთბაშად იქნა ჩახვეტილი ამ ორმოში. შესაძლოა, უკვე არსებული ორმო გარკვეულ დროს (ალბათ, ადრექრისტიანული ხანის დამდეგს) გამოიყენეს სანაგვედ და შიგ ჩაყარეს ხანძრის შედეგად გადაბუგულ ნასახლარზე ახვეტილი თიხა-ბათქაში და საოჯახო საგნების ნამსხვრევები. იქნებ ეს მოქმედება ნამოსახლარზე აღდგენითი სამუშაოების ჩატარებასაც დავუკავშიროთ.

ჩვენ ვერ ვიტყვით დაბეჯითებით, რომ ყველა ორმო, რომლებიც გვხვდება გვიანარმაზული ხანის ნამოსახლარებისა თუ სამაროვნების ტერიტორიაზე მაინცა და მაინც სამეურნეო დანიშნულებისა იყო, მაგრამ ვიდრე ამ საკითხს შევეხებოდეთ, ქვემოთ კიდევ აღვწერთ რამდენიმე ორმოს.

ორმო № 2. მდებარეობდა XIV თხრილში (ტაბ. 8), რომლის აღმოსავლეთი ნახევარი მოფენილი იყო კედლის შელესილობის დიდძალი ნატეხებით, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებითა და გადამწვარი თიხამიწით. თვით ორმო, რომლის დიამეტრი 2,5 მეტრს აჭარბებდა, თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა და თითქმის წრიული მოყვანილობისა იყო. ორმო ამოვსებული იყო ერთიმეორეზე დადუღაბებული ბათქაშებით. ამ შემთხვევაშიაც გამოითქვა ვარაუდი, რომ ეს იყო წნულკედლებიანი, თიხით შელესილი შენობის ნაშთები, რომელიც ხანძრის შედეგად განადგურდა. ორმოს ამოწმენდა მთლიანად არ მოხერხდა, მაგრამ პრეპარირებული ნაწილის მიხედვით ჩანდა, რომ მისი ფსკერი 0,7 მეტრის სიღრმეზე იყო მიწის ზედაპირიდან. თვით ის „ნამუსრევი", რაც ორმოში იყო მოქცეული, მყარი დათარიღების საშუალებას არ იძლევა, მაგრამ მისი ურთიერთობა № 8 სამარხთან (ეს უკანასკნელი დაიზანებული იყო ორმოს ამოთხრის დროს, სამარხი თარიღდება IV საუკუნის დამდეგით. დაწვრილებით იხ. II თავში) თითქოს იმის მანიშნებელია, რომ IV საუკუნის დამდეგზე ადრე ორმო არ უხდა არსებულიყო.

ორმო № 3. მდებარეობდა XXI თხრილში № 4 და 5 კვადრატების ზღვარზე (ტაბ. 8). ეკუთვნოდა შედარებით მცირე მოცულობის ორმოთა ჯგუფს (დმ 1 მ; სიღრმე 0,9 მ) ამოვსებული იყო ნაცროვან-ნახშიროვანი მასით, რომელშიაც ერია რიყის მომსხო ქვები (ტაბ. 12, სურ. 1) და თიხის ჭურჭლის ნატეხები. თიხის ჭურჭლის ნატეხებს შორის ჭარბობდა ჩალისფრად ან მოწითალოდ გამომწვარი ხელადის ნატეხები, მათ შორის ყურ-პირისა[39]. გვხვდებოდა მონაცრისფროკეციანი სამზარეულო ჭურჭლის ნატეხებიც, რაც სამარხეულ კერამიკასთან შედარების მეშვეობით შესაძლოა III საუკუნით დავათარიღოთ.

ორმო № 4. მდებარეობდა XXV თხრილში (ტაბ. 8, ტაბ. 15, სურ. 2). თავისი მოცულობით ემსგავსება № 1 ორმოს, მხოლოდ კედლები ნიადაგში სწორად ჰქონდა ჩაჭრილი და ცილინდრული მოყვანილობისა იყო (პირის დმ 1,8 მ; სიღრმე 1,1 მ). მისი ზედა ნაწილი სახნისისაგან შედარებით ნაკლებად იყო დაზიანებული. მიწის ზედაპირიდან 0,6—0,7 მეტრის სიღრმეზე თავი იჩინა ცხვრის ძვლებმა[40]. ძვლების განლაგების მიხედვით ჩანდა, რომ ამ ორმოში ცხვრის ხორცი მთელ ბარკლებად ჩაუწყვიათ. მეოთხედი და ნახევარი ცხვრის ძვლების სიმრავლე და მათი განლაგება თითქოს იმაზე მიუთითებს, რომ იქ რაღაც რიტუალთან უნდა გვქონოდა საქმე. ძვლები ეწყო მძლავრ ნაცროვან-ნახშიროვან ფენაზე, რომელშიც ერია თიხის ჭურჭლის ნატეხები და უფრო ღრმად კი რიყის ქვები. № 4 ორმო განსაკუთრებით მდიდარი იყო სხვადასხვაგვარი თიხის ჭურჭლის ნატეხებით და სხვა მასალით, რომელთა შორის საყურადღებოა:

დ ა ნ ა, რ კ ი ნ ი ს. ორი ცალი[41]. მცირე ზომის, ცილპირა, სატარე ყუნწის ნაშთით. ერთ-ერთი უკეთ დაცული დანის სიგრძეა 8 სმ; სიგანე 1,9 სმ. ორივე დანა იდო ცხვრის ძვლების სიახლოვეს, მიწის ზედაპირიდან 0,8 მეტრის სიღრმეზე.

ხ ე ლ ა დ ი ს ნ ა წ ი ლ ი[42]. შეკოწიწებული, მოყვითალო-მოჩალისფრო კეცით. ჭურჭელს ჰქონია გადაშლილი პირი, მრგვალი ყელი, ცალი ყური და ბრტყელი ძირი. ყელზე, მხრის სიახლოვეს, აქვს დაბალრელიეფური წრიული წიბო. თიხა წმინდაა, დამჭლეებულია სუფთა სილით, გამომწვარია სრულად. პირის დმ 5 სმ; სიმაღლე 15 სმ; ძირის დმ 7 სმ. ჭურჭელი მოპოვებულია ცხვრის ძვლების სიახლოვეს. იმავე ფენაში ნაპოვნია ყელწიბოვანი ჭურჭლების სხვა ხატეხებიც[43].

ქ ო თ ნ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი[44]. ლეგა-მონაცრისფრო. უმეტესობა ცეცხლზე სადგამი ჭურჭლებისაა. ძირითადად პირ-გვერდისა და ძირის ნატეხებია შემორჩენილი. ყველა შემთხვევაში თიხა უხეშია, დამჭლეებულია სილით. სამზარეულო ჭურჭლის ნატეხები ბევრი იყო ორმოს ქვედა ფენებშიც.

ა ლ ი ზ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი[45]. აგრეთვე მთელს ორმოში გვხვდებოდა, მაგრამ უფრო მეტი რაოდენობით აღმოჩნდა ორმოს შუა ნაწილში. ზოგიერთ მათგანზე შემორჩენილია წნელის ანაბეჭდები. თიხა უხეშია. ძლიერი ხანძრისაგან ზოგიერთი ნატეხი გაწითლებულია.

---

[39] ჭ. გ. 67=326.
[40] ჭ. გ. 67=329.
[41] ჭ. გ. 67=328.
[42] ჭ. გ. 67=332, ტაბ. 4.
[43] ჭ. გ. 67=331.
[44] ჭ. გ. 67=343, 338.
[45] ჭ. გ. 67,—335, 337.

მ ი ნ ი ს ჭ უ რ ჭ ლ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი[46]. მომწვანო ჭურჭლის მოყვანილობის აღდგენა შეუძლებელია. ფაქტურით უახლოვდება მინის იმ ჭურჭლებს, რომლებიც III—IV საუკუნეთა სამარხებშია აღმოჩენილი.

კ რ ა მ ი ტ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი[47]. ეკუთვნის ბრტყელ გვერდაკეცილ კრამიტებს. ისინი თითქმის მთელ ორმოში იყო მიმოფანტული. ფაქტურით, ზომა-მოყვანილობითა და დამზადების ტექნიკით № 4 ორმოს კრამიტები განსხვავდება გვიანანტიკური ხანის კრამიტისაგან და უფრო ჭუშანაანთგორის ადრე შუა საუკუნეთა კრამიტების მსგავსია.

ორმოს ქვედა ნაწილში, ფსკერის დონეზე, ნაკროვან-ნახშიროვანმა მასამ იკლო, რიყის ქვებსა და შავმიწა ნიადაგს შორის აღმოჩნდა ბ ა დ ი ი ს მ ო ზ რ დ ი ლ ი ნ ა ტ ე ხ ე ბ ი[48], რომელსაც ჰქონია ბაკოსქელი, გაშლილი პირი, დამრეცი კალთები და ოდნავ გამოყვანილი ბრტყელი ძირი. კეცი გამომწვარია მოწითალოდ. თიხა რამდენადმე უხეშია. სიმაღლე 12 სმ; ძირის დმ 9 სმ.

ორმოში აღმოჩენილი მასალა მთლიანად უფრო ადრექრისტიანული ხანისა ჩანს, რაზედაც კრამიტთან ერთად მიუთითებს ყელწიბოვანი და ბრტყელძირა ხელადის აღმოჩენის ფაქტიც. შესაძლოა, ორმო უფრო ძველი იყოს და, მსგავსად № 1 ორმოსი, იგი რამდენადმე გვიან იყოს შევსებული, მაგრამ ორმოს შუა ნაწილში სამსხვერპლო ცხოველის (ცხვრის) ძვლების აღმოჩენა და ხაცარ-ხახშირის სქელი ფენა თითქოს ისეთ საცდურს გვიქმნის, რომ იგი მივიჩნიოთ რიტუალურ დანიშნულების ორმოდ. შესაძლებელია, მას შემდეგ, რაც გვიანარმაზული ხანის სამოსახლო შეცვალა ადრე შუა საუკუნეებისამ, მდიდრული სამარხების უბანზე, ძველი ტრადიციით, ვითარცა წმინდა ადგილზე, კვლავაც (ე. ი. ადრე შუა საუკუნეებშიაც) გრძელდებოდა რიტუალური პროცესები.

საერთოდ, ამ ორმოების შესწავლის დროს ხშირად ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ზოგიერთ მათგანს რიტუალური დანიშნულება გვიანარმაზულ ხანაშიაც შეიძლებოდა ჰქონოდა. რა თქმა უნდა, ჩვენ არასდროს გამოვრიცხავთ ამ ორმოების სამეურნეო დანიშნულებას, მაგრამ ზოგიერთს რომ აღმოაჩნდეს რაიმე კავშირი მიცვალებულის კულტთან, არ უნდა იყოს გამორიცხული.

ამასთანავე იმასაც ვვარაუდობთ, რომ ადრექრისტიანულ ხანაში გვიანარმაზული ხანის ნამოსახლარიდან ახვეტილი ნანგრევებისათვის ზოგჯერ ძველი ორმოები გამოუყენებიათ და ზოგჯერ ახლებიც ამოუთხრიათ (მაგ. ორმო № 2).

ორმო № 8 (ტაბ. 8). ერთიანდება შედარებით მომცრო ორმოების ჯგუფში. იგი იყო მრგვალი, ცილინდრული მოყვანილობის (პირის დმ 1 მ; სიღრმე 0,9 მ). ორმოს გადარჩენილი ნაწილი სავსე იყო ნაცარნარევი ნახშირიანი მასით, რიყის ქვებითა და ჭურჭლის ნატეხებით. თავდაპირველად იგი კრემაციულ სამარხად ან კენოტაფად მივიჩნიეთ, რაზედაც თითქოს შიგ ჩატანებული საალაპე ხორცისაგან დარჩენილი ცხვრის ძვლები[49] მიუთითებდა, მაგრამ მისი ფსკერის სრული პრეპარაციის შემდეგ გაირკვა, რომ საქმე გვქონდა ჩვეულებრივ ორმოსთან (ტაბ. 14, სურ. 1, 2). კერამიკულ მასალაში გვხვდებოდა ჩალა-ფერკეციანი ამ მოწითალოდ გამომწვარი ხელადისა[50] და სამზარეულო ქოთნების.

---

[46] ჭ. გ. 67=327.
[47] ჭ. გ. 67=342, 345.
[48] ჭ. გ. 67=348.
[49] ჭ. გ. 67=301.
[50] ჭ. გ. 67=299,300.

ნატეხები, რომელთაგან ერთს აქვს გადაშლილი პირი, მრგვალი პატარა ყური, გაშობერილი მუცელი და ბრტყელი ძირი[51].

ორმო № 9. მდებარეობდა XXVII თხრილში (ტაბ. 8). ამ ორმოს ზედა ნაწილიც სახნისის მიერ დაზიანებული იყო და შევსებული ჩანდა შავმიწა ნიადაგითა და ფსახური ნატეხებით. 1—1,15 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა რიყის ქვებისაგან შედგენილი ყრილის პირველი ფენა (ტაბ. 14, სურ. 3). თხელი სტერილური ფენის შემდეგ 1,3 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა ქვაყრილის მეორე ფენა, რომელიც შედარებით უფრო მსხვილი ქვებით იყო შედგენილი. ორმოს ფსკერი მთლიანად შევსებული იყო ნახშირნარევი ნაცრით. შუა ნაწილში, ძირზე, ელაგა მსხვილფეხა საქონლის ძვლები, ხოლო სამხრეთ ნაპირთან გვერდაკეცილი ბრტყელი კრამიტის რამდენიმე ნატეხი[52] (ორმოს დმ 1,45 მ; სიღრმე 1, 4 მ).

ორმოს ქვედა ნაწილში და განსაკუთრებით ფსკერზე აკრეფილი მასალების მიხედვით, ხარო შესაძლებელია გვიანარმაზული ხანით (II—III საუკუნეებით) დათარიღდეს. ამის სასარგებლოდ, პირველ რიგში, მეტყველებს მცხეთური ტიპის სოლენის ნატეხების აღმოჩენის ფაქტი, რომელთაგან ერთი წითელი წერაქითაა დაფარული. ასეთ თარიღს არ ეწინააღმდეგება მოწითალოდ გამომწვარი ქვაბქოთნის მოზრდილი ფრაგმენტები[53]. ამ ჭურჭელს უნდა ჰქონოდა მოყრილი პირი, სფერული მუცელი და ბრტყელი ძირი. ერთ-ერთ მოზრდილ ნატეხზე შემორჩენილია შემკულობის ნაშთი, მცირე ნაჭდევი წრეების მწკრივი, რომელიც მოთავსებულია პირს ქვემოთ, და 3-იანის მსგავსი გამოსახულებების ერთი მწკრივი, წრიული ნაჭდევების ქვემოდან.

ასევე გარკვეულ ინტერესს იწვევს მსხვილფეხა საქონლის (ძროხის) ყბისა და ბარძაყის ძვლების აღმოჩენის ფაქტიც. როგორც ცნობილია, ცხვარი როგორც „სახარჯო“ ცხოველი, რიტუალური წესების შესრულებისას უფრო ხშირად იკვლებოდა, მსხვილფეხა საქონელს კი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იყენებდნენ, ნამოსახლარსა და სამაროვანზე გათხრილ ობიექტებზე ამიტომაც მსხვილფეხა საქონლის ძვლები იშვიათია, რაც, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ერწოელთა მეურნეობაში მეცხვარეობა იყო წამყვანი და მსხვილფეხა პირუტყვს კი ნაკლები პატივისცემა ჰქონდა.

მთლად კარგად ვერ ხერხდება № 9 ორმოს დანიშნულების გარკვევა. თუ იგი სამეურნეო მიზნით იყო ამოღებული, მაშინ გაურკვეველია, თუ რატომ ძოაწყვეს მის ქვედა ნაწილში ორფენიანი ქვაყრილი და რატომ გაჩნდა შიგ დიდძალი ნაცარ-ნახშირი. შესაძლოა, ქრონოლოგიურად ეს ორმო წინ უსწრებდეს მდიდრულ სამაროვანს, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ იგი სამარხთა სინქრონული იყოს და მისი ამოთხრა რომელიმე სამარხის (კერძოდ, № 11 სამარხი) რიტუალთან იყოს დაკავშირებული.

მასალის შედგენილობითა და ასაკით № 9 ორმოსთან ახლოა № 6 ორმო.

ორმო № 12. მდებარეობდა XXVIII თხრილის IV კვადრატის აღმოსავლეთ ჭრილში (ტაბ. 8. და ტაბ. 11, სურ. 1). გათხრა მთლიანად არ მოხერხდა, მაგრამ მისი დასავლეთი ნახევრის მიხედვით გაირკვა, რომ ორმო ამოვსებული იყო

---

[51] ჭ. გ. 67=297.

[52] ჭ. გ. 67=354.

[53] ჭ. გ. 67=355, ტაბ. 6, სურ. 3.

რიყის ქვებით, ბათქაშის[54], სამხარეულო და სუფრის ჰურჭლის ნატეხებით[55], წაცარ-ნახშირით და სხვ. (დმ 1,2; სიღრმე 1,1 მ).

მდიდრული სამარხების უბანში გამოვლინდა 15 ორმო, რომელთაგან მთლიანად გაითხარა 11, 4 კი ნაწილობრივ. ორმოებში მოპოვებულია საკმაოდ საყურადღებო მასალა, რომლის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გარკვეული სიცხადე შევიტანოთ ამ ორმოების რაობის გარკვევაში, თუმც წინასწარვე უნდა ითქვას, რომ ბევრი რამ კვლავ ბურუსით მოცული რჩება.

პირველი, რისი გარკვევაც ამ ორმოებთან დაკავშირებით მოხერხდა, ისაა, რომ ისინი ერთი დანიშნულებითა და მიზნით არ უნდა იყოს ნაკეთები. ამასთანავე ცხადია, რომ ეს ორმოები არც ერთდროულია.

ორმოების შედარებით ადრეული ჯგუფი (№ 1, 6, 9, 12, 15) გვიანარმაზული ხანით თარიღდებოდა, ამათგან № 1 ორმოს სამეურნეო დანიშნულება ეჭვს არ უნდა იწვევდეს და გამორიცხული არ არის, რომ იგი ქრონოლოგიურად ოდნავ წინ უსწრებდეს მდიდრულ სამარხებს.

ორმოების ნაწილი შესაძლებელია დავუკავშიროთ დასაკრძალავ რიტუალს, თუმც ასეთი მტკიცებისათვის არასაკმარისი საბუთიანობის გამო ჯერჯერობით ვარაუდის ფარგლებში ვრჩებით.

შედარებით უფრო გვიანდელ ჯგუფს ქმნის ორმოები 2, 3, 4, 8, 10 და სხვ., რომლებიც თანმხლები მასალის მიხედვით, ძირითადად, ადრექრისტიანულ ხანას უნდა მივაკუთვნოთ. ამ შემთხვევაში ორმოების მიჩნევა სამეურნეო დანიშნულების ობიექტებად უფრო სათუო ჩანს. მათგან რამდენიმე (№ 2, 4) თითქოს სანაგვე ორმოებს უფრო წარმოადგენს, რომლებიც შენობათა ნანგრევი ბათქაშითა და საოჯახო „ნამუსრევითაა“ ამოვსებული. ამ ორმოების შედარებით გვიანდელობა სტრატიგრაფიული მონაცემებითაც დგინდება. გვიანარმაზული ხანის ზოგიერთი სამარხი ამ ორმოებითაა დაზიანებული. ადრექრისტიანული ხანის ერწოელები გვიანანტიკური ხანის სამაროვნის ტერიტორიაზე რომ კვლავ საქმიანობენ, ეს ცხადია, მაგრამ ამ დროისათვის მათი სასაფლაო ქუშაბაანთგორის შუა და სამხრეთ ნაწილში ჩანს გადატანილი, ისინი ძველ, ტრადიციულ ადგილას თავის მიცვალებულებს არ ასაფლავებდნენ. ამიტომაც ადრექრისტიანულ ხანაში გაჩენილი ორმოები ან სანაგვეებად უნდა წარმოვიდგინოთ, ან კიდევ რიტუალურ ორმოებად, რომლებშიაც მიცვალებულის თუ წინაპართა კულტთან დაკავშირებით რაღაც რელიგიური პროცესები კვლავ სრულდებოდა. ძთასთან ძჭიდროდ დაკავძირებული ისეთი რეგიონისათვის, როგორიც ერწოს „ქვეყანა“ იყო, მიცვალებულის კულტის თაყვანისცემა არ უნდა მივიჩნიოთ საკვირველად თვით ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარების ვითარებაშიც კი.

რაც შეეხება იმ ორმოების ნაშთებს, რომლებიც ჩვენ ნასახლართა ნანგრევებს შორის აღმოვაჩინეთ, იქ ნაპოვნი ფრაგმენტული მასალის მიხედვით აშკარად ჩანს, რომ ისინი ნამოსახლარის სინქრონულია და მათ სამეურნეო დანიშნულების ობიექტებად ვთვლით.

როგორც ნამოსახლარის ვრცელ ტერიტორიაზე ჩვენს მიერ გავლებულმა საძიებო თხრილებმა გვიჩვენა (ტაბ. 2, თხრილები 6—13), გვიანანტიკური ხანის დასასრულისა და ადრექრისტიანული ხანის დამდეგისათვის სამოსახლო

---

[54] ჭ. გ. 67-405.

[55] ჭ. გ. 67-404.

განადგურებული თუ მიტოვებული ჩანს. შენობათა ის მეტად უსახური ნაშთები, რომლებიც ჩვენ ზემოთ აღვწერეთ, მიჩნეული გვაქვს რიგითი მოსახლეობის, მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა საცხოვრისებად. ამ სოციალური ფენის კუთვნილი სამარხები ჭუშანაანთგორაზე კარგად გამოიყოფა (ვგულისხმობთ რიგით, ღარიბულ სამარხებს).

მაგრამ ჩვენ თხრობას ოდნავ გავუსწრებთ წინ და აღვნიშნავთ, რომ ჭუშახაანთგორის მეორე — გვიანარმაზული ხანის სამაროვანზე ჩვენ გვაქვს მიკვლეული რამდენიმე მდიდრული სამარხი, რომელთაგან ერთი (№ 1) აშკარად არმაზისხევის ერისთავთა სამარხების რანგისაა და მისი სოციალური კუთვნილებიდან გამომდინარე, ნამოსახლარზე უთუოდ უნდა ვიგულისხმოთ მდიდრული სამარხების მფლობელთა ნასახლარიც. მაგრამ, სრულიად ცხადია, რომ შენობათა ის უსახური ნაშთები, რომლებიც ჩვენ ზემოთ აღვწერეთ, ასეთი შინაარსის დამტევი ვერ იქნება.

უნდა ვივარაუდოთ, რომ სოციალურად გამორჩეული (და ბუნებრივია, ეკონომიურად და პოლიტიკურად) პირის სახლი, პირისა, რომელმაც შესძლო ისეთი ძვირადღირებული სამარხის აშენება და ისეთი ძვირფასი საგნების სამარხში ჩატანება, როგორც ჩვენ № 1 სამარხში დავადასტურეთ, უნდა მდგარიყო განცალკევებით; იგი უნდა ყოფილიყო გამორჩეულ ადგილას მდგომი შედარებით უფრო მონუმენტური შენობა, რომლის დადგენა ჩვენ მთლად არ მოგვიხერხდა, თუმც თხრის პროცესში წარმოიშვა გარკვეული ვარაუდი, რომლის შესახებაც აქვე მოკლედ გვექნება საუბარი[56].

აღმოსავლეთ საქართველოში ჯერჯერობით გამოვლენილი და არქეოლოგიურად შესწავლილი გვიანანტიკური ხანის ძეგლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ნამოსახლარები და სამაროვნები ძალიან ახლო, თითქმის ურთიერთმიჯრით ყოფილა განლაგებული. ზოგჯერ კი ისეთი შთაბეჭდილებაც რჩება, რომ ნამოსახლარები და სამაროვნები ერთიმეორეზეა გადახლართული. თუ გავიხსენებთ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახულ ფაქტს, რომ თავიანთ მიცვალებულებს ზოგჯერ საკუთარ ეზოში ასაფლავებდნენ ხოლმე, და იმ არქეოლოგიურ ფაქტს, რომ ჯერ კიდევ ადრე ბრინჯაოს ხანაში მიცვალებულის საკუთარ სახლში დაკრძალვის წესიც არსებულა[57], არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ხშირად სინქრონული ნამოსახლარი და სამაროვანი ერთიმეორეში მჭიდროდ არის გადახლართული და ზოგჯერ სამეურნეო თუ სხვა დანიშნულების კუთხეა ქცეული დასაკრძალავ ადგილად. ზღუდერის[58], მცხეთის[59], არაგვისპირისა[60] და სხვ. მასალებით ასეთი რამ კარგად დასტურდება. ასეთივე სურათი გვაქვს ერწოს ველის ჭუშანაანთგორაზე, დორეულების თავზე და, ვფიქრობთ, სიმონიანთხევშიც.

---

[56] აღნიშნულ საკითხს ჩვენ უფრო დაწვრილებით შევეხებით ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლებისადმი მიძღვნილ მომდევნო V წიგნში, სადაც გადმოვცემთ ჭუშანაანთგორის ადრეშუასაუკუნეების ნამოსახლარის ხუროთმოძღვრულ ანალიზს.

[57] ტ. ჩუბინიშვილი, ავირანის გორა თბ., 1963, გვ. 35. ტაბ. XIII, XIV, სურ. 9, 10.

[58] გ. ნემსაძე, ზღუდერის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964-1966 წლებში ჩატარებული მუშაობის ანგარიში. სსმამა 1. თბ., 1969.

[59] ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ალ. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები. მცხეთა 1. თბ., 1955. ქვევით — მცხეთა 1.

[60] Р. Рамишвили, Новые открытия на новостройках Арагвского ущелья, КС 151, м., 1977, გვ. 114-122.

ასე რომ, № 1, 2, 3 მდიდრული სამარხების მფლობელთა სახლები არ არის საძებნი სადღაც შორს.

ყველაზე უფრო გამორჩეულ ადგილს, სადაც ჩვენ შეიძლება გვიანარმაზული ხანის წარჩინებული პირის ნასახლარი ვივარაუდოთ, ეს გახლავთ ადგილი სამაროვნის სამხრეთით, მისსავე სიახლოვეს, სადაც გავთხარეთ ადრე შუა საუკუნეებით დათარიღებული დიდი შენობის, შესაძლოა სასახლის ტიპის, ნაშთები. არქეოლოგიური მონაპოვრის უდიდესი ნაწილი იქ ადრეშუასაუკუნეებით თარიღდება[61] და თვით ის მრავალსათავსიანი შენობის ნაშთიც (ტაბ. 2), რომელსაც ეტყობა გადაკეთებათა კვალი, ძირითადად, V—VII საუკუნეებს განეკუთვნება. უნდა შეინიშნოს, რომ საკუთრივ ამ შესანიშნავი ნასახლარის ქვედა კულტურულ ფენაში და საკონტროლო თხრილებში თავი იჩინა გვიანარმაზული ხანისათვის დამახასიათებელი ჭურჭლების თითო-ოროლა ნატეხმაც. გამორიცხული არ არის, რომ მდიდრული სამარხების პატრონთა საცხოვრებელი სახლი იდგა სწორედ იმ მცირე შემაღლებაზე, რაზედაც ადრე შუასაუკუნეებში სასახლე თუ ვილა აღუმართავთ.

სავარაუდოა, რომ საცხოვრებელ ნაგებობათა ასეთი ურთიერთმონაცვლეობა, თუ ამ სამოსახლოს ასეთი სიცოცხლისუნარიანობა იქ ცხოვრების უწყვეტ ტრადიციას მივაწეროთ. არ არის გამორიცხული რომ გვიანარმაზულ ხანაში ჭუშანაანთგორაზე მცხოვრებმა დაწინაურებულმა სახლმა, ადრექრისტიანულ ხანამიც შეინარჩუნა თავისი უპირატესობა.

რაც შეეხება საკუთრივ ნაგებობას, შესაძლოა იგი გარკვეული მიზეზების გამო ძირფესვიანად დაინგრა[62] და მის ნაფუძარზე აღმოცენდა ახალი შენობა, თუმც არც ისაა გამორიცხული, რომ გვიანანტიკური სამშენებლო ხელოვნების ტრადიციებს ადრე შუა საუკუნეებშიაც შემოენახა თავი. სწორედ ამაზე უნდა მეტყველებდეს V—VII საუკუნეთა შენობის მეტად თავისებური გეგმარება, სადაც ანტიკური სამშენებლო ხელოვნების არა ერთი ნიშანთვისება გაცოსვივის (ამაზე დაწვრილებით სხვა დროს).

ყოველ შემთხვევაში, ერთი ცხადია, რომ მდიდრული სამარხის მფლობელის საცხოვრისი იქვე მდგარიყო და, შესაბამისად, ალბათ ერწოს ველის გარკვეული რეგიონის (თუ მთელი ერწოს არა) მესვეურობა ამ სახლიდან ხორციელდებოდა.

---

[61] Р. Рамишвили, Раскопки в Эрцо, Археологические открытия 1967 года. М. 1968, გვ. 303-305 რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ლ. ასათიანი, ლ. კობაიძე. ერწოს ველის არქეოლოგიური ექსპედიციის 1967-1968 წწ. მუშაობის შედეგები, XVIII სამეცნიერო სესია მიძღვნილი საქართველოში 1968 წ. წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოკლე ანგარიში, თბ. 1969; რ. რამიშვილი ერწოს ველი ანტიკურ ხანაში, «ძეგლის მეგობარი», 1971, №27-28, გვ. 54; ირ. ჯალაღანია, სასანური და ბიზანტიური მონეტების განძი სოფ. მაგრანეთიდან (ერწო), «მაცნე» ისტორიის სერია, 1975, № 4; Т. Абрамишвили, Клад монет из Магранети, Нумизматический сборник, Тб., 1977, გვ. 73-82, ტაბ. VI-VIII.

[62] შესაძლოა ჭუშანაანთგორის ადრე შუა საუკუნეთა ხანის ნასახლარზე მოპოვებული მასალების ანალიზმა, მომავალში უფრო ზუსტი მსჯელობის საშუალება მოგვცეს. მაგრამ ამჯერად იმის თქმა მაინც შეგვიძლია, რომ გვიანარმაზული ხანის ნაგებობის ძირფესვიანი ნგრევა განუცდიათ. იქნებ ამის შედეგად დალეწილი სამშენებლო ბათქაში იყოს ჩაყრილი შედარებით გვიანდელ ორმოებში, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ გვიანარმაზული ხანის შენობისაგან რაღაც ნაწილი გადარჩა და იგი ორგანულად შეერწყა ადრე შუა საუკუნეთა შენობას. რიყის საძირკველზე დაფუძნებული კედლების მნიშვნელობის ტრადიცია ხომ ელინისტური ხანიდანაა ცნობილი და გვიანანტიკურ ხანაში ფართოდ იყო გამოყენებული მთელ საქართველოში.

თავი II

ჭუშანაანთგორის გვიანარმაზული ხანის სამაროვანი

შესავალშივე იყო მითითებული, რომ ჭუშანაანთგორაზე მიკვლეულია ორი დიდი სამაროვანი, ამათგან ადრე შუასაუკუნეებისა ნაწილობრივაა გათხრილი და საკმაოდ ვრცელ ფართობზე ჯერჯერობით სამარხთა ორი ჯგუფია გამოვლენილი[1]. რაც შეეხება ამ გორის ჩრდილოეთ ბოლოზე მდებარე ნამოსახლარის ნაშთს და მის თანმხლებ სამაროვანს, მართალია, არქეოლოგიურად იგი გაცილებით უკეთაა გამოკვლეული, მაგრამ გასათხრელი სახსრების სიმცირემ აქაც საშუალება არ მოგვცა ძიება უფრო სრულყოფილად ჩატარებულიყო. ამიტომაცაა, რომ მრავალი საკითხი, რომელიც ჩვენი კვლევა-ძიების დროს წამოიჭრება, ვერ ღებულობს სათანადო ახსნას და მტკიცე დასაბუთებას. ჯერ ისედაც სავალალოდ დაზიანებული ძეგლი, რომლის უდიდესი ნაწილი პლანტაჟის გამო სამუდამოდ დიაღუპა მეცნიერებისათვის, ისე ვერ გაითხარა, რომ ერთი ობიექტი მაინც (ან სამაროვანი, ან ნამოსახლარი) ბოლომდე შესწავლილიყო.

სახსრების სიმცირემ გარკვეული დაღი დაასვა საველე მუშაობის მეთოდსაც. ყველაზე უფრო უკეთ შესწავლილ უბანზე — მდიდრულ სამაროვანზეც კი — თხრა ვაწარმოეთ საძიებო თხრილებისა და კვადრატების მეშვეობით (ტაბ. 2, 8), რომელთა შორის რჩებოდა 0,7—0,9 სიგანის უღლები. ამით ჩვენ თითქმის ერთი მესამედით შევამცირეთ მიწის სამუშაოების მოცულობა, მაგრამ გავაუარესეთ კვლევა-ძიებისა და ძეგლების ფიქსაციის ხარისხი. მდიდრული სამარხების უბანზე (ტაბ. 16, სურ. 1, 2) ამგვარი მეთოდით დამუშავდა დაახლოებით 700 კვადრატული მეტრი ფართობი, რითაც ჩვენი ვარაუდით მთლიანად იქნა გადასინჯული სამაროვნის მდიდრული უბნის თითქმის ორი მესამედი.

ვიდრე გადავიდოდეთ ჭუშანაანთგორის გვიანარმაზული ხანის სამაროვნის საერთო დახასიათებაზე, ქვემოთ მოკლედ აღვწერთ ყველა იმ სამარხს, რომლებიც იქ 1966—67 წწ. გაითხარა[2].

---

[1] რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ერწოს ველის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, XII სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1963 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1964, გვ. 17-22; ბ. ჯორბენაძე, ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ერწოს ველზე, «მაცნე» 1968, № 2, გვ. 219-229.

[2] იხ. ტოპოგრაფიული გეგმა, რომლებზედაც გარდა სამარხებისა დატანილია საძიებო თხრილები, აგრეთვე საერთო ნუმერაციით, და ნამოსახლარის ნაშთები. ტოპოგეგმა ეკუთვნის ნ. ვარაზიშვილს, ცალკეულ უბანთა ანაზომები ლ. რჩეულიშვილს, ბ. მჭედლიშვილსა და ავტორს. ტოპოგეგმიდან ჩვენთვის საჭირო მონაკვეთი გამოხაზა მ. ვაჩნაძემ. ჭუშანაანთგორის II სამაროვანის ყველა უბანზე აღმოჩენილ სამარხებს აქვთ საერთო ნუმერაცია.

1. სამარხთა და სამარხეული კომპლექსების აღწერა

სამარხი № 1. მდებარეობდა მდიდრული სამარხების უბანზე (იხ. გეგმა, ტაბ. 8). როგორც დასაწყისშივე ითქვა, პლანტაჟის გუთნით ნაწილობრივ დაზიანდა სახურავის კრამიტი, საბედნიეროდ გუთნის წვერი ბოლომდე ვერ ჩასწვდა კრამიტების ქვეშ მდებარე სამარხს, რისი წყალობითაც განადგურებას გადაურჩა უაღრესად საინტერესო კომპლექსი. ასევე გადარჩა სამარხზე დაფენილი კრამიტების მოზრდილი ნაწილიც, რითაც საშუალება მოგვეცა გაგვერკვია არა მარტო დაკრძალვის წესი და ინვენტარის განლაგება (სურ. 1), არამედ სამარხის აღნაგობაც.



სურ. 1. სამარხი № 1. იატაკის დონე, ნივთების განლაგების სქემა.

№ 1 სამარხად ამოუჭრიათ საკმაოდ დიდ ოთხკუთხა ორმო, რომლის ძირიც მიწის ზედაპირიდან 1—1,2 მეტრის სიღრმეზე იყო მოთავსებული. მოზრდილი ორმოს ძირზე (3×2 მ), შუა ადგილას, დამატებით ამოჭრილი იყო მიცვალებულის ჩასასვენებლად განკუთვნილი 10—15 სმ-ის სიღრმის ოვალური „კამერა“, რომელსაც ჰქონდა 1,9 სიგრძე და 0,60 მ სიგანე. ამ სპეციალურ მცირე ორმოში ესვენა ერთი ინდივიდი, რომლის ძვლებიც ძალზე ცუდად იყო დაცული და მხოლოდ წვივის ძვლისა და კბილების განლაგებით ჩანდა, რომ იგი იწვა გაშოტილი, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ. როგორც სამარხის თავზე ჩახვავებული კრამიტების განლაგებამ და მდებარეობამ გამოავლინა (ტაბ. 18, 19), მიცვალებულის ჩასვენების შემდეგ უშუალოდ დასაკრძალავ ორმოზე ზემოდან გადაუდგამთ ხის კონსტრუქციაზე დაფუძნებული კრამიტის ორფერდა სახურავი. ჩალეწილი კრამიტების მიხედვით გამოირკვა, რომ თითოეულ ფერდზე კრამიტის სამი მწკრივი უნდა ყოფილიყო მოთავსებული[3]. როგორც ჩანს, სახურავის ნაპირები უშუალოდ ნიადაგზე იყო დაბჯენილი. კრამიტის სახურავს გაცილებით მეტი ფართობი ეჭირა, ვიდრე საკუთრივ სამარხ კამერას. მიცვალებულის ჩასვენებისა და სახურავის გამართვის შემდეგ დიდი ორმო უნდა შეევსოთ ისე, რომ კრამიტის სახურავი მთლიანად დაფარულიყო მიწით[4]. № 1 სამარხის სახურავზე გამოყენებული ყოფილა კალიპტერების და სოლენების ისეთი კომბინაცია, როგორიც დადასტურებულია მცხეთის სადგურის აკლდამის სახურავზე[5]. ამასთანავე საყურადღებოა ისიც, რომ ერწოს კრამიტები ზუსტად ისეთივე წესითაა დამზადებული, როგორც „მცხეთური“ კრამიტები. ღარისებრი კრამიტები მიღებულია მორგვზე ამოყვანილი მილის გაჭრით. ვიწრო თავზე დაძერწილი აქვს ისეთივე საბჯენი შვერილები, როგორიც მცხეთის კრამიტებისათვისაა დამახასიათებელი. ერწოს კრამიტების თიხა საგულდაგულოდაა დამუშავებული და გამოწვის ხარისხიც დამაკმაყოფილებელია.

№ 1 სამარხის სახურავზე გამოყენებული კრამიტის ორ ნიმუშს აქვე აღვწერთ:

ბრტყელი კრამიტი[6] გარედან წითელი წერნაქითაა დაფარული; თითქმის მთლიანადაა აღდგენილი. აქვს საკმაოდ მაღალი აკეცილი გვერდები და კარგად გამოყვანილი საბჯენი იღლიები. თიხა რამდენადმე მსხვილმარცვლოვანია, თუმც ზედაპირი გლუვად აქვს გადალესილი და გამომწვარია მაღალხარისხოვნად.

კრამიტის ზედაპირზე შემორჩენილია ადამიანის თითების ანაბეჭდი. ზომები: სიგრძე 43 სმ, სიგანე თავსა და ბოლოში 37 სმ და 32 სმ. აკეცილი გვერდის სიმაღლე 5,5 სმ, კეცის სისქე 2 სმ (სურ. 2), საბჯენი იღლიის სიგრძე 6 სმ.

---

[3] არქეოლოგიური თხრის დროს წარმოებული დაკვირვებისა და თვით ჩალეწილი კრამიტების მდებარეობის მიხედვით (ტაბ. 21, სურ. 1, ტაბ. 22) მხატვარმა ვ. კანდელაკმა სცადა სახურავის რეკონსტრუქცია (ტაბ. 23). ხის ძელებისაგან გადარჩენილი იყო მხოლოდ ძელის მცირე ნაშთი, რომელიც სამარხის სამხრეთ ნაპირას იდო აღმოსავლეთიდან სამხრეთისაკენ დამხრობილი. ხის ნაშთის მიხედვით განისაზღვრა, რომ სახურავის კონსტრუქციის გასამართავად გამოუყენებიათ მუხის ძელები (ტაბ. 21, სურ. 2).

[4] უნდა ვივარაუდოთ, რომ კრამიტის სახურავის ქიმის ზემოთ მიწის ფენის სისქე 0,5-0,6 მ მაინც უნდა ყოფილიყო.

[5] გ. ლომთათიძე, ი. ციციშვილი. ახლადაღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში. საქ. მეცნ. აკად. «მოამბე», ტ. XII, 1951, № 10; ა. აფაქიძე. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 104-109, სურ. 72-75, ტაბ. XXVI.

[6] ქ. გ. 66-5.

ბრტყელი კრამიტის ზოგიერთი ნიმუში დამზადებულია უფრო წმინდა თიხისაგან. იმ დიდძალ ნატეხებს შორის, რაც № 1 სამარხის გარშემო იქნა აღმოჩენილი, ძლიერ იშვიათად იყო საწარმოო წუნი და, რაც მთავარია, ყველა მათგანი სრულად იყო გამომწვარი[7].



სურ. 2. ბრტყელი კრამიტის ნიმუში № 1 სამარხიდან

ღარიანი კრამიტი[8] მორკვზეა ამოყვანილი და შემდგომ შუაზეა ჩამოჭრილი. როგორც წესი, საკრამიტე მილის ერთი მხარე განიერი იყო ისევე, როგორც ადრევე ცნობილ შემთხვევაში. ერწოს ღარიან კრამიტს ვიწრო მხრიდან, კიდიდან 4—5 სმ-ზე, გამოყვანილი აქვს საბჯენი შვერილები. ერწოს ნიმუშების მიხედვით, ეს შვერილები კრამიტის დაყალიბების შემდგომ კი არ არის ჩასმული სპეციალურ ფოსოებში, როგორც მცხეთაშია დადასტურებული[9], არამედ ჩარხზე ტრიალის დროსვე, სათანადო ადგილას შეტოვებულია თიხის პატარა გუნდები, რომლებიც მერეა გამოძერწილი. ღარიანი კრამიტის მთლიანი ნიმუში არ აღმოჩნდა და არც მათი აღდგენა მოხერხდა. ცალკეული ნატეხებით დადგინდა შემდეგი ზომები: სიგრძე 48 სმ; სიგანე განიერ თავში 25 სმ, ვიწრო თავში 14,3 სმ; კეცის სისქე 1,5 სმ; რკალის სიმაღლე განიერ თავში 11,2 სმ, ვიწრო თავში 8,8 სმ; ქიმის სიგრძე 5 სმ, სიგანე 3,5 სმ (სურ. 3).

ხის კონსტრუქცია, რომელიც იმაგრებდა კრამიტის სახურავს, მთლიანად მტვრად იყო ქცეული; სამარხის სამხრეთ ნაწილში მხოლოდ ძელის ორიოდე ნატეხი ჩანდა შემორჩენილი (ტაბ. 21, სურ. 2). ეტყობა, ხის კონსტრუქციის დალპობის შემდეგ კრამიტის სახურავი ჩაწვა და უშუალოდ დაეფინა იმ ინვენტარს, რომელიც გარშემო ჰქონდა შემოწყობილი მიცვალებულს, სამარხეული კომპლექსი უშუალოდ ამ კრამიტის ნატეხებს ქვეშ და მათ შორის იყო მოქცეული (ტაბ. 20, სურ. 1, 2).

№ 1 სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

პინაკი ვერცხლის[10] ნაკეთებია საკმაოდ სქელი ვერცხლის ფურცლისაგან, ლითონი მაღალხარისხოვანია და კარგად დაცული. ჭურჭელი საკმაოდ ღრმაა. ჭუსლი აქვს მრგვალი და რამდენადმე მაღალი. ფსკერზე აქვს წნული ორ-

[7] ქ. გ. -66-1, 2, 3, 6, და სხვ.

[8] ქ. გ. -66-4, ამავე ტიპისაა, ქ. გ. -66-8 და სხვ.

[9] ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 59-60.

[10] ქ. გ. 66-61 ტაბ. 25, სურ. 1, 2; ტაბ. 50, სურ. 1) მდიდრულ სამარხებში (№№1, 2, 3, 8, 10) მოპოვებული კომპლექსები ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ოქროს ფონდში, დანარჩენი მასალა დაცულია დუშეთის არქეოლოგიური ბაზის საცავებში.



სურ. 3. ღარისებრი კრამიტის ნიმუში № 1 სამარხიდან.

ნამენტის ერთი წრეხაზი (დმ. 7,8), ხოლო წრეხაზის შუაში წყვილი ნაჭდევი ხაზით მონოგრამაა გამოყვანილი. მონოგრამის შინაარსი ჯერჯერობით გაურკვეველია, მაგრამ სავარაუდოა, იგი ადგილობრივი წარჩინებულის საგვარეულო ნიშანი იყოს (ტაბ. 50, სურ. 2 და სურ. 4 ტექსტში).

პინაკის კალთები შემკულია შიგნიდან ჩაღრმავებული და გარეთ რელიეფურად გამობერილი, კვერცხისებრი 10 ნაჭდევით, რომლებსაც წვეტები ძი-



სურ. 4. გამოსახულება ვერცხლის პინაკის ფსკერზე

რისაკენ აქვთ მოქცეული. ამ ძირითად მოტივს თან ახლავს შემკულობის სხვა ელემენტებიც. გარედან ჩაღრმავებული და შიგნით რელიეფურად ამობურცული ბურთულების მწკრივი (20 ცალი), რომელიც პინაკის პირთანაა განლაგებული. ამ ნაჭდევებს შორის, კვერცხისებური ღრმულების გამსხვილებული ნაწილების გასწვრივ, ჩასმულია ყვავილისებური 10 ნაჭდევი, ასევე გარედან შიგნით ამობურცული. პინაკის ძირზე გრეხილი ორნამენტის გარშემო შემოყოლებულია ყურძნის წიპწის მოყვანილობის 17 ნაჭდევიანი ერთი მწკრივი. ეს ნაჭდევები თავბოლო შეჭცევით არიან განლაგებულნი. პინაკის ფსკერზე მოთავსებული ორნამენტი და მონოგრამა თავის დროზე ზარნიშით ყოფილა დაფარული, რისი ნაშთებიც კარგადაა შემორჩენილი. გარედან, პირის ერთ მცირე მოხაკვეთზე, ჰქონია მოკლე არამეული წარწერა, რომლისაგან შემორჩენილია ორიოდე ნიშანი, მაგრამ ცუდი დაცულობის გამო წარწერის წაკითხვა არ მოხერხდა[11].

პინაკის გვერდი ორ ადგილას ჩახვრეტილია. კრამიტის ჩაქცევის შემდეგ ჭურჭელი ჩაჭყლეტილი იყო, მაგრამ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ლაბორატორიაში მოხერხდა ამ საყურადღებო ნივთის სრული რესტავრაცია[12]. ზომები: პირის დმ 26,5 სმ; სიმაღლე 7,5 სმ; პირის დმ 10,5 სმ, ქუსლის სიმაღლე 1,7 სმ; კვერცხისებური ნაჭდევის სიგრძე 5,8 სმ; სიგანე 3,7 სმ; ქუსლის დიამეტრი 10,5 სმ. როგორც ირკვევა, თასი ნაკეთებია საგანგებო დაზგაზე, თეგვის გზით.

სურა ვერცხლის[13] (სურ. 5). იდო სამარხის დასავლეთ ნაწილში ვერცხლის თასის ქვეშ. გვერდი ოდნავ ჩაჭყლეტილი ჰქონდა. ამჟამად რესტავრირებულია (ტაბ. 24. სურ 2; ტაბ. 26).

სურის ტანი მსხლისებური მოყვანილობისაა, აქვს ოდნავ ოვალური წვრილი ყელი, რომელიც პირისაკენ თანდათან ფართოვდება. პირი მოგრძო-ოვალურია და მთავრდება ნისკარტით. ყელის ძირზე შემოუყვება მსხვილი რელიეფური კონცენტრული სარტყელი. ჭურჭელს აქვს საკმაოდ მაღალი მრგვალი ფეხი, რომელიც ქვემოდან შეღრმავებულია, ფეხის ღრმული მთავრდება მსხვილი მეჭეჭით.

ჭურჭლის ყური სამწილადია და გემოვნებითაა გაფორმებული, ყურის ქვედა ნაწილი, რომელიც სუროს ფოთლისებური მოყვანილობისაა, დარჩილულია ჭურჭლის მუცელზე. ყურის შუა ნაწილი შედარებით მოზრდილია, იგი შემსხვილებული თავით სურის ტანს ებჯინება, შემდეგ აღმართულია პირის დონეზე მაღლა, მოხრილია წრიულად და მთავრდება ორმხრივი შვერილით, რომელიც ჭურჭლის პირს აქეთ-იქიდან ერტყმის. ნისკარტის დასაწყისთან ეს შვერილები დაწვრილებულია და მანჭვლებითაა დამაგრებული (სურ. 5).

ყურის მესამე ნაწილი S-ისებრი მოყვანილობისაა და თავით რომ ყურის შუა ნაწილის თავზეა დარჩილული, მეორე ბოლო მაღლაა აშვერილი; ოდნავ დაბრტყელებულია, მთავრდება კონუსური, ოდნავ შემსხვილებული შვერილით.

ჭურჭელს მხარზე შემოუყვება ორი კონცენტრული ნაჭდევი. ზომები:

---

[11] წარწერა გასაშიფრად გადაცემული ჰქონდა აკად. გ. წერეთელს.

[12] ლითონი აღადგინა და გაამაგრა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სარესტავრაციო განყოფილების ხელმძღვანელმა რ. ბახტაძემ, ხოლო დაზიანებული ადგილები გაასწორა ს. სულეიმანოვმა.

[13] ჭ. გ. 66-62 ტაბ. 24, სურ. 1; ტაბ. 26, სურ. 2.

სიმაღლე ყურიანად 20,6 სმ, სიმაღლე ჭურჭლის პირამდე 19 სმ; მუცლის დიამეტრი 9,5 სმ; პირის სიგანე 4,8 სმ; ყელის დიამეტრი 2,4—2,5 სმ; ძირის დიამეტრი 5 სმ; ფეხის სიმაღლე 3,3 სმ.

ს უ რ ა ვ ე რ ც ხ ლ ი ს[14] (სურ. 6). წინ აღწერილის ზუსტი განმეორება, ოღონდ პირველთან შედარებით ოდნავ უფრო მეტად აქვს შეპყლეტილი მუ-



62

სურ. 5. ვერცხლის სურა, ინვ. № 62, სამარხი № 1.



63

სურ. 6. ვერცხლის სურა, ინვ. № 63, სამარხი № 1.

ცელი, ასევე დაზიანებული აქვს ფეხის ჭუსლის ცალი მხარე. ზ ო მ ე ბ ი: სიმაღლე ყურიანად 21,5 სმ; სიმაღლე პირამდე 19,2 სმ; ფეხის სიმაღლე 3,3 სმ; პირის სიგრძე 5 სმ; სიგანე 3,7 სმ; ძირის დიამეტრი 5 სმ.

[14] ჭ. გ. 66-63, ტაბ. 24, სურ. 2 მარცხენა; ტაბ. 26, სურ. 1.

ბ ე ჭ ე დ ი ო ქ რ ო ს ი[15]. წარმოადგენს თანაბარი სიმსხოს ოქროს მასივური მრგვალი ღეროსაგან ოვალურად მორკალულ რგოლს, რომლის დაბრტყელებულ თავებზე ოქროსავე ოვალური თვალბუდეა დარჩილული. თვალბუდის ორივე ძხარეს, ბეჭდის ღეროზე, მეჭეჭებია დარჩილული. თვალბუდეში ზის ოვალური, ოდნავ ამობურცული საფირონის თვალი, რომელზედაც ზევსის გამოსახულებაა ამოკვეთილი. ზევსი ზის სავარძლის მსგავს ტახტზე, გამოხატულია პროფილში, მარჯვენა ხელით კვერთხზეა დაყრდნობილი, ხოლო მარცხენა ხელი წინ აქვს გაშვერილი და ხელისგულზე უდგას გამარჯვების ქალღმერთი ნიკე, რომელიც უზენაეს ღვთაებას აწვდის დაფნის გვირგვინს. ხელოსანს იგი უნდა ამოეკვეთა „ოლიმპიელი ზევსის“ შთაგონებით. გემა საკმაოდ მაღალმხატვრულადაა შესრულებული (ტაბ. 43, სურ. 1).

ზ ო მ ე ბ ი: რკალის უდიდესი დიამეტრი 2,7 სმ; ღეროს დიამეტრი 0,3 სმ; თვალბუდის ფართობი 1,7 სმ×1,4 სმ; ფარაკის სისქე თვალბუდიანად 0,6 სმ.

ბ ე ჭ ე დ ი ო ქ რ ო ს ი[16]. მცირე ზომისა; რკალის ღერო ბრტყელია, შუაში შედარებით ვიწრო, ხოლო მხრებისკენ თანდათანობით გაგანიერებული. თვალბუდე უშუალოდ ღეროშივეა გამოყვანილი, შემაღლებულია და შიგ ზის ლუქისებრი იასპის მრავალწახნაგა ოვალური თვალი. მუქწითელ ქვაზე ამოკვეთილია მონოგრამა, რომელიც ადრექრისტიანული ხანისათვისაა დამახასიათებელი (ტაბ. 43, სურ. 4). მონოგრამა შეიძლება ასე იქნეს წაკითხული: Iesus Xrustos PalmaEmeritta. თუ ქარაგმის ასეთი ახსნა სწორია, მაშინ აღნიშნული ბეჭედი ერთ-ერთი უძველესი უნდა იყოს ჩვენში, რომელიც ქრისტეს სახელს მოიხსენიებს.

ბეჭდის რკალი მოხრილია ერთგვარი მცირე ტეხილებით. გაგანიერებულ ნაწილში ბეჭდის ღერო შეიძლება ფუყე იყოს, რაზედაც მიუთითებს ღეროს ქვემოდან ამოდებული ოქროსავე ფირფიტის სარჩული.

ზ ო მ ე ბ ი: რკალის დმ 1,9 სმ; სიმაღლე თვლიანად 2,1 სმ; ღეროს სიგანე წვრილ ადგილას 0,3 სმ; მხართან 0,7 სმ; თვალბუდის ზომა 1,1 სმ×0,8 სმ.

ს ა ყ უ რ ე ე ბ ი ო ქ რ ო ს ი[17], წყვილი. წარმოადგენს თანამედროვე კლიფსის მსგავს სამკაულს. შედარებით მომსხო ოქროს ღერზე, რომელიც ოვალურადაა მორკალული და ცალი თავი წაგრძელებული აქვს, ვერტიკალურად დამაგრებულია წვრილი შვეტილი ღერო, ზედ წამოცმული ოქროსავე სამკაპა შვერილებით, რომელთა წვერებზედაც, ალბათ, მარგალიტები იყო წამოგებული. სამკაპა შუაზეა ჩახვრეტილი და წვრილ ღერაკზე თავისუფლად მოძრაობს. ამავე ვერტიკალურ ღერაკზე სამკაპას ზემოდან წამოცმულია პატარა ვარდული, რომელიც ფარავს სამკაპას და სილამაზეს სძენს საყურეს.

ზ ო მ ე ბ ი: სიგრძე 1,6 სმ; ყურში გასაყრელი ღეროს დიამეტრი 1,5 მმ; ვერტიკალური ღეროსი კი 1,1 მმ; ვარდულის დიამეტრი 4,5 მმ; სამკაპას თითოეული შვერილი მკლავის სიგრძე 0,4 სმ.

მ ო ნ ე ტ ა ო ქ რ ო ს ი[18]. წარმოადგენს ალექსანდრე სევერუსის (222—

---

[15] ჭ. გ. 66-65. ტაბ. 24, სურ. 1, ფერადი ტაბ. I. ქუშანაანთგორის II სამაროვანზე მოპოვებული ბეჭდების ჭრილა ქვები განსაზღვრა მ. ლორთქიფანიძემ. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ვსარგებლობთ ამ მონაცემებით. მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, კახეთში აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები და საბეჭდავები. ხელნაწერი, 1968; გვ. 52.

[16] ჭ. გ. 66-56. ტაბ. 24. სურ. 1; ფერადი. I.

[17] ჭ. გ. 66-57. ტაბ. 24, სურ. 1, ფერადი ტაბ. I.

[18] მონეტები განსაზღვრეს პროფ. დ. კაპანაძემ და ისტ. მეცნ. კანდიდატმა გ. დუნდუამ, ჭ. გ. 66-58 ტაბ. 45, სურ. 3 (გ. ფ. 12177).

235) აურელიუსის. დმ 2,1 სმ; წონა 6,44 გრ. შ უ ბ ლ ი: დაფნის გვირგვინიანი კეისრის მარჯვენა პროფილი, გვირგვინის ბაფთები უკანაა გასკვნილი და კისერზე ეშვება. აქვს მაღალი, ღონიერი კისერი და გაპარსული პირისახე. გამოსახულების ირგვლივ ლათინური წარწერაა: I MP. C. MAVR. SEV/ALEXAND. AVG.

ზ უ რ გ ი: მეომარია გამოსახული მარჯვენა პროფილში. მარჯვენა ხელში უკავია წვეტით ძირს დაბჯენილი შუბი, ხოლო მარცხენაში — ფარი. მარცხენა ფეხი წინ აქვს წადგმული. თავზე ახურავს ჩაჩქანი. გარშემო წარწერაა: UI RT/VS. AVC.

მ ო ნ ე ტ ა ო ქ რ ო ს ი[19]. კომოდის (180—192) აურელიუსის მინაბაძი. დმ. 1,9 სმ; წონა 3,10 გრ.

შ უ ბ ლ ი: კომოდის მოგრძო სახის მარჯვენა პროფილი. ხუჭუჭი თმა და წვერი. ეტყობა მონეტა ნაკრავია გაბზარული სიქით. პროფილის გარშემო დამახინჯებული ლათინურით იკითხება: D. COMM.... AVC B. Г. T. PPI.

ზ უ რ გ ი: ავგუსტე კეისრის მარჯვენა პროფილი, ახალგაზრდა და უწვერული, თავზე გვირგვინით. გამოსახულებას გარშემო შემოუყვება ძალზე დამახინჯებული წარწერა.

მ ო ნ ე ტ ა ო ქ რ ო ს ი[20]. კარუსის (282—283) აურელიუსი. დიამეტრი 2,0 სმ; წონა 4,32 გრ.

შ უ ბ ლ ი: კეისრის მარჯვენა პროფილი, ირგვლივ კლასიკური ლათინური ზედწერილით. დაფნის გვირგვინოსან, წვეროსან იმპერატორს მხრებზე წამოსასხამის შესაკრავები უჩანს. წარწერა ასე იკითხება: IMP.C. MAVR. CARVS. P. F. AVC.

ზ უ რ გ ი: გამოსახულია გამარჯვების ქალღმერთი ფრთოსანი ნიკე, რომელიც გვირგვინს აწვდის იმპერატორს. ირგვლივ ლათინურად წერია: VICTORIAE/AVCC. ქვეშ SMA.

მ ი ნ ი ს ს ა ნ ე ლ ს ა ც ხ ე ბ ლ ე[21]. მრგვალგანივკვეთიანი მაღალი ყელით, რომელიც ოდნავ გადაშლილი და შემსხვილებული პირით მთავრდება და აქვს სფერული მუცელი და ბრტყელი, ოდნავ შეზნექილი მცირე დიამეტრის მქონე ძირი. მინა მომწვანო, გამჭვირვალე და აქა-იქ ირიზებულია. სიმაღლე 9,3 სმ; მუცლის დმ 3,8 სმ; ძირის დიამეტრი 1,5 სმ, პირის დიამეტრი 2,1 სმ.

მ ი ნ ი ს ჭ უ რ ჭ ლ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი[22]. შედარებით სქელკედლიანი. ჭურჭლის აღდგენა არ მოხერხდა.

მ ძ ი ვ ე ბ ი გ ი შ რ ი ს[23]. თანაბარი ზომისა, 64 ცალი. თითოეულ მათგანს აქვს მოგრძო მართკუთხედის მოყვანილობა. ორივეს სიბრტყე შემკული აქვს M-ის მოყვანილობის გეომეტრიული ორნამენტით, თითოეულ მძივს აქვს ორორი ნასვრეტი. სიგრძე 4,5 მმ, სიგანე 3,5 მმ, სისქე 2 მმ.

რ კ ი ნ ი ს ღ ე რ ო[24]. დაჟანგული. სიგრძე 5 სმ. ღეროს დიამეტრი 0,3 სმ. გარდა ზემოჩამოთვლილისა, № 1 სამარხში, როგორც უკვე ითქვა, კრამი-

---

[19] ქ. გ. 66-59, ტაბ. 45, სურ. 2. (გ. ფ. 12179), მონეტები ინახება საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების განძების ფონდში (გ. ფ.)

[20] ქ. გ. 66-60, ტაბ. 45, სურ. 1. (გ. ფ. 12178).

[21] ქ. გ. 66-64, ტაბ. 24, სურ. 1.

[22] ქ. გ. 66-65.

[23] ქ. გ. 66-66, ტაბ. 24, სურ. 1.

[24] ქ. გ. 66-67, ტაბ. 24, სურ. 1.

ტის დიდძალი ნატეხები აღმოჩნდა. რადგანაც შვერილიან ღარისებრ კრამიტს მხოლოდ თითო საბჯენი შვერილი აქვს, ხოლო პირველ სამარხში კი ასეთმა ნატეხმა 45-ს გადააჭარბა, უნდა ვივარაუდოთ, რომ სამარხის სახურავზე სულ ასამდე კრამიტი იქნებოდა საჭირო (ორმოცდაათზე ოდნავ მეტი ღარისებრი და ორმოცდაათამდე სოლენი). ასეთი მძიმე სახურავისათვის, ბუნებრივია, ხის მყარი კონსტრუქცია იქნებოდა საჭირო, რისი ნაშთი სამარხში კიდევაც იყო შემონახული. გამორიცხული არ არის, რომ დასაკრძალავ კამერაში ჩადგმული ყოფილიყო ფიცრებით შეკრული ხის ყუთი (ხის სარკოფაგი), მაგრამ სამარხის პრეპარაციის დროს მისი არავითარი ნაშთი არ აღმოჩენილა. ერთი ცხადია, რომ სამარხი კამერა იმთავითვე მიწით რომ შეევსოთ, ადამიანის ძვლები ისე არ დაიფერფლებოდა, როგორც ეს პრეპარაციით დადასტურდა. როგორც ცნობილია, მკვდეთის სრულიად ჰერმეტულად შეკრულ ქვის სარკოფაგშიაც კი ძვლები ერთიანად მტვრად იყო ქცეული. მიწა, და განსაკუთრებით თიხნარი, ძვლებს გაცილებით უკეთ ინახავს. თუ ხის სარკოფაგი სინამდვილეში არსებობდა, იგი დაბალი უნდა ყოფილიყო, რომ დატეულიყო სახურავის ქვეშ.

სამარხი № 2 მდებარეობდა № 1 სამარხის ჩრდილო-დასავლეთით (ტაბ. 8). წარმოადგენდა დანგრეულ კრამიტყუთს, თუ კრამიტის იატაკიდან და კრამიტის კედლებიან სამარხს (ტაბ. 27, სურ. 1), რომელიც სახნისის მიერ თითქმის მთლიანად იყო ამობრუნებული. ადგილზე უძრავად მხოლოდ კრამიტის იატაკის ერთი ხაწილი და გვერდითი, ვერტიკალურად დაყენებული კრამიტის მცირე ნაშთი იყო გადარჩენილი (სურ. 7). სამარხის ნგრევის შედეგად კრამიტის ნატეხები იქვე ნახნავში იყო მიმოფანტული. იატაკის დონეზე სამარხში მხოლოდ სარდიონის ერთ მძივს მივაკვლიეთ. გარდა ამისა, სამარხის მახლობლად მდებარე მიწის გადარჩევისას ვნახეთ ვერცხლის ერთი მონეტა (გოტარზესი), როგორც ჩანს, სამარხიდან ამოვარდნილი.

სამარხის იატაკის აღების შემდეგ ჩაპირქვავებული კრამიტის ქვეშ აღმოჩნდა კიდევ 7 მონეტა — 2 ოქროსი და 5 ვერცხლისა; ე. ი. № 2 სამარხში, გარდა კრამიტის რამდენიმე ნიმუშისა, აღმოჩნდა 8 მონეტა და ერთი მძივი. სავარაუდოა, რომ დანგრეულ სამარხში ყოფილიყო ძვირფასი სამკაულები, რაც გახადგურდა, ან დაიკარგა მიწის ხვნის დროს. ქვემოთ აღვწერთ სამარხის ნაშთში ნაპოვნ ნივთებს:

მ ძ ი ვ ი ს ა რ დ ი ო ნ ი ს[25]. სფერული, დახშული წითელი, დიამეტრი 1,6 სმ.

მ ო ნ ე ტ ა (აურელიუსი)[26]. ოქროსი, გორდიანე III-ისა (238—244). დმ 2—2.1 სმ, წონა 4,8 გრ.

შ უ ბ ლ ი: კეისრის მარჯვენა პროფილი, ირგვლივ ლათინური წარწერით IMP CORDIANVS PIVS FEL AVC.

ზ უ რ გ ი: მამაკაცი პირდაპირ. მარჯვენა ხელში უჭირავს გრძელბუნიკიანი შუბი, მარცხენა ხელში — პალმის რტო. ირგვლივ შემოუყვება ლათინური წარწერა: IOVI/STATORI.

მ ო ნ ე ტ ა ო ქ რ ო ს ი[27]. ფილიპეს (244—259) სტატერის მინაბაძი. დმ 2 სმ, წონა 3,87 გრ.

---

[25] ჭ. გ. 66-77a.

[26] ჭ. გ. 66-78, ტაბ. 45, სურ. 6. (გ. ფ. 12180).

[27] ჭ. გ. 66-79, ტაბ. 45, სურ. 5. (გ. ფ. 12181).

შ უ ბ ლ ი: კეისრის მარჯვენა პროფილი, ირგვლივ ლათინური წარწერით, რომელიც ძალზე დამახინჯებულია, მაგრამ ფილიპეს სახელის გამომხატველი ასოები მაინც იკითხება.

ზ უ რ გ ი: გამოსახულია მარსი მთელი ტანით, მარცხენა პროფილით. მარსის წინა და უკანა დამახინჯებული ლათინური ზედწერილია, რომელიც არ იკითხება.



სურ. 7. კრამიტსამარხის ფსკერი მოგებული კრამიტით, დაზიანებული.

მსგავსი მონეტა აღმოჩენილია არმაზისხევის № 3 სამარხში. მათ შორის ისეთი დიდი მსგავსებაა, რომ ისინი ერთი სიქით მოჭრილის შთაბეჭდილებას ტოვებენ. გარდა ამისა, № 2 სამარხის იატაკის ქვეშ აღმოჩნდა ავგუსტე კეისრის 4 დეხარი[28] და გოტარზეს ორი დრაქმა[29]. თუ ამ მონეტების მიხედვით ვიმსჯელებთ, ახ. წ. III საუკუნის მეორე ნახევარში ავგუსტესა და გოტარზეს სახელით მოჭრილი მონეტები ქართლის სამეფოში ფართოდ მიმოიქცეოდა.

---

[28] ჭ. გ. -66-80, 82, 83, 84 (გ. ფ. 12182, 12185, 12184, 12186).

[29] ჭ. გ. -66-81, 85 (გ. ფ. 12183, 12187).

სამარხი № 3 (ტაბ. 8), აგრეთვე, დაზიანებული იყო სახნისის მიერ ისე, რომ ნივთების ნაწილი მიწის ზედაპირზე იყო ამოტანილი და ერთი მონეტა თიხის ჭურჭლის ნატეხებთან და ვერცხლის აბზინდასთან ერთად ჯერ კიდევ გათხრის დაწყებამდე ვიპოვეთ.

გათხრების შედეგად მიცვალებულის პოზის გარკვევა არ მოხერხდა იმის გამო, რომ ძვლები სახნისის მიერ ძირფესვიანად იყო ამოტრიალებული. სამარხის სავარაუდო ადგილი და მისი შემოგარენი ჩვენ საგულდაგულოდ გადავარჩიეთ 1 მეტრის სიღრმეზე. ამ ძიების შედეგად დაახლოებით 2 კვადრატულ მეტრ ფართობზე შეგროვილ იქნა შემდეგი ნივთები:

ჭ უ რ ჭ ე ლ ი თ ი ხ ი ს[30]. აღდგენილია. თიხა მოჩალისფროა, შეიცავს სილის მინარევს. ნაკეთებია მორგვზე; ჭურჭელს აქვს მსხლისებრი მოყვანილობა, სწორი ყელი, შუაზე რელიეფური წიბოთი, თანაბრად დაქანებული მხრები და ბრტყელი ძირი. ოვალურგანივკვეთიანი ყური თავით ჭურჭლის ყელზეა მიძერწილი, ხოლო ძირით მუცელზე. ზ ო მ ე ბ ი: სიმაღლე 13,4 სმ, პირის დიამეტრი 6,3 სმ, ძირის დიამეტრი 8 სმ, კეცის სისქე 0,5 სმ.

ბ ე ჭ ე დ ი ვ ე რ ც ხ ლ ი ს[31]. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ ნაწილში 65 სმ-ის სიღრმეზე. ოვალური მოყვანილობის რკალი ფუყეა. შუაზე იგი შედარებით ვიწროა, ხოლო მხრებისაკენ თანდათანობით განივრდება. ფარაკი ოვალურ-ბრტყელია და რკალის გამსხვილებულ ღეროსთანაა გაერთიანებული (ტაბ. 28, სურ. 1 ფერადი, ტაბ. IV, სურ. 1). ოვალური მოყვანილობის სარდიონის თვლის ფუძე თვალბუდეში მჭიდროდაა ჩასმული. მოწითალო თვალი ამობურცულია და ზედ ამოკვეთილია მოკლე ქლამიდით შემოსილი ზეზე მდგომი მამაკაცის გამოსახულება, რომელსაც თავი მარცხენა პროფილში აქვს ნაჩვენები, ხოლო ცალი ფეხი წინ გადადგმული. იგი მარცხენა ხელით ეყრდნობა მაღალი შუბის თუ „კვერთხის“ ტარს, ხოლო მარჯვენა ხელი გვერდზე აქვს გაშვერილი და უკავია გაურკვეველი ატრიბუტი, შესაძლოა კანთაროსი. თავზე თითქოს მჭიდროდ მორგებული ჩაჩქანია გამოსახული. გამოსახულება საკმაოდ სქემატურია, არაპროპორციული და არც ნამუშევარია მაინცა და მაინც სახარბიელო (ტაბ. 43, სურ. 2).

ზ ო მ ე ბ ი: რკალის სიგანე 2,6 სმ, რკალის სიმაღლე თვლიანად 2,4 სმ, ღეროს სიგანე უწვრილეს ადგილას 0,4 სმ, მხრების სიგანე 1 სმ, თვალის ზომა 1,6×1,2 სმ.

ვ ე რ ც ხ ლ ი ს ხ ვ ი ა[32]. გველის გამოსახულება. გაურკვეველია საყურეა თუ ბეჭედი. ქვეწარმავალი საკმაოდ რეალურადაა გამოსახული.

ა ბ ზ ი ნ დ ა ვ ე რ ც ხ ლ ი ს[33]. წარმოადგენს ცალმხრივ მორკალულ მსხვილ ღეროს, რომელიც ტყავის გამოსადებ ნაწილში სწორია. ამ სწორ ნაწილზე ორმაგად გაკეცილი ვერცხლის ფირფიტაა გამოდებული (ტყავის ბოლოს ჩასამაგრებლად), ხოლო გადაკეცილი ფირფიტის იღლიაში კი ჩასმულია იმავე სწორ ღერზე წამოგებული აბზინდის ენა, რომელიც წვეტით რკალისაკენაა მიმართული. ტყავის დასამაგრებელ ნაწილზე შემორჩენილია სამი მანჭვალი (ტაბ. 29. სურ. 2).

---

[30] ჭ. გ. 66-86, ტაბ. 34, სურ. 2, ტაბ. 41, სურ. 3.

[31] ჭ. გ. 66-98. მ. ლოთჭიფანიძის ვარაუდით, ინტალიოზე, შესაძლოა, დიონისე იყოს გამოსახული. დასახ. ნაშრ. გვ. 57-60

[32] ჭ. გ. 66-111, ტაბ. 28, სურ. 1.

[33] ჭ. გ. 66-99, ტაბ. 28, სურ. 1.

ზომები: აბზინდის რკალის სიგანე 4,3 სმ; სიმაღლე 3,5 სმ; მთლიანად აბზინდის სიგრძე 6,7 სმ; გადაკეცილი ფირფიტის ზომები 3,8×4,4 სმ; ენის სიგრძე 3,8 სმ.

აბზიხდა ვერცხლის[34]. შედარებით მცირე ზომისაა; წარმოადგენს ვერცხლის უენო რგოლს, რომელზედაც გამოდებულია ვერცხლისავე ორად მოკეცილი საკმაოდ განიერი ფირფიტა (ტაბ. 29, სურ. 2).

სიგანე 3,7 სმ; რგოლის დიამეტრი 1,9 სმ; ტყავის დასამაგრებელი ფირფიტის სიგანე 1,4 სმ.

აბზინდა ვერცხლის[35]. წინგანხილულის მსგავსი და ტოლი.

რგოლი აბზინდისა[36]. ვერცხლის; დიამეტრი 2 სმ.

აბზინდა ვერცხლის[37]. მცირე ენით; დმ. 1,1 სმ.

აბზინდა ვერცხლის[38]. ჭამრის შემადგენელი ნაწილებითურთ. აბზინდასთან ერთად სამარხში აღმოჩნდა ორწილადი, ერთიმეორესთან ყუნწ-ღერაკით დაკავშირებული ხუთი ჩასართი, რომლებიც ალბათ, ჭამრის ტყავის მოკლე ნაჭრებს აერთიანებდნენ. ვერცხლის ყველა გადასაბმელი ერთგვარია და დამზადებულია ერთი ტექნიკით (სურ. 8).

საკუთრივ აბზინდა შედგება ოვალური რგოლისაგან, რომლის ერთ მხარეს გამოდებულია ტყავის დასამაგრებელი ორმაგად გადაკეცილი მოგრძო ფირფიტა ბოლოში ორი მანჭვლით. ორმაგი ფირფიტის იღლიაში ჩასმულია ვერცხლისავე ენა, რომელიც წვეტით ებჯინება რკალის მოპირდაპირე მხარეს.

ზომები: სიგრძე 6,6 სმ; რკალის უდიდესი დმ 2,9 სმ; ენის სიგრძე 2,5 სმ; ტყავის ჩასამაგრებელი ორმაგი ფირფიტის სიგრძე 4,9 სმ; სიგანე 2 სმ.

მუხლედი გადასაბმელის სიგრძე 5,2—5,5 სმ-ია, სიგანე 1,6 სმ. ჭამრის მეორე ბოლოზე წამოსაცმელი ორმაგი ფირფიტის წვერი ოდნავ დავიწროვებული და მომრგვალებული აქვს, ხოლო ტყავის შესაყრელთან — ერთი მანჭვალი. სიგრძე 4,2 სმ; სიგანე 1,3 სმ.

აბზინდა ბრინჯაოსი[39]. მასიური, მოზრდილი. რკალის ნაწილი მრგვალღეროიანია და მსხვილი, ხოლო ყუნწის გამოსადები ღერო შედარებით წვრილია. სიგანე 5,6 სმ; სიგრძე 5 სმ; ენის სიგრძე 5,5 სმ.

აბზინდა ბრინჯაოსი[40]. მოყვანილობით ძლიერ ჰგავს წინაგანხილულ ვერცხლის ენიან აბზინდებს. სიგრძე 3,5 სმ; რგოლის სიგანე 2 სმ; ენის სიგრძე 1,8 სმ.

აბზინდა ბრინჯაოსი[41]. პატარა. სიგრძე 1,4 სმ; სიგანე 1,2 სმ; ენის სიგრძე 1,5 სმ; ღეროს დიამეტრი 0,3 სმ.

„საკიდი“ ბრინჯაოსი[42]. 2 ც. ჩანს, აგრეთვე ჭამართანაა დაკავშირებული. „საკიდს“ აქვს ენისებრი მოყვანილობის რგოლიანი ყუნწიანი ფირფიტა, რომელიც ორად გაკეცილ ერთმანჭვლიან სამაგრზეა ჩამოკიდებული, სიგრძე 5,2 სმ; საკუთრივ ენის სიგრძე 3,5 სმ.

---

[34] ქ.გ. 66-100, ტაბ.28, სურ. 1. ზედა მწკრივი, მარჯვნიდან პირველი.
[35] ქ. გ. 66-100, ტაბ. 28, სურ. 1.
[36] ქ. გ. 66-102, ტაბ. 28, სურ. 1. ზედა მწკრივი, მარცხნიდან მეორე.
[37] ქ. გ. 66-201, ტაბ. 28, სურ. 1.
[38] ქ.გ.66-103,ტაბ. 29, სურ.1.
[39] ქ. გ. 66-204, ტაბ. 28, სურ. 2.
[40] ქ. გ. 66-105, ტაბ. 28, სურ. 2, ქვედა მარჯვენა.
[41] ქ. გ. 66-106, ტაბ. 28, სურ. 2, მარჯვნივ შუათანა.
[42] ქ. გ. 66-110, ტაბ. 28, სურ. 2.

რგოლები ბრინჯაოსი[43]. სამი ცალი, მათ შორის ორი მთელია. მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი (ღეროს დმ 0,4 სმ). სადაა. ერთი ოდნავ დეფორმირებულია (დმ 3,4 სმ).

რგოლი ბრინჯაოსი[44]. წრიულად მორკალული. ორი შვერილით. რომელთაც გამახვილებული თავები აქვთ. დმ 2,8 სმ.

რგოლი ბრინჯაოსი[45]. ოვალურად მორკალული. ცალ მხარეს ნისკარტისებრი შვერილით, თითქოს ფრინველის გამოსახულება უნდა იყოს. ოვალის სიგრძე 2,5 სმ.

მძივები გიშრისა[46]. 22 ც. ბრტყელი, ცილინდრული, მრავალწახნაგა, ბიკონუსური და სხვა მოყვანილობისა. მათ შორის რამდენიმე მძივსაკიდია.

დუბლირებული მძივები[47]. მინისა. მოგრძო, ირიზებული.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ნივთებისა, № 3 სამარხში აღმოჩნდა მონეტებიც, რომლებიც თანაბრად იყო გაბნეული ინვენტარის შემცველ მიწაში. მათ შორის საყურადღებოა:

მონეტა ოქროსი[48]. გორდიანე III-ისა (238—246, წონა 4,6 გრ., დმ 2,0 სმ. შუბლზე გამოსახულია კეისრის მარჯვენა პროფილი, ირგვლივ ლათინური ზედწარწერით: IMP CAES M AMT CORDIANUS AVC.

ზურგზე: გამოსახულია ტახტზე მჯდომი ქალღმერთი, ირგვლივ აგრეთვე ლათინური წარწერით: CONC OR DI/VVG.

გარდა ამისა, სამარხში აღმოჩნდა ავგუსტეს 4 დენარი[49] და გოტარზეს 5 დრაქმა[50].

№ 3 დანგრეული სამარხი, როგორც აქ აღწერილ მასალებიდან ჩანს, უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნივთმრავალი და საყურადღებო. ალბათ, ზოგი რამ კომპლექსს აკლია. № 3 სამარხი მიეკუთვნება მდიდრული სამარხების ჯგუფს.

სამარხი № 4 მდებარეობდა ჭუშანაანთგორის სამაროვნის მდიდრული უბნის სამხრეთ-აღმოსავლეთით. იქ გავლებულმა № 6 თხრილმა (ტაბ. 2), რომლის ფართობი იყო 40 კვმ, გამოავლინა ერთიმეორის სიახლოვეს მდებარე ორი სამარხი: № 4 და № 4 ა, რომლებიც სანახევროდ სახნისის წვერით იყო დანგრეული (ტაბ. 30, სურ. 1,2).

№ 4 სამარხში ჩონჩხი თითქმის მთლიანად აშლილი დაგვხვდა, მაგრამ ძვლების ნაშთების მიხედვით აშკარად ჩანდა, რომ მიცვალებული ამ სამარხში იწვა თავით სამხრეთისაკენ, 0,6 მეტრის სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან. სამარხის ძირის პრეპარაციის შემდეგ მასში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

კოჭობი ყურიანი[51]. მოწითალოდ გამომწვარი. ჩალეწილი იყო სახნისის წვერით. აღდგა ნაწილობრივ. აკლია პირ-გვერდის მოზრდილი ნაწილი. ჰურჭელს აქვს გადაშლილი პირი, საშუალო სიმაღლის მრგვალი ყელი, მრგვა-

---

[43] ჭ. გ. 66-107, ტაბ. 28, სურ. 2, ზედა მწკრივი.
[44] ჭ. გ. 66-108, ტაბ. 28, სურ. 2.
[45] ჭ. გ. 66-109, ტაბ. 28, სურ. 2.
[46] ჭ. გ. 66-112, ტაბ. 29, სურ. 2.
[47] ჭ. გ. 66-113.
[48] ჭ. გ. 66-87, ტაბ. 45 სურ. 4.
[49]. ჭ. გ. 66-93, 94, 95, 96 (მ. ფ. 12194, 12195 12196 12197).
[50] ჭ. გ. 66-68, 89, 90, 91, 92 (გ. ფ. 12189, 12190, 12191, 12192, 12193).
[51] ჭ. გ. 114, ტაბ. 31, სურ. 2.

ლი კორპუსი და ბრტყელი ძირი. დაბრტყელებულღერიანი წრიულად მორკალული მომცრო ყური დაძერწილი აქვს მუცლის შუა ნაწილში. ყურის თავზე დაძერწილია მეჭეჭისებრი ერთი ბურცობი. კორპუსის ზედა ნახევარი შემკულია შიგნიდან დაწნევით მიღებულ ბურცობთა სამი კონცენტრული მწკრივით. კეცი კარგადაა განლექილი, მკვრივია და გამომწვარია სრულად. ზომები: სიმაღლე 11 სმ; ძირის დმ 5,5 სმ.

საყურეები ბრინჯაოს[52]. ოთხი ცალი. ორიგინალური აღნაგობისა. საკმაოდ მოზრდილი ოვალური, ორმაგი რგოლებით. ნაკეთებია ერთი მთლიანი მავთულისაგან. ოვალური რგოლები (ყუნწები) მიღებულია მავთულის წვრილი ბოლოების ღეროზე გადახვევით.

ზომები: სიგრძე 3,8 სმ; სიგანე 2,4 სმ; ღეროს მაქსიმალური დმ 0,3 სმ.

აბზინდა ქამრის[53] (ბრინჯაოსი) და ქამრის ნაწილები. დაახლოებით ისეთივე, როგორც აღვწერეთ № 3 მდიდრულ სამარხში. ტყავის ნაჭრების გადასაბმელი და დამჭერი ორმაგი ფირფიტები დამტვრეულია და მათი ზუსტი აღწერა არ ხერხდება. რაც შეეხება აბზინდას, მისი რგოლი ოვალურია, ცალ მხარეს დაწვრილებული ღეროთი, რომელზედაც გამოდებულია ტყავის დამჭერი ორმაგი ფირფიტის ნაშთი და ბრინჯაოსავე ენა. ზომები: აბზინდის სიგანე 2,8 სმ; სიგრძე 2,2 სმ; ენის სიგრძე 2,3 სმ; ალბათ, ამავე ქამრის ნაწილი უნდა იყოს სწორკუთხად მოკეცილი და ცალ მხარეს ბოლოებგადაღუნული ბრინჯაოს ფირფიტა. სიგრძე 1,5 სმ; სიგანე 1,1 სმ.

საყურე ბრინჯაოსი[54]. წყვილი. ერთს ყუნწი აქვს მოტეხილი. დამზადებულია ჩამოსხმის წესით. საყურე წარმოადგენს წიწიბოს მოყვანილობის მასიურ ნაკეთობას, რომელსაც ცალი მხრიდან აქვს ნახევარწრედ მორკალული ყურში გასაყრელი წვრილი ღერო. სიგრძე 1,7 სმ; სიგანე 0,9 სმ.

ბეჭედი ვერცხლისა[55]. გადარჩენილია რკალი და გემიანი თვალი. რაც შეეხება თვალბუდეს, იგი მთლიანად დაშხვრეული და ადგილზევე ჩაშლილი იყო. ბეჭდის რკალი თითქმის წრიულია, თავგახსნილი, დაბრტყელებული ბოლოებით, რომელზედაც დარჩილული იყო თვალბუდე. სარდიონის თვალის ძიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თვალბუდე მრგვალი და საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო. მოწითალო სარდიონის ბრტყელ პირზე გამოხატულია ფრთაგაშლილი არწივი, რომელსაც ნისკარტით მრგვალი გვირგვინი უჭირავს. გამოხატულება, როგორც მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, წარმოადგენს რომაული იარაღის ძლიერების სიმბოლოს (ტაბ. 31, სურ. 3). რკალის დმ 2,3 სმ; თვალის დმ 1,1 სმ.

მძივები გიშრისა[56], სხვადასხვა მოყვანილობისა და ზომის, 34 ცალი მათ შორის გვხვდება 18 ცალი სფერულ-ცილინდრული (სიგრძე 0,6—0,9 სმ; დმ 0,7—0,9 სმ); 5 ცალი „ნაპობი“ მძივების ტიპისაა, შედარებით თხელი და უსწორმასწორო; 7 ცალი შედარებით წვრილია, სფეროსებრი; 4 ცალი კი მძივსაკიდს წარმოადგენს. მძივსაკიდებს შორის სამი ერთი ტიპისაა, მოგრძო, „წელში“ გამოყვანილი, კონუსური წვერით (ტაბ. 32). სიგრძე 1,9—2 სმ; გიშერი მაღალხარისხოვანია და კარგად დაცული.

---

[52] ქ. გ. 66-115, ტაბ. 31, სურ. 1, ტაბ. 32.
[53] ქ. გ. 66-116, ტაბ. 32.
[54] ქ. გ. 66-117, ტაბ. 31, 1; ტაბ. 32.
[55] ქ. გ. 66-118; ტაბ. 31, სურ. 1.
[56] ქ. გ. 66-121. ტაბ. 31, სურ. 1.

მ ძ ი ვ ი ქ ა ლ ც ე დ ო ნ ი ს[57]. მსხვილი, ოდნავ დაბრტყელებული სფეროსებრი. დახშული მოთეთრო-მოვარდისფრო ელფერით. ძაფის გასაყრელი ხვრელი გამოყვანილი აქვს ცალი მხრიდან, ამიტომ იგი კრატერისებრი მოყვანილობისაა. სიმაღლე 2 სმ; დმ 2,5 სმ; ხვრელის დმ 0,7 სმ.

მ ძ ი ვ ე ბ ი[58]. 19 ცალი, მათ შორის ოთხი ქარვისაა, ოთხი მარჯნის, ერთი სარდიონის, დანარჩენი ლურჯი მინისა.

ს ა ლ ე ს ი ქ ვ ა[59], მოშავო, განიერ თავში ზონარის გასაყრელი ხვრელით (დმ 0,8 სმ.). ვიწრო ბოლოში ეტყობა ხმარების კვალი. სიგრძე 18 სმ; სისქე 0,8 სმ; სიგანე განიერ თავში 2,5 სმ.

თიხის ჭურჭლით, ქამრის ბრინჯაოს ნაწილებით და „წიწიბოსებრი“ საყურეებით № 4 სამარხი სიახლოვეს ამჟღავნებს № 1 და № 3 სამარხებთან.

სამარხი № 4 ა მდებარეობდა № 6 თხრილში (ტაბ. 2), № 4 სამარხის სიახლოვეს და ძლიერ იყო დაზიანებული (ტაბ. 30). ძვლების წამთების მიხედვით სამარხში ერთი ინდივიდი იყო დაკრძალული, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. საწარხეული ძვლები მიწის ზედაპირიდან 0,6—0,7 მეტრის სიღრმეზე მდებარეობდა. კომპლექსში შემავალი ნივთების ნაწილი ნახნავის ზედაპირზე იყო ამობრუნებული.

სამარხში აღმოჩნდა:

ხ ე ლ ა დ ა მ ო მ ც რ ო, ს ა მ ტ უ ჩ ა[60]. დამსხვრეული იყო, თითქმის მთლიანად აღდგა. აკლია პირ-ბაკოს მცირე ნაწილი. გამომწვარია მოწითალო-მოჩალისფროდ. სამტუჩა პირი მკვეთრადაა დანაწევრებული. ყელი ოდნავ შეძაღლებულია, აქვს სფერული მუცელი, ბრტყელი ძირი და ოდნავ დაბრტყელებული ყური, რომელიც თავით ჭურჭლის ბაკოზეა დაძერწილი, ხოლო ფუძით კორპუსზე. ყურის ზედა ნაწილი ჭურჭლის ბაკოს დონეზე ოდნავ მაღლაა აზიდული. თიხა კარგადაა განლექილი და გამომწვარი. სიმაღლე 11,2 სმ (ბაკომდე); სიმაღლე ყურიანად 11,7 სმ; მუცლის დმ 8,47 სმ; პირის ოვალის სიგრძე 5სმ; სიგანე 4 სმ; ძირის დმ 5,5 სმ; ყურის ღეროს სიგანე 1,2 სმ.

ხ ე ლ ა დ ი ს ე ბ რ ი ს ა ს მ ი ს ი[61]. აღდგენილი, წითელკეციანი. აქვს ძრგვალი, გარეთ გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, შემკული რელიეფური წიბოთი, ოდნავ წაგრძელებული კორპუსი, ბრტყელი ძირი და ერთი პატარა ყური, რომელიც მუცელზეა დაძერწილი. ნაკეთებია შორგვზე. თიხა წმინდაა და კარგადაა გამომწვარი. სიმაღლე 12 სმ; მუცლის დმ 10 სმ, პირის დმ 6,7 სმ; ძირის დმ 6 სმ; ყურის ღეროს სიგანე 1,6 სმ.

კ ო ჭ ბ ი ს ე ბ რ ი ჭ უ რ ჭ ე ლ ი[62]. მცირედ დაზიანებული პირ-ბაკოთი. მოჩალისფრო. ჭურჭელს აქვს გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, სფეროსებრი მუცელი და ბრტყელი ძირი მორკალული მცირე ყურით, რომელიც ჭურჭლის ძხარზეა დაძერწილი. თიხა წმინდაა, კეცი მკვრივია და კარგად გამომწვარი. გარედან გადავლებული აქვს წმინდა თიხის ხსნარი. ჭურჭლის მხარი შემკულია ნაჭდევთა სამი წრით, რომელთაგან სულ ზედაზე რვიანების მსგავსი ნაჭდევებია დასმული, შუათანაზე გამოსახულებები ექვსიანებს წააგავს, ხოლო

---

[57] ჭ. გ. 66-119, ტაბ. 31. სურ. 1.
[58] ჭ. გ. 66-120, ტაბ. 32.
[59] ჭ. გ. 66-122 ტაბ. 31, სურ. 1.
[60] ჭ. გ. 66-124, ტაბ. 34. სურ. 1. ტაბ. 42, სურ. 1.
[61] ჭ. გ. 66-123, ტაბ. 34, სურ. 1, ტაბ 42, სურ. 1.
[62] ჭ. გ. 66-125, ტაბ. 34, სურ. 1. ტაბ. 42, სურ. 1.

სულ ქვემოთ, თითქმის მუცლის უდიდეს დიამეტრზე, პატარა-პატარა რგოლებია გაძოხატული. სიმაღლე 9,7 სმ; პირის დმ 5,5 სმ; მუცლის დმ 10 სმ; ძირის დმ 5,5 სმ; ყურის ღეროს დმ 1,2 სმ.

ჭურჭლის ნატეხები[63]. მცირე ხელადისა (8 ნატეხია), ეკუთვნის ორ ჭურჭელს. თიხა მკვრივია, გამომწვარია მოჩალისფროდ.

საყურე ვერცხლის[64]. წყვილი. „წიწიბოსებრი". ერთს ყუნწი მოტეხილი აქვს. ერთ მათგანს აზის დამღა — წრე შიგ ჩასმული ხაზით — შესაძლოა ხელოსნის ნიშანი იყოს.

საყურე ბრინჯაოსი[65]. წყვილი. წინგანხილულთა მსგავსი. ორივეს აკლია ყურის ბიბილოში გასაყრელი ნახევარრკალი.

რგოლი ვერცხლის[66]. შესაძლოა საყურე იყოს. არაწესიერ წრედ მორკალული, თავგახსხილი, ზურგშემსხვილებული. დმ 2,1 სმ; ღეროს დმ 2,5 სმ.

მძივები[67]. სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის, 93 ცალი, და ერთი კვირისტავისებრი შუაში ჩახვრეტილი, ზემოდან ინკრუსტირებული ზოლებით შემკული საგანი[68], რომლის ზუსტი დანიშნულება გაურკვეველია. გამოთქმულია ვარაუდი, რომ იგი საკინძის თავია. მართალია, სამარხი დაზიანებული იყო, მაგრამ მასში საკინძის ღერო არ აღმოჩენილა. მძივების ალაგების დროს ეს კვირისტავის მსგავსი საგანი სწორედ მათ შორის აღმოჩნდა და, ამიტომაც ისინი მძივებს შივათვალეთ. დმ. 2,1 სმ; სიმაღლე 0,8 სმ; ნასვრეტის დმ 0,4 სმ.

მძივების უმრავლესობა წვრილია (დმ 0,3 სმ), ნაკეთებია ლურჯი მინისაგან. 16 ცალი ოდნავ მოზრდილია (დმ 0,5 5 სმ). ორი ბიკონუსური მძივი მწვანეა. ორი მძივი სარდიონისაა. სფერული; ერთი ჭარვაა (დმ(0,6 სმ), ხოლო ერთი, შესაძლოა, გამჭრალი მარჯანი იყოს. ამავე სამარხში აღმოჩნდა ავგუსტე კეისრის ვერცხლის დინარი (ინვ. № 131 ა, გფ. 12211).

სამარხი № 5 მდებარეობდა სამაროვნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (იხ. ტოპოგრაფიული გეგმა, ტაბ. 2); ნაწილობრივ დაზიანებული იყო ხვნის დროს, მაგრამ პრეპარაციამ საშუალება მოგვცა მიახლოებით მაინც დაგვედგინა როგორც სამარხის აღნაგობა და მასში დაკრძალვის წესი, ასევე ინვენტარის გახლაგება.

იგი წარმოადგენდა ჩვეულებრივ ორმოსამარხს, რომელშიაც მარცხენა გვერდზე იდო ერთი ოდნავ მოხრილი ჩონჩხი თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ ძვლების დიდი ნაწილი არეული იყო, ჩანდა, რომ სამკაულები ძირითადად სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იყო მოქცეული. სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

ხელადისებრი ცალყურა ჭურჭელი[69], რომელიც სასმისადაც გამოდგებოდა. მოჩალისფრო. სფერულმუცლიანი, დაბალი ყელით და გარეთ გადმოშლილი პირით. პირის ნაწილი აკლია. ჭურჭლის ტანი შემკულია ირიბად განლაგებული ამობურცული ზოლებით, რომელიც შიგნიდან დაწნეხვითაა ნა-

---

[63] ჭ. გ. 66-126.
[64] ჭ. გ. 66-127, ტაბ. 33, სურ. 1, ფერადი ტაბ. V.
[65] ჭ. გ. 66-129, ტაბ. 33. სურ. 1. და ფერადი ტაბ. V.
[66] ჭ. გ. 66-128, ტაბ. 33. სურ. 1.
[67] ჭ. გ. 66-130, ტაბ. 33, სურ. 1. ფერადი ტაბ. V.
[68] ჭ. გ. 66-130, ფერადი ტაბ. V.
[69] ჭ. გ. 66-132, ტაბ. 34, სურ. 2, ტაბ. 41, სურ. 2.

კეთები. ყურის ღერო ბრტყელია და ორივე ბოლოთი მუცელზეა დაძერწილი. თიხა კარგადაა განლექილი და მკვრივია. გამომწვარია კარგად. ნაკეთებია მორგვზე. ზომები: სიმაღლე 11,2 სმ; პირის დმ 5,5 სმ; მუცლის დმ 13 სმ, ძირის დმ 9 სმ; ყურის სიგანე 2 სმ.

ბ ე ჭ ე დ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი[70]. მასივური, მხრებგანიერი, დაბრტყელებული ფარაკით, რომელიც შუაში ოვალურადაა ჩაღრმავებული ამ ღრმულში, ჩანს, იჯდა თვალი რომელიც დაკარგულია. ბეჭედი ყალიბშია ჩამოსხმული. ფარაკის თვალბუდის სიგრძე 1,2 სმ; სიგანე 0,9 სმ; რკალის დმ 2,5 სმ.

ს ა ყ უ რ ე[71] წყვილი, ბრინჯაოსი, ყურძნის მტევნის გამოსახულებით. ორივეს აქვს ძაფის გასაყრელი ყუნწი. ერთი შედარებით მოზრდილია. ყურძნის მტევანი სიმბოლირებულია ხორკლებიანი სფეროს სახით. თითოეული მტევანი შედგენილია 12 ხორკლისაგან. სიგრძე 1,2 სმ. როგორც ჩანს, საყურეები ჩამოსხმულია ყალიბში.

რ კ ი ნ ი ს ბ ე ჭ დ ი ს ნ ა შ თ ი[72]. წარმოადგენს თვალბუდის მცირე ნაწილს. რკინა დაზიანებულია. მასში ზის ნარინჯისფერი სარდიონის თვალი ოვალურამობურცული ზედაპირით. ზედაპირზე ამოკვეთილია მდგომარე დემეტრა, კვართით შემოსილი. დიადემით შემკობილი თავი გამოსახული აქვს მარჯვენა პროფილში, მარცხენა ხელით ეყრდნობა გრძელ ჩირაღდანს, ხოლო წინ (გვერდზე) გაწეულ მარცხენა ხელში თავთავებისა და ყაყაჩოების კონა უკავია. (ტაბ. 3. სურ. 2) თვალის სიგრძე 1,7 სმ; სიგანე 1,1 სმ; სისქე 4,5 სმ.

რ გ ო ლ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი[73]. ორად გატეხილი. სადა. რკალის დიამეტრი 2,7 სმ; ღეროს დიამეტრი 0,3.

ა ბ ზ ი ნ დ ა რ კ ი ნ ი ს[74]. ორად გატეხილი. სადა. ძალზე დაზიანებული და დაჟანგული. ეტყობა, ჰქონდა რკინისავე ენა. როგორც ჩანს, აბზინდის ღერო დაბრტყელებული და ტყავის შესაბნევ ზონაში შედარებით წვრილი ყოფილა დმ 3,8 სმ.

მ ძ ი ვ ე ბ ი ქ ა ლ ც ე დ ო ნ ი ს ა[75]. ორი ცალი. ერთი მოზრდილია, კასრისებრი მოყვანილობის, შუაზე ბზარით. ქვა მონაცრისფრო-მოთეთროა, დახშული. ძაფის გასაყრელი ნასვრეტი გაყვანილი აქვს ცალი მხრიდან. ზ ო მ ე ბ ი: სიგრძე 3 სმ; უდიდესი დმ 2,3 სმ; დმ ბოლოში 1,2 სმ; ნახვრეტის დმ განიერ მხარეს 0,3 სმ. მეორე მძივი დაბრტყელებული სფეროსებრია, მოთეთრო-მონაცრისფრო ლაქებით. გახვრეტილია აგრეთვე ცალი მხრიდან. სიგრძე 1,7 სმ; მძივის დმ 2,3 სმ, ნახვრეტი დმ 0,7 სმ.

თუ ვიმსჯელებთ აქ მოპოვებული მასალების მიხედვით და თუ გავითვალისწინებთ კომპლექსში ისეთი ნივთების არსებობას, როგორიცაა ხელადისებრი ჭურჭელი, თვალამოვარდნილი ბეჭედი, მტევნისებრი საყურეები და სხვა, წინასწარვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს სამარხი, შედარებით წინგანხილულებთან, რამდენადმე ადრეული ჩანს.

სამარხი № 6 მდებარეობდა VII საკონტროლო თხრილში (ტაბ. 2). ფაქტიურად ეს იყო სამარხის მეტად უმნიშვნელო ნაშთი, რომელიც დაუზია-

---

[70] ჭ. გ. 66-235, ტაბ. 33, სურ. 2 და ფერადი ტაბ. VI.
[71] ჭ. გ. 66-134, ტაბ. 33, სურ. 2 და ფერადი ტაბ. VI.
[72] ჭ. გ. 66-137, ტაბ. 33, სურ. 2 და ფერადი ტაბ. VI.
[73] ჭ. გ. 66-136, ტაბ. 33, სურ. 2 და ფერადი ტაბ. VI.
[74] ჭ. გ. 66-136, ტაბ. 33 სურ. 2. და ფერადი ტაბ. VI.
[75] ჭ. გ. 66-138, ტაბ. 33, სურ. 2.

ნებია ადრეფეოდალურ ხანაში აქ ამოჭრილ ორმოს. ამ ორმოში აღმოჩნდა ადრეფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი კრამიტები[76].

სამარხი № 7 მდებარეობდა № 1 სამარხის სიახლოვეს. აქ, მართალია, ჩვენ ადამიანის მთლიანი ჩონჩხისათვის არ მიგვიგნია. ცალკეული ძვლების მცირე ნატეხები და ნივთების ერთი ჯგუფი იმგვარად იყო თავმოყრილი, რომ პირველ ხანებში ჩვენ კრემაციული სამარხიც კი გვეგონა, მაგრამ როდესაც აღმოჩნდა ბარძაყის ძვალი, იგი ჩვეულებრივ ინჰუმაციურ სამარხად ჩავთვალეთ. სამარხის ძირი მიწის ზედაპირიდან 75—80 სმ-ის სიღრმეზე მდებარეობდა (ტაბ. 35, სურ. 2). ძვლების ფრაგმენტების სიახლოვეს აღმოჩნდა:

ჰ უ რ ჭ ლ ი ს მ ო ზ რ დ ი ლ ი ნ ა ტ ე ხ ე ბ ი[77]. ლეგა-მოშავო.

დ ე რ გ ი ს პ ი რ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი[79]. წითლად გამომწვარი, თიხა-სილა ნარევი.

დ ა ნ ი ს პ ი რ ი რ კ ი ნ ი ს ა[79]. სატარე შვერილით, ცალმხრივ მჭრელი. სიგრძე 11 სმ; სიგანე 1,7 სმ; სისქე 0,4 სმ.

გარდა ამისა, სამარხის თხრის დროს მიწის ზედაპირიდან 0,5 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა ნავისებრი ხელსაფქვავის ზედა ქვის მოზრდილი ნატეხი[80].

ზემოაღწერილი № 4, № 4-ა, 5 და 6 სამარხები მოქცეული იყო ჩვენს მიერ ნამოსახლარის შესასწავლად გაჭრილ საკონტროლო თხრილებში, მდიდრული სამარხების აღმოსავლეთით საკმაოდ დიდ ფართობზე. როგორც ჩანს, აქაურ მცხოვრებთა ტრადიცია ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც გვიანანტიკური ხანის მთელ საქართველოში. სამარხები იმართებოდა ცალკეულ სამოსახლო უბანთა თუ კერძო საცხოვრებელთა სიახლოვეს. ამ სამარხების განლაგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შედარებით უფრო ადრეული ხანის (ახ. წ. II—III სს.). სამარხები მოსალოდნელია ჭუშანაანთგორის ნამოსახლარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, № 5 სამარხის მიდამოებში.

ჩვენი ნაშრომის შემდგომ ნაწილში აღწერილი სამარხები კვლავ მდიდრული სამარხების უბანზე იქნა მოპოვებული:

სამარხი № 8 მდებარეობდა № 1 სამარხის აღმოსავლეთით (ტაბ. 2). მოგვიანო ხანის ორმოს თხრის დროს იგი ძველთაგანვე დაუზიანებიათ, კერძოდ, ნათხარ მიწაში მოჰყოლია თავის ქალა. ასე რომ, ჩვენ პრეპარაცია გავუკეთეთ უთავო ჩონჩხს (ტაბ. 36, სურ. 1; ტაბ. 40, სურ. 4), რომელიც იწვა გაშოტილი, თავით სამხრეთისაკენ, მიწის ზედაპირიდან 0,8 მეტრის სიღრმეზე. მენჯის სარტყელის სიღრმეში ბოქვენის ძვლებს შორის აღმოჩნდა მხოლოდ ორი ნივთი:

ბ ე ჭ ე დ ი ო ქ რ ო ს ი[81]. მომცრო, წვრილი და თანაბარი რკალით, რომელიც მხრებთან გაგანიერებულია. მასში ჩამაგრებულია თხელი, მრგვალი თვალბუდე, რომელშიც ზის მოწითალოდ გამჭვირვალე ალმანდინის თხელი ფირფიტა, შინდისფრად გამჭვირვალე. თვალი სადაა. ზ ო მ ე ბ ი: დიამეტ-

---

[76] ქ. გ. 66-139, ტაბ. 35, სურ. 1.
[77] ქ. გ. 66-146.
[78] ქ. გ. 66-147.
[79] ქ. გ. 66-148.
[80] ქ. გ. 66-150ა.
[81] ქ. გ. 66-149, ტაბ. 36, სურ. 2.

რი 1,9 სმ; ღეროს დიამეტრი 0,2 სმ; ფარაკის დმ 0,9 სმ; ფარაკის სიმაღლე 0,2 სმ (ფერადი ტაბ. VII, 2).

მონეტა ოქროსი[82]. დიოკლიტიანესი (284—305). მოგვიანოდ გადაკეთებულია მედალიონად. მასზე ხელოსანს მიუჩხილავს პატარა ყუნწი, დმ 2 სმ; ყუნწის დმ 0,4 სმ; წონა 4, 89 გრ (ტაბ. 54).

შუბლი: გამოსახულია დიოკლიტიანეს თავი პროფილში. გვირგვინოსანს აქვს ზემოთ ავარცხნილი ხშირი თმა, საკმაოდ მაღალი დაღარული შუბლი, წინგამოწეული ნიკაპი, ყელზე ახვევია წინგანასკვული ყელსახვევი. დაჟნის გვირგვინი კეფაზეა შეკრული. გარშემო შემოუყვება ლათინური ზედწერილი.

ზურგი: გამოსახულია ორცხენიანი გაჭენებული ეტლი, რომელზედაც დგას ფრთოსანი ვიქტორია, ისრებიანი კაპარჭით. მარცხენაში უჭირავს სადავე, ხოლო მარჯვენაში — სამეფო გვირგვინი. გარშემო ზეწერილია.

საკიდი რგოლი მონეტაზე მირჩილულია ოდნავ უფრო ღია ფერის ოქროთი. ამ მონეტის მიხედვით თარიღდება IV ს. დასაწყისით. აღნიშნული მონეტის გადაკეთება სამკაულად, ბუნებრივია, გარკვეულ დროს მოითხოვდა და იგი სამარხში მოჭრისთანავე ვერ მოხვდებოდა, ამიტომაც № 8 სამარხი მდიდრული სამაროვნის სხვა სამარხებს შორის შედარებით უფრო გვიანდელია.

სამარხი № 9 მდებარეობდა XII თხრილში მდიდრული სამარხების აღმოსავლეთით, პლანტაჟის შუაგულში (ტაბ. 2). იგი ჩვენ უკვე დანგრეული დაგვხვდა, მაგრამ მისი ნაშთის გადასინჯვისას აღმოჩენილი იქნა საკმაოდ საყურადღებო კომპლექსი. სამარხის იატაკი მიწის ზედაპირიდან 0,60 სმ სიღრმეზე იყო. № 9 სამარხში აღმოჩნდა:

ჭინჭილის ნატეხები[83]. თიხა წმინდაა და კარგად განლექილი. გამომწვარია წითლად. ტანი შემკული ჰქონია წრიულად განლაგებული კოპებით, რომლებიც შიგნიდან დაწნევის ხერხითაა მიღებული (სურ. 8).



სურ. 8.

[82] ჭ. გ. 66-150 ტაბ. 36, სურ. 2 (გ. ფ. 12198) ლათინური ზედწერილი შეიცავს შეცდომების უნდა ეწეროს შუბლზე: IMP CC VAL DIOCLETIANVS P. F. AVC ზურგზე: VICTORIA AVC

[83] ჭ. გ. 66-151. აღდგენილია ნაწილობრივ

ხ ე ლ ა დ ა, ც ა ლ ყ უ რ ა[84], მოჩალისფროდ გამომწვარი. თიხა ძალ-ზე წმინდაა და გამოწვის ხარისხიც მაღალია. აღდგენილია ნაკლული სახით (სურ. 8).

რ ჯ ო ლ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი[85]. ერთი შვერილი კოპით: ისეთივე, როგორიც აღმოჩენილ იქნა № 5 სამარხში. დიამეტრი 1,9 სმ: ღეროს დიამეტრი 0,3 სმ (სურ. 8).

მ ძ ი ვ ს ა კ ი დ ი ს ა რ დ ი ო ნ ი ს[86]. მსხლისებრი მოყვანილობისა და ღია მოწითალო. სიგრძე 1,4 სმ; დმ განიერ ნაწილში 0,8 სმ (სურ. 8).

ო თ ხ კ უ თ ხ ა ს ა გ ა ნ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი[87]. კამათლის მსგავსი, ყველა მხრიდან ჩახვრეტილი. ზ ო მ ა: 1,2×1,2 სმ (სურ. 8).

მ ძ ი ვ ი გ ი შ რ ი ს[88]. ორი ცალი. ერთი მრგვალი, ხოლო მეორე მუთაქისებრი.

მ ძ ი ვ ე ბ ი მ ი ნ ი ს[89]. მათ შორის ერთი ინკრუსტირებულია მოწითალო ზოლებით, ხოლო მეორე დაკუთხული მილაკია.

უნდა ვივარაუდოთ, რომ № 9 სამარხის ინვენტარი ჩვენამდე სრული სახით არ არის მოღწეული. დანგრეული სამარხის ფარგლებში ჩნდებოდა ჩალისფრად გამომწვარი ჭურჭლის ნატეხები. იმის გამო, რომ სამარხი მიწის ზედაპირიდან არც თუ ისე ღრმად იყო, შესაძლებელია სახნისის წვერმა ზოგიერთი ნივთი მიწის ზედაპირზე ამოიტანა, რასაც, როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი გადმოგვცემენ, დიდი ხალისით აგროვებდნენ მექანიზატორები.

სამარხი № 10 მდებარეობდა № 21 თხრილის V კვადრატში (ტაბ. 2, გენგეგმა). წარმოადგენდა ქვიშაქვებით ნაგებ სამარხს, რომელსაც სახურავის ფილები უკვე აღარ ჰქონდა შემორჩენილი, ხოლო გვერდები და თავკედლები დაბალი და უსწორმასწორო იყო, ისე, რომ იგი უფრო ქვისსამარხის მონაბაბს წარმოადგენდა (ტაბ. 37, სურ. 1,2). სამარხი №10 დამხრობილი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ და მისი ფსკერი მიწის ზედაპირიდან 0,9 მეტრზე მდებარეობდა. პრეპარაციამ ნათელყო, რომ სამარხი ძველთაგანვე გაუძარცვავთ. ამაზე მეტყველებდა პირველ რიგში სამარხეული ძვლები, რომლებიც მიხვეტილი იყო სამარხის სამხრეთ ნახევარში (ტაბ. 40, სურ. 2). ძვლებს შორის, სამარხის იატაკის დონეზე, აღმოჩნდა ლურჯი მინის ერთი მძივი, რომელიც შემკული იყო ინკრუსტირებული თეთრი ზოლებით გარდა ამისა, № 10 სამარხი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იმით, რომ მძარცველებს გადარჩენიათ ოქროს ერთი ბეჭედი, გემიანი, რომელიც მიხვეტილი ძვლების გროვაში იქნა ნაპოვნი.

საყურადღებოა, რომ სამარხის დასავლეთ ბოლოზე მიხვეტილი ძვლების ქვეშ მოქცეული იყო სახურავის ფილაქვების რამდენიმე ნატეხი. უნდა ვივარაუდოთ, რომ მძარცველებს სამარხი მთლიანად გადაუხსნიათ და სახურავის ქვის ნატეხები, რომლებიც შესაძლოა მისი გაძარცვის დროს ჩაიყარა სამარხში, მიხვეტილი ძვლების ქვეშ აღმოჩნდა.

სამარხის გარე ზომები: სიგრძე 1,7 სმ: სიგანე 0,72 სმ: აღმოსავლეთ თავ-

---

[84] ქ. გ. 66-152.
[85] ქ. გ. 66-153 ფერადი ტაბ. VII, 1.
[86] ქ. გ. 66-154. ტაბ. VII 1.
[87] ქ. გ. 66-158, ტაბ. VII, 1.
[88] ქ. გ. 66-155. ტაბ. VII, 1.
[89] ქ. გ. 66-157. ტაბ. VII 1.

კედლის სიმაღლე 18 სმ; დასავლეთ თავკედლისა 14 სმ; სამარხის შიდა ზომები: სიგრძე 1,45 სმ; სიგანე 0,4 მ; ფართობი, რომელზედაც მიხვეტილი იყო ძვლები 0,7×0,4 მ.

№ 10 სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

ბ ე ჭ ე დ ი ო ქ რ ო ს ი[90]. აქვს დაწახნაგებული რკალი, გაგანიერებული, „ამომჯდარი" მხრები და ოვალური თვალბუდე, რომელშიც ზის მუქი გრანატის ოდნავ ამობურცული ინტალიო. საკმაოდ ღრმად ნაკვეთ თვალზე ბრწყინვალე ოსტატობითაა გამოსახული ქალღმერთი ათინა მარჯვენა პროფილით (ტაბ. 43, სურ. 5). ბეჭედი მოყვანილობით დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს არმაზისხევის III საუკუნის დასასრულის ბეჭედთან, თვით გამოსახულება კი, შესრულებული გრანატის თვალზე, თავის ბრწყინვალებით უფრო კლასიკური ხანის ნამუშევარს მოგვაგონებს, ვიდრე გვიანანტიკურისას. ქალღმერთი ათინა გემაზე წარმოდგენილია უმუზარადოდ, თავშიშველი, კვართით შემოსილი, მხოლოდ თმაზე სადა სალტე აქვს შემოჭერილი, გულმკერდზე აქვს მედუზა, გორგანასა და ხუთი გველის გამოსახულება. სახის ნაკვთებიდან გამოკრთის ოდნავ შესამჩნევი ღიმილი (გამოსახულების ანალიზი იხ. III თავში).

სამარხი № 11 (ტაბ. 8). წარმოადგენდა ნიადაგში ჩაჭრილ ოვალურ ორმოს, რომლის სიგრძე 2 მ, ხოლო სიგანე 1,9 მ ყოფილა. თავის ქალა აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,85—0,9 მეტრის სიღრმეზე. დამხრობილი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ჩონჩხი იდო საკმაოდ მკვეთრად მოკრუნჩხული, თავით სამხრეთისაკენ (ოდნავ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გადახრით). ამ ნიშნით № 11 სამარხი გამოირჩევა სხვებისაგან. გარკვეული სიახლე შეინიშნებოდა დაკრძალვის წესშიაც. მიცვალებულის ჩასვენების შემდეგ, უშუალოდ ზედვე, თივისაგან ცეცხლი დაუნთიათ (თხლად განფენილი შავი ნამწვი მთელ ჩონჩხს ფარავდა). შემდეგ ზემოდან დაუყრიათ 15—20 სმ სისქის ყვითელი მიწის ფენა, რომელზედაც აგრეთვე ცეცხლი დაუნთიათ. შესაძლოა ასეთი რიტუალის შესრულება დაკავშირებული იყო სამარხი ორმოს ავი სულებისაგან განწმენდასთან.

ძვლები ცუდად იყო დაცული, თუმც პოზა საკმაოდ გარკვევით იკითხებოდა. ჩონჩხის სიგრძე მოკრუნჩხულ მდგომარეობაში 1,15 სმ.

სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

ხ ე ლ ა დ ა თ ი ხ ი ს[91]. გამომწვარია მოჩალისფროდ. ეტყობა ცეცხლში მოხვედრის კვალი. აღდგენილია. აქვს მრგვალი გადაშლილი პირი, გამობერილი მუცელი და ბრტყელი ძირი. ყურის ღერო მრგვალია. ყელზე შემოუყვება საკმაოდ ღრმა ნაჭდევი წრეხაზი. თიხა კარგადაა განლექილი. კეცი მკვრივია, გამომწვარია კარგად. ზ ო მ ე ბ ი: სიმაღლე 15 სმ; პირის დმ 7 სმ; ძირის დმ 9,5 სმ.

ხ ე ლ ა დ ი ს ე ბ რ ი ჰ ურ ჰ ე ლ ი[92]. შავკეციანი. აღდგენილი ნაკლულად. აქვს მრგვალი, ოდნავ გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, სფერული მუცელი და ბრტყელი ძირი; ყური თავით პირბაკოზეა მიძერწილი, ფუძით ჰურჰლის მხარზე. თიხა რამდენადმე უხეშია, კეცი მკვრივი და კარგად გამომწვარი. ზ ო მ ე ბ ი: სიმაღლე 11 სმ; პირის დმ 8 სმ; ძირის დმ 7,4 სმ.

---

[90] ჭ. გ. 67-273 ფერადი ტაბ. IV, სურ. 1, მარცხნივ ზემოდან მეორე.

[91] ჭ. გ. 67-280, ტაბ. 5.

[92] ჭ. გ. 67-289, ტაბ. 5.

ბ ე ჭ ე დ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი[93]. ნაკლული, წვრილი რკალითა და ოვალური ფარაკით.

ს ა ყ უ რ ე ო ქ რ ო ს ი[94]. წყვილი. წარმოადგენს მრგვალი მავთულისაგან დაშზადებულ სადა რგოლებს (დმ 1 სმ). აღმოჩნდა თავის ქალას ძვლების ქვეშ.

მ ძ ი ვ ი მ ი ნ ი ს ა[95]. სამმაგი, მოოქრული. სიგრძე 1,4 სმ.

მ ო ნ ე ტ ა ვ ე რ ც ხ ლ ი ს ა. 5 ცალი, ამათგან სამი გოტარზესია[96], ხოლო ორი ავგუსტე კეისრისა[97]. ამათგან სამი მონეტა სახის ძვლებთან აღმოჩნდა, ორი კი ფეხებთან.

სამარხი № 12 მდებარეობდა № 25 თხრილის პირველი კვადრატის აღმოსავლეთ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 0,75 სმ სიღრმეზე (ტაბ. 2). იგი წარმოადგენდა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ დამხრობილ ტიპიურ ორმოსამარხს, რომლის ძირზე ერთდროულად ორი მიცვალებული ესვენა. ამასთან, ერთი სამხრეთით მდებარე, იწვა ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთისაკენ (სამხრეთი გადახრით), ჩამოშვებული ხელებით, ხოლო მეორე ოდნავ ფეხებმოხრილი, მარჯვენა გვერდზე და მჭიდროდ იყო მიკრული პირველზე (ტაბ. 38, სურ. 1, 2). სავარაუდოა, რომ აქ ერთდროულ დაკრძალვასთან გვაქვს საქმე. სხვაგვარად წარმოუდგენელია ორმოსამარხში მეორე მიცვალებულის ჩასვენებისას არ დაეზიანებინათ პირველი ჩონჩხი. ორივე თავის ქალა დაზიანებული იყო. გაშოტილი ინდივიდი ტანმორჩილი ყოფილა (ჩონჩხის სიგრძე 1,5 სმ), მეორე კი უფრო ძვალმსხვილი და მაღალი (მოხრილ პოზაში მისი სიგრძე 1,5 მეტრი იყო). სამარხი ორმოს სიგანე ოდნავ აღემატებოდა 1 მეტრს, სიგრძე კი 1,8 მეტრი იყო.

სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

ქ ვ ე ვ რ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი[98]. მოწითალოდ გამომწვარი. ერთ ნატეხზე რელიეფური სარტყლის ნაშთია. ეწყო სამარხის სამხრეთ ნაპირას, ადამიანის ძვლებთან. შესაძლოა მიწით შევსების დროს ჩაცვივდა სამარხში.

ს ა მ ა რ ი ლ ე თ ი ხ ი ს[99]. აღდგენილია. გამომწვარია ლეგა-მონაცრისფროდ. აქვს სწორი კიდე, ოდნავ მომრგვალებული გვერდები და ბრტყელი ძირი. თიხა დამჭლევებულია და რამდენადმე უხეში (სურ. 9).

ზ ო მ ე ბ ი: სიმაღლე 2 სმ; პირის დმ 6,5 სმ; ძირის დმ 5,5 სმ.

ჰ უ რ ჰ ე ლ ი მ ი ნ ი ს[100]. მომწვანო. ნატეხების მიხედვით ჰურჰელს ჰქონია მაღალი ყელი შიგნით ჩაკეცილი პირით და შეზნექილი ძირი. იდო კისრის მალასთან, ყელით მიწაში. აღდგენილია ნაწილობრივ (სურ 9).

ჰ უ რ ჰ ე ლ ი (სანელსაცხებლე). მინის[101]. დამტვრეული. მინა მოყავისფროდაა ირიზებული. ჰურჰელს ჰქონია მრგვალი ყელი და ოდნავ გადაშლილი პირი. იდო გაშოტილი ჩონჩხის მარჯვენა ხელის ფალანგასთან (სურ 9).

ჰ უ რ ჰ ე ლ ი ო რ ყ უ რ ა[102], მინის, ღიამწვანე, კარგად დაცული. აქვს

---

[93] ჭ. გ. 67-282,

[94] ჭ. გ. 67-285 ფერადი ტაბ. IV, 1.

[95] ჭ. გ. 67-286

[96] ჭ. გ. 67-283, 284, 287 (გ. ფ. 12166, 12167, 12168)

[97] ჭ. გ. 67-281, 288 (გ. ფ. 12165, 12169).

[98] ჭ. გ. 67-290.

[99] ჭ. გ. 67-291, ტაბ. 5.

[100] ჭ. გ. 67-292.

[101] ჭ. გ. 67-293 აღდგენილია ნაწილობრივ.

[102] ჭ. გ. 67-294, ტაბ. 44, სურ. 1,5.

მრგვალი, გადაშლილი პირი მომრგვალებული ბაკოთი, მრგვალი შემაღლებული ყელი, დახრილი მხრები და ოვალურ-ცილინდრული ტანი, რომელიც ბოლოში ოდნავ შევიწროვებულია. ძირი ჭურჭელს მკვეთრად არ აქვს გამოყვანილი, იგი მომრგვალებულია და ოდნავ შეზნექილი. იდო გაშოტილი ჩონჩხის მარცხენა ბარძაყის ძვალთან ჰორიზონტალურად, პირით აღმოსავლეთისაკენ (ტაბ. 38, სურ. 1). ზომები: სიმაღლე 8,3 სმ; პირის დმ 2,2 სმ. (სურ. 9).



სურ. 9.

სანელსაცხებლე[103]. მინის. მომწვანო. კარგად დაცული. აქვს მრგვალი პირი, მაღალი მრგვალი ყელი, პატარა მრგვალი მუცელი და მომრგვალებული ძირი. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს დაკრძალულს (მოკრუნჩხულს) ჭურჭელი მარცხენა ხელში ეჭირა. (სურ. 9).
ზომები: სიმაღლე 6 სმ; პირის დმ 1,5 სმ.
მძივები[104]. აღმოჩნდა სამხრეთით მდებარე ჩონჩხთან. 1 გიშრისაა, 1 მინისა და ერთიც მოვარდისფრო ქვისა.

სამარხი № 13. მდებარეობდა XXVII თხრილში, IV და V კვადრატებს შორის დატოვებული უღლის ქვეშ (ტაბ. 8). სამარხის აღმოსავლეთ ნაპირს ფარავდა რიყის ქვებით შედგენილი ქვაყრილი, რომლის ზედაპირიც 0,6 მ სიღრმეზე იყო მოთავსებული.

№ 13 სამარხი წარმოადგენდა ნიადაგში ჩაჭრილ ტიპიურ ორმოსამარხს, რომლისთვისაც ამოუჭრიათ 1 მ 4 სმ სიგრძისა და 1 მ 2 სმ სიგანის ორმო. სამარხის ძირზე, მიწის ზედაპირიდან 1,1 მ სიღრმეზე, აღმოჩნდა ერთი ძლიერ მოკრუნჩხული ჩონჩხი, მარცხენა გვერდზე მდებარე, თავით სამხრეთისაკენ; განსაკუთრებით მკვეთრად მოკეცილი ჰქონდა ქვედა კიდურები (ტაბ. 39, სურ. 1). ჩონჩხის სიგრძე მოხრილ პოზაში იყო 0,9 მეტრი. ძვლები ცუდად იყო დაცული, განსაკუთრებით თავის ქალა. სამარხის პრეპარაციისას ჩონჩხის სიახლოვეს აღმოჩნდა სხვა ინდივიდის რამდენიმე ძვალი. შესაძლოა № 13 სამარხისათვის ორმოს ამოჭრის დროს ღაზიანეს იქ უფრო ადრე არსებული სამარხი და ეს ძვლებიც იმისი იყოს.

სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

ჭურჭელი მინის[105]. ირიზებული მოვერცხლისფროდ. აქვს მრგვალი,

---

[103] ქ. გ. 67-295, ტაბ. 44, სურ. 1, პირველი მარჯვნიდან.
[104] ქ. გ. 67-295 ა,

ბაკოგანიერი გადაშლილი პირი, მაღალი ყელი, მ'ხლისებრი მოყვანილობის მუცელი და მომრგვალებული, ოდნავ შეზნექილი ძირი. ყელისა და მხრის საზღვარი ოდნავ შევიწროვებულია (სურ 10). ზ ო მ ე ბ ი: სიმაღლე 9 სმ; პირის დმ 2 სმ.

ბ ე ჭ ე დ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი[106]. დაზიანებული, ფარაკიდან თვალია ამოვარდნილი. აქვს წვრილღეროიანი რკალი, რომელიც გაგანიერებულია და გადადის ოვალურ თვალბუდეში. მინის თვალზე შეიმჩნევა ძნელად გასარჩევი გამოსახულება. იდო ხერხემლის ძვალთან. (სურ. 10). ზ ო მ ე ბ ი: დმ 2,1 სმ; ფარაკის ოვალის სიგრძე 0,6 სმ.



სურ. 10.

ჰ უ რ ჰ ე ლ ი მ ი ნ ი ს[107]. მრგვალი, ბაკობრტყელი პირით, მაღალი ყელით, კონუსური ტანით და ბრტყელი, შუაში ოდნავ შეზნექილი ძირით. ყელისა და მხრის საზღვარი ოდნავ შევიწროებულია (ტაბ. 44, სურ. 2 და სურ. 10 ტექსტში). ზ ო მ ე ბ ი: სიმაღლე 15 სმ; პირის დმ 2,2 სმ.

ბ ე ჭ ე დ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი[108]. აქვს წვრილღეროიანი რკალი, რომელიც მხრებთან ოდნავ გაგანიერებულია და გადადის ოვალური მოყვანილობის ბრტყელ ფარაკში. ზ ო მ ე ბ ი: 2,1 სმ; ფარაკის თვალის სიგრძე 0,6 სმ.

რ გ ო ლ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი[109]. მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი. ურთიერთ-

---

[105] ჭ. გ. 67-315, ტაბ. 44, სურ. 1. მესამე მარჯვნივ.
[106] ჭ. გ. 67-309.
[107] ჭ.გ. 67-316, ტაბ. 44, სურ. 1. პირველი მარცხნ.
[108] ჭ. გ. 67-310.
[109] ჭ. გ. 67-312.

მოპირდაპირე მხარეს აქვს ორი შვეირილი, ერთი მრგვალი თავით, მეორე კი ნისკარტისებრი მოყვანილობისა. რკალის დმ 3,1 სმ.

რგოლები ბრინჯაოსი[110]. წყვილი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი. მოზრდილზე შემორჩენილია ტყავის ნაშთი. დმ 2,8 სმ.

რგოლები ბრინჯაოსი[111]. სადა, წრიული, მრგვალ განიკვეთიანი ღეროთი.

მძივები[112]. 47 ცალი. ამათგან 5 გიშრისაა, ოვალურ-მოგრძო, 2 ც. მთის ბროლისაა, მსხვილი, 37 ც. კი მინისა, სფერულ-დაბრტყელებული. დმ 0,4 სმ.

მონეტა ოქროსი[113]. იდო თავის ქალასთან. წარმოადგენს ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძს. შუბლზე გამოსახულია ქალღმერთ ათინას ძალზე სტილიზებული მარჯვენა პროფილი, ხოლო ზურგზე გაურკვეველი გამოსახულება. აღნიშნული რეგიონისათვის ამ მონეტის აღმოჩენა იშვიათობაა. დმ 1,5 სმ; წონა 3 გრ. გარდა ამისა, სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის 6 მონეტა, მათ შორის გოტარზე პართელის 4 დრაქმა[114] და ავგუსტე კეისრის ორი დენარი[115]. ვერცხლის მონეტებიდან ორი ფეხებთან ეწყო, ხოლო ოთხი—თავის ქალის ძვლების ქვეშ.

დაკრძალვის წესისა და ნივთიერი მასალის მიხედვით, № 13 სამარხი აქ განხილულ სამარხებს შორის ყველაზე ხნიერი ჩანს.

სამარხი № 14. მდებარეობდა XXVI თხრილის სამხრეთ ბოლოზე (ტაბ. 8). წარმოადგენდა გვიანდელი ორმოს თხრისას დაზიანებულ სამარხს. მისი შუა ნაწილი მთლიანად ამოღებული იყო. პრეპარაციამ გამოავლინა სამარხის თავი და ბოლო და შესაბამისი ძვლები. აღმოსავლეთ ბოლოზე გადარჩენილი იყო წვივის ძვლები (ტაბ. 39, სურ. 2), ხოლო დასავლეთ ნაწილში კი თავის ქალა. ამ ნაშთების მიხედვით ჩანს, ჩონჩხი იდო გამოტილი, თავით დასავლეთისაკენ. სამარხის კონტურები ვერ დავადგინეთ. ძვლების მიხედვით ჩონჩხის სიგრძე 1,55 სმ იქნებოდა. თავის ქალა იდო მიწის ზედაპირიდან 1,3 მეტრზე.

სამარხში აღმოჩნდა ერთი სანელსაცხებლე[116], რომელიც ფეხის ძვლებთან იდო და ამდენად გადაურჩა განადგურებას (ტაბ. 39, სურ. 2). მინის ჭურჭელს აქვს ოდნავ გაფართოებული და ბრტყელბაკოიანი ტანი, რომელიც ხუთი კანელურით ისეა ჩაზნექილი, რომ ჭრილში ხუთქიმიანი ვარსკვლავის მოხაზულობა აქვს. ძირი მომრგვალებულია და შუაში ოდნავ შეზნექილი (ტაბ. 44, სურ. 3 და სურ. 10 ტექსტში). ზომები: სიმაღლე 5,7 სმ; პირის დმ 2,1 სმ.

სამარხი № 15. მდებარეობდა XXVIII თხრილის IV კვადრატში (ტაბ. 8), მიწის ზედაპირიდან 0,5—0,6 მეტრის სიღრმეზე. სახნისისაგან ძვლები მთლად არეული იყო, ამიტომაც დაკრძალვის პოზის გარკვევა აღარ მოხერხდა. არეულ ძვლებს შორის აღმოჩნდა (სურ. 11):

---

[110] ჭ. გ. 67-313.
[111] ჭ. გ. 67-314.
[112] ჭ. გ. 67-311.
[113] ჭ. გ. 67-302, ტაბ. 46, სურ. 4 (გ. ფ. 12170) ზურგზე ფრთოსანი ნიკე უნდა იყოს.
[114] ჭ. გ. 67-303, 304, 305, 306 (გ. ფ. 12171, 12172, 12173, 12174).
[115] ჭ. გ. 67-307, 308 (გ. ფ. 12175, 12176).
[116] ჭ. გ. 67-376.

ზარაკი ბრინჯაოსი[117]. კონუსური, მოზრდილი ყუნწით და სამკუთხედებით დაფარული კორპუსით. სამკუთხა ჭრილებიდან 5 მოზრდილი დიდ წრეზეა განლაგებული, ხოლო 4 მომცრო — კონუსის წვერთან. ზომები: სიმაღლე 3,6 სმ; ფუძის დმ 2,7 სმ; ყუნწის სიგანე 1,2 სმ.



სურ. 11.

ზარაკი ბრინჯაოსი[118]. წაგრძელებულ-კონუსური კორპუსითა და მოტეხილი ყუნწით. შიგნით შერჩენილი რკინის ჟანგი მიუთითებს, რომ ზარაკს ჰქონია რკინის ენა. კორპუსის შუა ადგილას შემოუყვება სამკუთხა ფანჯრების მწკრივი (4 ფანჯარა). ზომები: სიმაღლე 3,2 სმ; ფუძის დმ 1,5 სმ.

ზარაკი ბრინჯაოსი[119]. გატეხილია, შემორჩენილია კორპუსის მესამედი, ყუნწი ნაშთით. ჰქონია დაუფანჯრავი კორპუსი ირიბი ნაჭდევებით.

რგოლი ბრინჯაოსი. დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი მსხვილი ღეროსაგან. დმ 4,9 სმ; ღეროს დმ 0,5 სმ.

ბეჭდის ფარაკი[121]. ოვალური, თხელი, ზემოდან ქსოვილის ანაბეჭდით.

ხელადის ნატეხები[122]. შემორჩენილია ჭურჭლის ძირი და გვერდის რამდენიმე ნატეხი, რომელიც ჟიკრიფა სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში. გამომწვარია მოწითალოდ. თიხა წმინდაა და კეცი მკვრივი. ძირის დმ 9,8 სმ.

გარდა ზემოჩამოთვლილისა, სამარხის პრეპარაციის დროს მის ნაწილებში აღმოჩნდა სხვადასხვა მასალით დამზადებული მრავალი მძივი, რომელთა შორის 2 ცალი სარდიონისაა[123], 4 გიშრისა[124] (მათ შორის ერთი „პეპელას“ მოყვანილობისაა. ხოლო სამი რომბისებრი): ოთხი ცალი მძივსაკიდია[125],

---

117 ჭ. გ. 67-377.
118 ჭ. გ. 67-378.
119 ჭ. გ. 67-379.
120 ჭ. გ. 67-380.
121 ჭ. გ. 67-381.
122 ჭ. გ. 67-383, 387.
123 ჭ. გ. 67-384.
124 ჭ. გ. 67-385.
125 ჭ. გ. 67-385ა.

მსხლისებრი მოყვანილობის, არის მთის ბროლის მრგვალ-დაბრტყელებული 4 მძივი[126] და მინისაგან დამზადებული მილაკისებრი მძივები[127].

უხდა ვივარაუდოთ, რომ № 15 სამარხის კომპლექსის ნაწილი ხვნის დროს დაიკარგა.

ასეთია ჭუშანაანთგორის II სამაროვანზე, განსაკუთრებით მის მდიდრულ უბანზე, მოპოვებული სამარხებისა და სამარხეული კომპლექსების აღწერილობა.

2. სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი

ერწოს ველზე გამოვლენილ სამაროვნებს შორის ჭუშანაანთგორის II სამაროვანი, რომლის სამარხებიც ახლა აღვწერეთ, ყველაზე უკეთაა შესწავლილი, ამიტომაც სამარხთა აღნაგობისა და დაკრძალვის წესების შესახებ შემაჯამებელი მსჯელობაც სწორედ ამ სამაროვნის მონაცემებითაა შესაძლებელი.

ჭუშანაანთგორის II სამაროვანზე დადასტურდა სამარხთა ოთხი ტიპი:

1. ორმოსამარხები (12 სამარხი);
2. კრამიტის სახურავიანი მდიდრული სამარხი (1);
3. კრამიტსამარხი (1);
4. ქვისსამარხი, პრიმიტულად ნაგები (1).

ორმოსამარხები. ჭუშანაანთგორის II სამაროვანმა, მიუხედავად ღრმა ხვნის დროს განცდილი ნგრევისა, ორმოსამარხების აღნაგობასა და დაკრძალვის წესთან დაკავშირებით მაინც მოგვცა გარკვეული მასალა.

ტიპიური სამარხი ორმო ითხრებოდა ოვალური ან სწორკუთხა მოყვანილობისა და მისი სიგრძე დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა წესით აპირებდნენ მიცვალებულის დაკრძალვას. ძლიერ მოკრუნჩხულს, ბუნებრივია, შედარებით მოკლე ორმო დასჭირდებოდა. მაგალითად, № 13 სამარხისათვის ამოთხრილი ორმოს სიგრძე 1,4 მეტრი იყო იმის გამო, რომ მოკრუნჩხული ჩონჩხის სიგრძე 0,9 მეტრს არ აღემატებოდა. ასეთ სამარხში, რა თქმა უნდა, გაშოტილი მიცვალებული ვერ დაეტეოდა. ნაკლებმოკრუნჩხული და გაშოტილჩონჩხიანი სამარხების ორმოები უფრო გრძელია და ზოგჯერ ორ მეტრსაც აჭარბებს. ორმოსამარხთა სიღრმეც განსხვავებულია. სამარხთა უმეტესობაში ძვლები 0,7—0,9 მეტრის სიღრმეზე იყო. ყველაზე ღრმად მდებარე ჩონჩხი მიწის ზედაპირიდან 1,3 მეტრის სიღრმეზე იდო (სამარხი № 14). ყველაზე უფრო ზედაპირულად მდებარე სამარხებს წარმოადგენდნენ № 4, 9, 15, რომელთა ძვლების ნაშთები 0,5—0,6 მეტრის სიღრმეზე იყო შემორჩენილი. მიწის ზედაპირიდან ახლო მდებარე ყველა სამარხი სახნისის მიერ დანგრეულ-დაზიანებული იყო.

იმის გამო, რომ მთელი სამაროვანი 0,45—0,7 მეტრის სიღრმეზე იყო გადახხული, ძნელი დასადგენია, როგორ გამოიყურებოდა სამარხთა ზედა (მიწის ზედაპირიდან ახლო მდებარე) ფენები. ჰქონდათ თუ არა მათ ქვაყრილები და სხვა ხიშხები. არსებული მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქვაყრილი გააჩნდა № 13 სამარხს და იქაც სამარხი ორმო რიყის ქვების გროვით მთლიანად არ ყოფილა დაფარული. რომ სამარხებს სხვა შემთხვევაშიაც ჰქონოდათ რიყის ქვაყრილები, მაშინ ის იქვე, ამა თუ იმ სამარხის ფარგლებში, უნდა ყოფილი-

---

[126] ჭ. გ. 67-386.

[127] ჭ. გ. 67.

ყო მიწოფანტული, რაც გათხრების დროს არ შეგვინიშნავს. ისე რომ, ჩვენი აზრით, ორმოსამარხების უმეტესობა ჩვეულებრივ მიწით იყო ამოვსებული. უხდა ვივარაუდოთ, რომ სამარხის მიმანიშნებელი მიწის ზედაპირზე იქნებოდა მოთავსებული.

რაც შეეხება ჩონჩხთა მდგომარეობას (პოზა) და დამხრობას ქუშანაანთგორის II სამაროვანზე, როგორც სამარხთა აღწერილობიდან ჩანს, ძირითადად მოკრუნჩხული ან შედარებით ნაკლებად მოხრილი პოზა გვხვდება, მაგრამ გვაქვს მიცვალებულთა გაშოტილად დაკრძალვის არა ერთი შემთხვევაც (სამარხები 1, 8, 12, 14).

როგორც ცნობილია, დაკრძალვის ძლიერ მოკრუნჩხული პოზა ფართოდ იყო ცხობილი უძველესი დროიდანვე[128] და მან საქართველოში ადრექრისტიანულ ხანამდე შემოინახა თავი. ანტიკური და გვიანანტიკური ხანის თითქმის ყველა სამაროვანზე დაკრძალვის გაბატონებული წესი მოხრილ-მოკრუნჩხული პოზაა, ოღონდ მცხეთის მაგალითით თუ ვიხელმძღვანელებთ, ახ. წ. II საუკუნიდან თანდათანობით ფეხს იკიდებს გულაღმა, გაშოტვით დაკრძალვა[129]. მიუხედავად ასეთი შემთხვევებისა, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქრისტიანული რელიგიის ოფიციალურ აღიარებამდე მთელს საქართველოში მასობრივად იყო გაბატონებული მოკრუნჩხული დაკრძალვა[130]. კლდეეთის[131] ზღუდერის[132], არაგვისპირის, ჟინვალისა[133] და გვიანარმაზული ხანის სხვა სამაროვნების ამ თვალსაზრისით განხილვა სრულიად აშკარად გვარწმუნებს ამ დებულების სისწორეში. ერთი კი ცხადად შეიმჩნევა, რომ ქრისტიანული რელიგიის ოფიციალურად აღიარების უშუალოდ წინა ხანებში დაკრძალულთ ისე მკვეთრად აღარ ხრიდნენ, როგორც უფრო ადრეული ხანის სამაროვნებიდანაა ცნობილი. დაკრძალვის პოზა უფრო „თავისუფალი“ ხდება. იბერიულ-კავკასიურ ეთნიკურ სამყაროში უძველესი დროიდანვე გაბატონებულ დაკრძალვის ამ შყარ წესს წინაქრისტიანულ ხანაშივე უჩნდება ბზარი. უფრო მეტიც, აქა-იქ გზას იკაფავს გაშოტილად დაკრძალვის პოზაც. ახლა ჩვენში არაერთი სამაროვანია ცნობილი (გარდა მცხეთისა), სადაც უშუალოდ წინაქრისტიანულ ხანაში მიცვალებულებს გაშოტილ პოზაში ასაფლავებდნენ. ქრისტიანული რელიგიის დაკანონების შემდეგ საქართველოს (განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართვე-

---

[128] ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, 1. თბ. 1962, გვ. 24-25 ტაბ. XXXV; ტ. ჩუბინიშვილი, მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბ. 1957, გვ. 18-52, ტაბ. VI, XI, XII, XIII; რ. რამიშვილი, კამარახევის სამაროვანი, მსკა II, თბ., 1958; და სხვა.

[129] ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ალ. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, მცხეთა, 1, თბ. 1955; გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, თბ. 1957, გვ. 162; ა. კალანდაძე, ახლადაღმოჩენილი სამაროვანი მცხეთაში, «მიმომხილველი» 1. თბ., 1949.

[130] Б. Куфтин, Археологические раскопки в Триалети. 1, Тб., 1941, გვ. 21. სურ. 22 და 23, გვ. 23, სურ. 26.

[131] გ. ლომთათიძე, დამოწმებული ნაშრომი, გვ. 162-163.

[132] გ. ნემსაძე, ზღუდერის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964-1966 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები, სსმაეა. 1. თბ., 1969.

[133] Р. Рамишвили, В. Джорбенадзе, З. Каландадзе, В. Николаишвили, М. Маргвелашвили, Г. Рчеулишвили, В. Чихладзе, И. Цикларури, В. Асланишвили, М. Глонти, К. Церетели, И. Бакрадзе, Археологические изыскания в Арагвском ущелье. ПАИ в 1974 г. Тб. 1976 гв. 71-73.

ლოს) მოსახლეობა მასობრივად უკუაგდებს ძველ ტრადიციას; იცვლება დაკრძალვის მთელი რიტუალი, თუმც ადრექრისტიანული ხანის გარკვეულ მონაკვეთზე აქა-იქ კვლავ თავს ინარჩუნებს მოხრილი, შეიძლება ითქვას ოდნავ მოხრილი, პოზა[134], როგორც ძველი ტრადიციის ძლივსღა მფეთქავი „რეპლიკა“.

ჭუშახაათგორის II სამაროვანზე ყველა ეს მოვლენა კარგად იჩენს თავს. უშუალოდ წინაქრისტიანული ხანის სამარხებში, სადაც მაინც მოკრუნჩხული პოზაა გაბატონებული, დადასტურდა არა თუ შედარებით „თავისუფლად“ მოხრილი ჩონჩხები, არამედ რამდენიმე შემთხვევაში გაშოტილი პოზაც კი. თუ ჩვენი დაკვირვება სწორია, გაშოტილი პოზა უფრო მდიდრული სამარხების უბნისთვისაა დამახასიათებელი. კერძოდ, ყველაზე მდიდრულ № 1 სამარხში დაკრძალული გაშოტვით იყო ჩასვენებული[135].

ამ მოვლენის ახსნა ორგვარად შეიძლება: ან ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების კვირაძალზე გარკვეული სოციალური ფენა ადრევე განუდგა ძველ ტრადიციას და ქრისტიანული რელიგიის ზოგიერთი რიტუალი მის ოფიციალურ დაკანონებამდე შეითვისა, ან კიდევ გაშოტილი დაკრძალვა ახ. წ. პირველ საუკუნეებში იქცა სოციალური უპირატესობის ერთ-ერთ ნიშნად.

დაკრძალვის პოზის თვალსაზრისით, ჭუშანაანთგორის II სამაროვანზე ძალიან საინტერესოა № 12 სამარხი (ტაბ. 38), სადაც ერთდროულად ორი ინდივიდია დაკრძალული: ამათგან ერთი გაშოტილი, ხოლო მეორე მუხლებში ოდნავ მოხრილი. შესაძლოა ეს იყოს სწორედ იმ გარდამავალი ხანის სამარხი, როდესაც ჩვენში ქრისტიანობა ოფიციალურ აღიარებას ჰპოვებს და როდესაც ერწოს ველის მცხოვრებნი დგანან ძველი და ახალი ტრადიციების მიჯნაზე.

გარკვეულ ინტერესს იწვევს დამხრობის საკითხიც. გვიანარმაზულ ხანაში საერთოდ გაბატონებული ჩანს თავით დასავლეთისაკენ დამხრობა (სამხრეთისაკენ ბეტ-ხაკლები გადახრით), რაც კარგად ჩანს ჭუშანაანთგორის II სამაროვანზეც. ქვემოთ აღწერილი სამარხების დიდი ნაწილი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ იყო დამხრობილი, თუმც სამაროვანზე აღირიცხა რამდენიმე სამარხი (მაგ., № 11), რომელშიაც თავით სამხრეთისაკენ დამხრობაა ფიქსირებული. თუ გავიხსენებთ ამ სამარხის აღწერილობას, სადაც საუბარია ცეცხლოვანნახშიროვან ორ ფენაზე, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ამ სამარხში ან ეთნიკურად გახსხვავებული პირია დაკრძალული, ან კიდევ აქ გამოსჭვივის რელიგიური გახკერძოება. სამარხების ცეცხლით განწმენდისა და შესაბამისად ნახშიროვანი ფენების აღმოჩენა ერწოს ველისათვის ახალი არ არის, ასეთი რამ შემჩნეული იყო გვიანბრინჯაოს ხანის დასასრულის „რკინის კალოს“ სამაროვანზე და სხვაგანაც. შესაძლოა, დასაკრძალავ რიტუალში ცეცხლის მონაწილეობა დაკრძალულისა და მისი ჭირისუფლების ცეცხლისადმი თაყვანისცემასაც მოასწავებდეს

როგორც ცნობილია, დაკრძალვის წესსა და მთელ დასაკრძალავ რიტუალს გარკვეული ეთნიკური მასივის წიაღში უაღრესად მდგრადი ხასიათი აქვს და ძალიან დიდი ძვრებია საჭირო იმისათვის, რომ ათეული საუკუნეების განმავ-

---

134 ეს სურათი კარგად ჩანს ადრექრისტიანული ხანის სამაროვნებზე ჟინვალში, ახალ ჟინვალში, მატანში და სხვ. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით იხ. Р. Рамишвили, Исследование раннефеодального могильника «Иагсары», ТКАЭ, I, Тб. 1969, ტაბ. II, III, VIII.

135 ანალოგიური სურათი გადაგვიშალა არაგვისპირის სამაროვანმაც, სადაც რიგით სამარხებში თითქმის ყველგან მოხრილი პოზაა დადასტურებული, ხოლო მდიდრული სამარხების უბანზე სამარხში გაშოტვით დაკრძალვის ფაქტია ფიქსირებული.

ლობაში შესისხლხორცებულ წესებს შეელიოს საზოგადოება. მაგალითად, ორმოსამარხებში დაკრძალვის წესი და ორმოსამარხების მოწყობის კულტურა ჩვენს წინაპრებს უძველესი დროიდანვე შეუმუშავდათ. მართალია, ორმოსამარხების გვერდით, აგრეთვე უძველესი დროიდანვე, არსებობდა სხვა ტიპის სამარხებიც (ამოშენებულ-კედლებიანი აკლდამები, ყორღანები, კრომლეხური სამარხები, დოლმენები და სხვა), მაგრამ ისეთი ფართო გავრცელებისათვის, როგორსაც მიაღწია ორმოსამარხებმა, სამარხთა არც ერთ ტიპს არ მიუღწევია. იგი მოსახლეობის უფართოესი მასების საკუთრება იყო.

გვიანანტიკურ ხანაშიც, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ კერებში (ცენტრებში) ახალი ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობის ვითარებაში საკმაოდ ფართოდ ვრცელდება ქვევრსამარხები, კრამიტსამარხები, ქვის სარკოფაგები და ქვაყუთები (მცხეთა და მისი „ქვეყანა“, თრიალეთის ზოგი რაიონი), მაინც აშკარად ჩანს, რომ ქრისტიანობის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად აღიარებამდე სამარხთა ყველაზე გავრცელებულ ტიპს ორმოსამარხი წარმოადგენდა. მაგალითად, ღების სამაროვანზე ქვასამარხების გვერდით დიდი რაოდენობით ჩნდებოდა ორმოსამარხებიც[136]. სამარხის იგივე ტიპია დაშენებული ბორში[137], თაგილონში[138], სარგვეშში[139], ხაიშში[140], მცხეთაში[141], ახმეტის ახალდაბაში[142], არაგვისპირში[143], ახალ ჟინვალში[144], ჟინვალში[145], დიღომში[146] და სხვაგან. ყველა აქ ჩამოთვლილი სამაროვანი კი ქუშანაანთგორის II სამაროვნის სინქრონული ან ქრონოლოგიურად ახლო მდგომია და საკმაოდ ცხადად მიუთითებს ზემომოტანილი დებულების სისწორეს.

ყველაზე მკაფიოდ სამარხთა ტიპების გამრავალფეროვნების ტენდენცია ეტყობათ მსხვილ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრებს და განსაკუთრებით ქართლის სამეფოს დედაქალაქ მცხეთას. არ არის გამორიცხუ-

---

136 გ. გობეჯიშვილი, ანგარიში სოფ. ღებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების. «ენიმკის მოამბე», IV; მისივე, ქართული უძველესი ბრინჯაოს ბალთები, საკანდიდატო დისერტაცია 1943 წ. (ისტორიის ინსტ-ის არქივი).

137 Е. Придик, დასახ. ნაშრ. ა. აფაქიძე, ახალი არქეოლოგიური მასალები სოფ. ბორიდან. სსმმ. ტ. XII-13, 1944.

138 А. Амираншвили, დასახ. ნაშრ. გვ. 9.

139 Tschubinishwili G, Der Fund von Largweschi, ИКИАИ, т. III, 1925.

140 გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 162.

141 გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, თბ., 1945.

142 ცნობა მოგვაწოდა სადაზვერვო-არქეოლოგიური ჯგუფის ხელმძღვანელმა ტ. ჩუბინიშვილმა.

143 რ. რამიშვილი, არაგვისპირის არქეოლოგიური ძეგლები. ხელნაწერი. თბ. 1977.

144 რ. რამიშვილი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ახალ ჟინვალში, ჟინვალის ექსპედიცია (პირველი სამეცნიერო სესიის მოკლე ანგარიშები), თბ. 1975, გვ. 19, 24.

145 Археологические открытия 1976 года, М. გვ. 480.

146 რ. აბრამიშვილი, ე. გოგაძე, ნ. თუშიშვილი, კ. კალანდაძე, დ. მუსხელიშვილი, ვ. ნიკოლაიშვილი, ალ. რამიშვილი, დიდი თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითადი შედეგები, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება, 1972 წ. თბ. 1973, გვ. 44-45. დიღომში გვხვდება ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები, რომლებიც აგრძელებენ ორმოსამარხების ტრადიციას. მათში ხშირია მცირედმოკრუნჩხული პოზით ჩასვენებულთა ჩონჩხები, ქვისფილებიანი სახურავი უკვე სიახლეა და იგი, ალბათ, ქვისსამარხებზე გადასვლის წინასაფეხურადაა მისაჩნევი. მსგავსი სურათი აგრეთვე დამოწმებულია ახალი ჟინვალისა და ჟინვალის სამაროვნებზეც.

ლი, რომ ამ მოვლენაში გამოსჭვიოდეს სოციალური განსხვავებულობა, ან იქ მცხოვრები საზოგადოების რელიგიური სანკრეტიზმი (ან ორივე ერთად), რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო მშფოთვარე წინაქრისტიანული ხანისათვის. მაგრამ სავარაუდებელია ისიც, რომ სამარხთა ტიპების მრავალფეროვნება ზოგიერთ ცენტრში გარკვეულად ეთნიკურ სიჭრელესაც ასახავდეს.

ახალი არქეოლოგიური მასალები გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ტიპის სამარხთა გაჩენა მხოლოდ დიდი ეკონომიური ცენტრების და, კერძოდ, საქართველოს დედაქალაქის მცხეთის ხვედრი კი არ იყო, არამედ იგივე მოვლენა რამდენადმე უფრო მკრთალად, მაგრამ მაინც, გავრცელებულია პერიფერიაშიც.

პროვისციული მოსახლეობა, განიცდიდა რა მნიშვნელოვანი ცენტრების, პირველ რიგში მცხეთის, კულტურულ ზეგავლენას, ხოლო პერიფერიული არისტოკრატია ბაძავდა რა დედაქალაქის არისტოკრატიის ყოფას, ცდილობდა ბევრი „სიახლე" საკუთარ „ქვეყნებშიაც" დაენერგათ. ერწოს „ქვეყანაში" ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ, ვფიქრობთ, ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ საყურადღებო მასალები შეგვძინა. კერძოდ, ქუშანაანთგორის II სამაროვანზე სრულიად გარკვევით ჩანს, რომ სამარხთა ტიპების გამრავალფეროვნების ტენდენციას ბედარებით სუსტად, მაგრამ მაინც უჩენია თავი. გათხრილ ფართობზე, როგორც აღვნიშნეთ, რამდენიმე განსხვავებული ტიპის სამარხი იქნა აღმოჩენილი. ამათგან კრამიტსამარხი ყველაზე უფრო დაზიანებული სახით იყო მოღწეული.

კ რ ა მ ი ტ ს ა მ ა რ ხ ი. ნაშთის მიხედვით (ტაბ. 27, სურ. 1) ჩანდა, რომ გარდა ბრტყელი კრამიტით მოგებული იატაკისა, მას ჰქონია აგრეთვე კრამიტებით მოწყობილი გვერდები. ამ დანგრეული სამარხის გარშემო შეგროვილი ნატეხები ეკუთვნოდა დაახლოებით თორმეტ ერთეულს, რომელთაგან დიდი უმრავლესობა ბრტყელი კრამიტებისა იყო.

კრამიტსამარხები ყველაზე დიდი რაოდენობით აღმოჩენილია მცხეთაში[148] და მათი აღნაგობა თუ შინაარსი უკვე კარგადაა ცნობილი[149]. სრულიად აშკარაა, რომ ერწოს კრამიტსამარხი თავისი აღნაგობით მცხეთური კრამიტსამარხების მსგავსი უნდა ყოფილიყო. გარშემო მიმობნეული ბრტყელი კრამიტების სიმრავლე უნდა მიუთითებდეს იმას, რომ სამარხის გვერდებისა და ძირის „მძებნელობაში" მხოლოდ ბრტყელი კრამიტები იყო გამოყენებული. შესაძლოა მხოლოდ სახურავზე ყოფილიყო ნახმარი ღარისებრი და ბრტყელი კრამიტების კომბინაცია. ამ სამარხში დაკრძალვის წესზე ვერაფერს ვიტყვით, რადგანაც ძვლების არავითარი ნაშთი აღარ იყო შემორჩენილი, მაგრამ ძირის ხაშთის დამხრობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სამარხი მიმართული ყოფილა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, რისი მაგალითი ჩვენ ზოგჯერ მცხეთაშიაც გვაქვს.

როგორც არქეოლოგიური მასალების ანალიზი გვიჩვენებს, კრამიტსამარხები უპირატესად დიდ ქალაქებშია გავრცელებული და ისინი ურბანისტული

---

147 მცხეთა 1, გვ. 19-20. ტაბ. CVI, CVII.

148 М. И в а щ е н к о. устройство погребальных сооружении и обряд погребания в некрополе питиахшей в Армази, (საკანდიდატო დისერტაცია, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქივი); ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ახლადაღმოჩენილი სამაროვანი მცხეთაში, ტაბ. V, IX, X. ამჟამად მოქმედ მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას აგრეთვე მრავლად აქვს შესწავლილი კრამიტსამარხები, რომლებიც უპირატესად ბაგინეთის მიდამოებშია მიკვლეული.

149 ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, დასახ. ნაშრ, გვ. 279-280.

ცივილიზაციის ნაყოფადაა მისაჩნევი ისევე, როგორც თვით ამ სამარხების სამშენებლო მასალა — კრამიტი, ქალაქური ყოფისათვის იყო დამახასიათებელი.

კრამიტსამარხის აღმოჩენის ფაქტი ერწოს ველზე და თვით კრამიტის საკმაო სიუხვე ამ ადგილას (იგულისხმება კრამიტის სახურავიანი №1 სამარხიც) შესაძლოა ჭუშანაანთგორაზე მდებარე პუნქტის საგანგებო მნიშვნელობასა და დაწიხაურებაზე მიუთითებდა აღნიშნული ხანისათვის, რასაც სხვა მონაცემებიც, ვფიქრობთ, უმაგრებს მხარს.

ე. წ. „მცხეთური“ კრამიტი ერწოს ველზე, შესაძლოა, მცხეთისავე საწარმოო კერიდან იყოს გატანილი. საამისო ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა თვით ერწოს „ქვეყნის“ სიახლოვე მცხეთასთან და სათანადო ხელსაყრელი გზები, მაგრამ არც კრამიტის ადგილობრივი წარმოებაა გამორიცხული. მით უმეტეს, რომ ერწოს კრამიტები (კალიპტერები) დამღების გარეშე იყო წარმოდგენილი მაშინ, როდესაც მცხეთაში ასეთი ნიშნებით „დამშვენებული“ კრამიტები ძალზე ხშირია. ამასთანავე საყურადღებოა ისიც, რომ სამაროვნის ტერიტორიაზე ჩვენ შეგვხვდა საწარმოო წუნის ორიოდე ნატეხი.

ქვისსამარხი. ჭუშანაანთგორის II სამაროვანზე, როგორც სამარხების აღწერილობიდან ჩანდა, ქვისსამარხი მხოლოდ ერთი გაითხარა, ისიც ძალზე უსახური (ტაბ. 37). ფაქტიურად ეს იყო ქვისსამარხს მიმსგავსებული ხაგებობა, რომლის მშენებელს მსგავსი სამარხის გამართვის გამოცდილება, ეტყობა, არ გააჩნდა. ქვისსამარხები საქართველოში აგრეთვე ძველი დროიდანვე იყო ცნობილი[150], მაგრამ მან საყოველთაო გავრცელება ჰპოვა ქრისტიანული რელიგიის გამარჯვების შემდეგ, თუმც ისიც ცნობილია, რომ ზოგიერთ რეგიონში, განსაკუთრებით მცხეთის „ქვეყანაში“, ქვისსამარხები საკმაოდ ფართოდ იყო ხმარებაში ახ. წ. პირველ საუკუნეებში[151].

უახლესი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, საქართველოს უმეტეს რაიონებში ქვისსამარხები მასობრივად ახ. წ. IV საუკუნიდან იკიდებს ფეხს, თუმც, როგორც ერწოს მაგალითი გვიჩვენებს, იქ უკვე გვიანარმაზული ხანის ბოლოს უცდიათ ამგვარი სამარხის მოწყობა. ჭუშანაანთგორის II სამაროვნის № 10 სამარხი ჩვენ მიგვაჩნია სწორედ იმ ერთ-ერთ პირველ ნაბიჯად, რის შემდეგ უფრო მასიურად უნდა დაწყებულიყო ქვისსამარხების მშენებლობა[152].

კრამიტის სახურავიანი დიდი სამარხი. არა თუ ჭუშანაანთგორის II სამაროვნისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის უნიკალურია და, როგორც სამარხი ნაგებობის განსაკუთრებული ტიპი, განცალკევებით დგას.

სავსებით ცხადია, რომ ეს სამარხი როგორც აღნაგობით, ასევე შინაარსით

---

[150] Б. К у р ф т и н. Археологические раскопки в Триалети. I. Тб. 1941. მცხეთაში (უფრო სწორედ დიდ მცხეთაში) ქვისსამარხები ელინისტური ხანიდან იყო ცნობილი. მაგალითად, 1953 წელს კამარახევის სამაროვანზე გათხრილ ორმოსამარხთა გვერდით გაითხარა ორი ქვისსამარხიც, რომელიც ძვ. წ. IV-III საუკუნეებით დათარიღდა. იხ. რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, კამარახევის სამაროვანი. მ ს კ ა II, 1959.

[151] მცხეთა, 1, გვ. 15 და შემდ.

[152] გამორიცხული არ არის, რომ აღნიშნული ქვისსამარხი IV ს. პირველი ნახევრითაც კი დათარიღდეს. ამას არ ეწინააღმდეგება ოქროს ბეჭდის მოყვანილობა, რომელიც №10 სამარხში იქნა ნაპოვნი, ამიტომაც სამარხი შესაძლოა წარმართობაში გაზრდილი და უკვე ქრისტიანობაში გარდაცვლილი ადამიანისა იყოს, თუმც ქრისტიანობის ოფიციალური მიღების შემდეგ ჭუშანაანთგორის II სამაროვანი მიტოვებული ჩანს. ადრექრისტიანული ხანის სამაროვანი რამდენადმე მის სამხრეთითაა და იქ ქრისტიანული დაკრძალვის წესი უცილობლადაა გაბატონებული.

ეკუთვნის საზოგადოების რჩეულ წარმომადგენელს, რომლის სოციალური მდგომარეობა, ალბათ, საგანგებო იყო.

სამარხის აღწერისას ჩვენს მიერ გამოთქმული იყო ვარაუდი კრამიტის სახურავის ქვეშ დაბალი სარკოფაგის შესაძლებელი არსებობის შესახებ, თუმც საიმისო მატერიალური საბუთი არ გვქონია მოპოვებული, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ პარალელურ მასალებს, კერძოდ, ზღუდერის, ურბნისისა და მცხეთის მაგალითებს[153], ასეთი ვარაუდი იქნებ მთლად უასფუძვლოდ არ გამოიყურებოდეს. რა თქმა უნდა, სამარხის სახურავის ის რეკონსტრუქცია, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ, შეიძლება ნამდვილ ვითარებას ზედმიწევნით არ ასახავდეს, მაგრამ ჩალეწილ კრამიტთა ნაშთის განლაგება ასეთი ვარაუდის საფუძველს, ვფიქრობთ, გვიქმნის.

№ 1 სამარხის ასეთი განსაკუთრებული აღნაგობა და მის სახურავზე გაშოყეხებული ძვირადღირებული კრამიტი, აგრეთვე არმაზისხევის ერისთავთა რანგის სამარხეული კომპლექსი (რომლის შეფასებაც მოცემული იქნება III თავში) თითქოს იმას უნდა მიუთითებდეს, რომ სამარხი მსხვილი მიწათმფლობელის, ან ერისთავთა რანგის პიროვნებისა იყო. გამორიცხული არ არის, რომ ამ პიროვნების ხელქვეითი ქვეყნის (თუ მთელი ერწოსი არა, მისი გარკვეული ხაწილისა მაინც) პოლიტიკური ცენტრი ამ სამარხის სიახლოვეს არსებულიყო.

რაც შეეხება სოფ. დორეულების მახლობლად და სოფ. სიმონიანთხევში შემთხვევით მიკვლეულ სამარხებს, ჩვენ სათანადო მონაცემების უქონლობის გამო გარკვევით ვერაფერს ვიტყვით მათი ტიპებისა და აღნაგობის შესახებ, მაგრამ ანაკრეფი მასალითა და ვიზუალური დაკვირვებით იქაც ორმოსამარხებს ვვარაუდობთ.

---

[153] გ. ნ ე მ ს ა ძ ე, დასახ. ნაშრ., ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ნაქალაქარი ურბნისი, გვ. 68 და შემდეგი. მცხეთის მაგალითების მიხედვით ის ვარაუდიც კი არის გამოთქმული, რომ ზოგიერთ სარკოფაგში მიცვალებულები ხის კუბოთი იყო ჩასვენებული. იხ. მ ც ხ ე თ ა 1. გვ. 104.

თავი III

სამაროვანზე და მის მიდამოებში მოპოვებული მასალის ანალიზი

ქუშანაანთგორის არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული მასალის თარიღზე მსჯელობისას, განსაკუთრებით სამარხეული კომპლექსების სათანადო შეფასებისათვის, ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია ამ მასალის დარგობრივი განხილვა. რა თქმა უნდა, ნივთების ყველა ჯგუფს თანაბარი სისრულით ვერ მიმოვიხილავთ. ამჯერად ძირითადად შევეხებით უმთავრეს სახეობებს, იმათ, რაც ყველაზე უფრო მკაფიოდ განსაზღვრავს მთელი მონაპოვრის თავისებურებებსა და ხასიათს.

1. თიხის ნაწარმი. ქუშანაანთგორის ნამოსახლარზე ორმოებში და ბოლოს სამარხებში საკმაოდ უხვად აღმოჩნდა თიხის ნაკეთობა, რომელთაგან უმთავრესი ადგილი უკავია სასუფრე-საოჯახო ჭურჭელს, თუმც ასევე უხვადაა წარმოდგენილი სამზარეულო და სამეურნეო ჭურჭელიც. ნამოსახლარის ორმოებისაგან განსხვავებით, სადაც თიხის ნაკეთობა თითქმის მხოლოდ ნატეხების სახითაა წარმოდგენილი, სამაროვანზე ძირითადად მთელი ჭურჭლებია მოპოვებული, რაც მათ ფორმებზე მსჯელობის საშუალებასაც იძლევა. პირველ თავში, ამ რიგის მასალებთან დაკავშირებით, ჩვენ მოკლედ ვისაუბრეთ. ამჯერად, სამარხეულ მასალებზე დაყრდნობით შევეცდებით გავაღრმაოთ ეს მსჯელობა.

სასუფრე-საოჯახო ჭურჭლებს შორის ყველაზე მეტად გვხვდება სხვადასხვა ზომის ხ ე ლ ა დ ე ბ ი, რომელთა შორის გამოიყოფა:

მრგვალპირიანი, ყელწიბოვანი, ბრტყელძირა მცირე ზომის ჭურჭლები, რომელთაც ყური მეტწილად ყელსა და მუცელზე აქვთ მიძერწილი (ტაბ. 5, ინვ. № 280; ტაბ. 6, ინვ. №18; ტაბ. 10, სურ. 2, ინვ. № 16, 28; ტაბ. 34, სურ: 2, ინვ. № 86; ტაბ. 41, სურ. 1, 3, 4 და სხვა). მსგავსი ჭურჭელი ფართოდაა ცნობილი მთელს აღმოსავლეთ საქართველოში. მცხეთის მასალების მიხედვით ასეთი ხელადები აღმოჩენილია ერისთავთა მდიდრული სამარხების თანამედროვე 87-ე და 88-ე ქვისსამარხებში, III კრამიტსამარხში[1], რაც გამთხრელებს საშუალებას აძლევს ისინი ახ. წ. II—III სს. დაათარიღონ.

ასეთი ჭურჭლები აღმოჩენილია ზღუდერის მდიდრულ სამარხებშიც, სადაც ისინი III ს. მეორე ნახევრითა და IV ს. დასაწყისით თარიღდებიან[2].

თუ ურბნისის მასალების მიხედვით ვიმსჯელებთ, IV საუკუნიდან ყელწი-

---

[1] მცხეთა 1. იხ. ტაბულების აღწერილობა გვ. 249 და ტაბ. CIX, სურ. 9, 11, 14, 15.

[2] გ. ნ ე მ ს ა ძ ე , დასახ. ნაშრ.

ბოვანი მცირე ზომის ხელადებისათვის უფრო დამახასიათებელი ჩანს ყურის მიძერწვა პირ-ბაკოსა და მხარზე[3].

გაცილებით უფრო ახლოს როგორც მოყვანილობით, ასევე ფაქტურით ერწოს ყელწიბოვან მცირე ხელადებთან ახლო დგას ახალი ჟინვალის, არაგვისპირისა და ჟინვალის სამაროვნებზე მოპოვებული თიხის ჭურჭლები, რომლებიც ძირითადად III ს. მეორე ნახევრითა და IV ს. დასაწყისითაა დათარიღებული[4]. აღნიშნული ჭურჭლების ასეთ დათარიღებას მხარს უჭერს ნასტაკისისა და დიღმის არქეოლოგიური მასალებიც.

ჭუშანაანთგორის II სამაროვანსა და ნამოსახლარზე საკმაოდ მრავლადაა მოპოვებული მრგვალპირა სასმისისებრი ჭურჭლები (ტაბ. 5, ინვ. № 418; ტაბ. 34, სურ. 1, ინვ. № 123, 125, ტაბ. 34, სურ. 2, ინვ. № 114, 132, ტაბ. 41, სურ. 2; ტაბ. 42), რომელთაგან ნაწილი სადაა, ხოლო ნაწილი შემკულია შიგნიდან დაწნევის გზით მიღებული კოპებით, კანელურებით, ან გარედან ნაჭდევი წრეების რამდენიმე მწკრივით (ქ. გ. 66—114).

მსგავსი ჭურჭლებიც, აგრეთვე, მრავლადაა ცნობილი არაგვის ხეობის ძეგლებიდან (არაგვისპირი, ახალი ჟინვალი, ჟინვალი, მცხეთა[5] და სხვა). ურბნისში ამ ტიპის ჭურჭელი, ოღონდ ორყურა, აღმოჩენილია ე. წ. „წყვილად სამარხში" და იგი ლ. ჭილაშვილის მიერ ახ. წ. I—II საუკუნეებითაა დათარიღებული[6]. ზემოავჭალის სამარხეულ კომპლექსშიც არის დაცული ერთი ასეთი ჭურჭელი[7], მაგრამ ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამ სამარხის ახ. წ. I საუკუნით დათარიღებას.

ცალყურა „სასმისების" დასათარიღებლად დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთრივ იმ კომპლექსებს, რომლებშიაც თვითონ არიან გაერთიანებულნი. თანმხლები მასალების მიხედვით (ვერცხლისა და ბრინჯაოს აბზინდები, „წიწიბოსებრი" საყურეები, ბეჭდები და სხვა) და № 3 სამარხში აღმოჩენილი გორდიანეს აურეუსით ((238—244) ერწოს ცალყურა „სასმისებრი" ჭურჭლები ახ. წ. III ს. და IV ს. დამდეგით თარიღდება.

სამტუჩა ხელადები შედარებით მცირერიცხოვანია (ტაბ. 34. ინვ. № 124). ამ ტიპის ჭურჭლის ორიოდე ნატეხი მოპოვებულია ჭუშანაანთგორის ნაძოსახლარზეც. იგი აღმოსავლეთ საქართველოში საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე[8], თუმც მისი ადრეული ვარიანტები უკვე აქემენიდური ხანიდანაა ცნობილი[9]. შემდგომ აღნიშნული ჭურჭელი დიდხანს განაგრძობს არსებობას და ეს მელვინეობის ისეთი კლასი-

---

[3] ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი. გვ. 60-68, სურ. 30.

[4] Р. Рамишвили. Новые открытия на новостройках Арагвского ущелья. КСИА 151. М. 1977 გვ. 114-122; რ. რამიშვილი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ახალ ჟინვალში. ჟინვალის ექსპედიცია, თბ., 1975, გვ. 19-24.

[5] ალ. კალანდაძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. IV. სურ. 1.

[6] ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 47-50; ტაბ. XIII, სურ. 3. ჩვენი დაკვირვებით საეჭვოა, რომ ურბნისის «წყვილადი» სამარხი ა. წ. I საუკუნემდე იქნეს ჩატანილი, ალბათ, უფრო მართებული იქნებოდა ამ კომპლექსის II-.III სს. დათარიღება.

[7] ს. მაკალათია, 1920-1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის. სსმმ. ტ. IV, თბ., 1928, გვ. 174-176, ტაბ. VIII, 34.

[8] გ. ნიორაძე, ალაზნის ველის გათხრები, თბ., 1940, გვ. 24, სურ. 11.

[9] რ. რამიშვილი, კამარახევის სამაროვანი, ტაბ. XI, სურ. 2, აგრეთვე ტაბ. XVII, ტაბ. XVIII და XIX.

კური ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, ჩვეულებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

ჭუშახაანთგორის სამტუჩა ჭურჭელს აქვს ძლიერ დანაკვთული პირი მკვეთრად გამოყვანილი „ნისკარტით“. ესაა ტიპიური საღვინე პატარა ხელადა სადა ზედაპირით და ცალი ყურით, რომელიც პირსა და მუცელზეა დაძერწილი. მსგავსი ჭურჭლები მოპოვებული აქვს ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციას III—IV სს. დათარიღებულ სამაროვნებზე სოფ. არაგვისპირსა და ჟინვალში.

აქ მოხსენიებული სასუფრე-საოჯახო ჭურჭელი ადრე შუასაუკუნეებში გარკვეულ ცვლილებას განიცდის, ბატონდება უფრო წაგრძელებული ფორმები, რამდენადმე იზრდება ჭურჭლის ძირის დიამეტრი (მაგ., იხ. ტაბ. 6). მცირეოდენი გაუარესება ეტყობა ტექნოლოგიასაც, მაგრამ მთელი რიგი ნიშნები ჭუშანაანთგორის ჭურჭელს გვიანარმაზული ხანიდან გადასდევს ადრექრისტიანულ ხანაშიც (წიბოვანი ყელი, მრგვალი ან სამტუჩა პირი, მკვრივი ჩალისფერი კეცი და სხვ.).

სამარხებში ჩატანებული მოჩალისფრო და მოწითალო თიხის ჭურჭელი თავისი ფაქტურით, კეცის ხარისხით, გამოწვის დონითა და ფორმებით თითქმის ისეთივეა, როგორც ნამოსახლარის ნანგრევებზე და ორმოებში მოპოვებული სინქრონული თიხის ნაწარმი. შესანიშნავადაა განლექილი თიხა, დამჭლევებულია წშინდა სილით. ჭურჭელი ნაკეთებია მორგვზე. ფორმები სასიამოვნო და სადაა. ორნამენტი გამოყენებულია ძუნწად.

ცალკეული სამარხეული კომპლექსების განხილვა და ურთიერთშედარება გვიჩვენებს, რომ თიხის ჭურჭელი რიგით სამარხებში უფრო უხვადაა წარმოდგენილი, ვიდრე მდიდრულ სამარხებში: სიმდიდრით გამორჩეული № 1 კომპლექსისათვის კი თიხის ნაკეთობა საერთოდ უცხოა.

სამშენებლო კერამიკა ნამოსახლარსა და სამაროვანზე ძირითადად კრამიტ-სა და ალიზის სახითაა წარმოდგენილი. როგორც პირველ თავში აღინიშნა, ალიზი ძველ ერწოელებს საკმაოდ ფართოდ ჰქონიათ გამოყენებული ძირითადად სახლებისა და სამეურნეო ობიექტების მშენებლობაში. წნულკედლებიანი და თიხის ტალახით შელესილი სახლების მშენებლობის კულტურა კავკასიაში უძველესი დროიდანვე იყო გავრცელებული[10] და, როგორც ახალი არქეოლოგიური აღმოჩენებით ჩანს, მშენებლობის ამ წესს გვიანანტიკურ ხანაშიც ფართო გამოყენება ჰქონია.

ერწოს, აგრეთვე, არაგვისპირისა და ახალი ჟინვალის მასალებით საკმაებით ცხადად ჩანს, რომ შელესილი წნული ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში. ხანძრის შედეგად გამომწვარი ბათქაშის ნატეხების მიხედვით ჩანს, რომ წნულ კედლებზე თიხის ხსნარი 2—3 სმ-ის სისქეზე ესხმებოდა. ეტყობა, სარკმელებისა და კარების ჩარჩოები საგანგებოდ ილესებოდა და შესაძლოა განივკვეთში სამკუთხა მოყვანილობის ბათქაშის ნატეხები სწორედ ამ არქიტექტურული ნაწილების ნაშთი იყოს. გვაქვს უფრო რთული

---

[10] ახალ ჟინვალში (ქვემო არანისში) შესწავლილ ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე, სადაც მეტნაკლები სიდიდის მრგვალი ორმოა გათხრილი (ზოგი საცხოვრებელი შენობის და ზოგი სამეურნეო), ხშირად ჩნდებოდა გამოუწვავი ან ნახევრადგამომწვარი ბათქაშის ნატეხები, რომლებზედაც ლასტისა და წნელის ანაბეჭდებია შემონახული. იყო შემთხვევები, რომ ზოგიერთ სამეურნეო ორმოს ჯერ ლასტი ჰქონდა გამოდებული და მერე იყო შელესილი (ხორბლის ხარო). არ არის გამორიცხული, რომ ნახევრადმიწური მრგვალი სახლების მიწისზედა ნაწილი წნულით ყოფილიყო ამოყვანილი და მერე შელესილი გარედან და შიგნიდან.

პროფილის დეტალებიც (მაგ., ტაბ. 6, სურ. 3), რომლებიც შესაძლოა შენობის კარნიზის ფრაგმენტებს წარმოადგენდნენ.

საყურადღებოა, რომ ჭუშანაანთგორის წნულკედლიანი სახლები შიგნიდან არა მარტო თიხით ყოფილა შელესილი, არამედ შირიმის წმინდა ფხვნილით თუ ალებასტრის მსგავსი მასითაც[11].

რაც შეეხება ალიზის აგურებს, რომლის რამდენიმე ფრაგმენტი ნამოსახლარსა და სამაროვანზე გათხრილ ორმოებში იქნა ნაპოვნი, მათი გამოყენების ტრადიციასაც შორეულ წარსულში მივყავართ (შულავერის გორა, იმირის გორა, არუხლო, ქვაცხელები და სხვა[12]). ანტიკურ ხანაში, როგორც ჩანს, ალიზის აგური ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სამშენებლო მასალა იყო. თავდაცვითი, საცხოვრებელი და საკულტო ძეგლები და საერთოდ ყველა მონუმენტური ნაგებობა უმთავრესად ამ მასალით შენდებოდა[13]. ერწოს ველის მაგალითის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გვიანანტიკური ხანის მონუმენტური შენობებიც ალიზით უნდა ყოფილიყო ნაგები. ყოველ შემთხვევაში ადრე შუასაუკუნეების სასახლის თუ დიდი შენობის კედლები მდიდრული სამაროვნის სიახლოვეს სწორედ რიყის ქვების საძირკველზე დაფუძნებული ალიზის აგურით ყოფილა ნაგები. ეს ტრადიცია კარგახანს შერჩა ჩვენს წინაპრებს, ოღონდ ძირითადად თავდაცვით ნაგებობებში. ქრისტიანულმა ხუროთმოძღვრებამ და შემდგომ საერომაც ძირითადად სამშენებლო მასალად ქვა გამოიყენა.

რაც შეეხება კ რ ა მ ი ტ ს, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთაც ვისაუბრეთ, იგი ამ კერძო შემთხვევაში დაკავშირებული აღმოჩნდა სამარხ ნაგებობებთან და არა შენობასთან. მიუხედავად ამისა, კრამიტის აღმოჩენას ერწოს ველზე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ.

კრამიტი ძვირადღირებული კერამიკული ნაწარმი იყო და მისი სოციალური კუთვნილებაც არავითარ ეჭვს არ იწვევს. ე. წ. „მცხეთური კრამიტი“ სადღეისოდ საკმაოდ კარგადაა შესწავლილი და მის ნიშან-თვისებებსა თუ ტექნოლოგიაზე ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ამჟამად კრამიტი ჩვენ გვაინტერესებს, როგორც ერთ-ერთი დამათარიღებელი საშუალება იმ სამარხებისა, რომელთა ასაგებადაც ისინი იყო გამოყენებული[14].

ერწოს კრამიტები როგორც ზომებით, ასევე მოყვანილობითა და დამზადების ტექნიკით, სრულ მსგავსებას ამჟღავნებს მცხეთის ტერიტორიაზე მოპოვებულ კრამიტებთან, რაც მათი სინქრონულობის ერთ-ერთი საბუთი უნდა იყოს. მცხეთის ტერიტორიაზე ათასობით ნაპოვნი კრამიტი ძირითადად ერთი ტიპისაა. ძალიან ძნელია, მაგალითად, რაიმეთი განვასხვაოთ ბაგინეთის დიდ შენობათა გათხრის დროს მიკვლეული კრამიტები არმაზისხევის, მცხეთის და

---

[11] შირიმის კარიერებზე, თრანულას შენაკად შირიმის ხევში, სახლების შესალეს ფხვნილს მოსახლეობა დღესაც თხრის და წარმატებით იყენებს.

[12] А. И. Джавахишвили, Строительное дело и архитектура населений Южного Кавказа V-III тыс. до н. э. Тб., 1973, გვ. 19 და სხვ.

[13] ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, 1. თბ., 1963, გვ. 77; პ. ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბ.; ი. გაგოშიძე, წარმართული სატაძრო კომპლექსის გათხრები დედოფლის მინდორზე. სსმაე V. თბ., 1977, გვ. 72-77 და სხვა; ა. ბოხოჩაძე, არქეოლოგიური დაზვერვები მცხეთის რაიონში. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს. თბ., 1972, გვ. 66-67.

[14] ირ. ციციშვილი, მცხეთის ანტიკური კრამიტის შესწავლისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე ტ. IX, № 8, თბ., 1948; ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 44—76.

სხვა უბნების კრამიტსამარხებში გამოყენებული კრამიტებისაგან. ხოლო ეს უკანასკნელი კი სამარხეული კომპლექსების მეშვეობით ძირითადად ახ. წ. II—III სს. დათარიღებული[15]. დაახლოებით ასევე თარიღდება მცხეთის ახალ სამაროვანზე აღმოჩენილი კრამიტყუთებიც და, ბუნებრივია, თვით კრამიტიც. № 1 სამარხში სხვა დამათარიღებელი მასალა რომ არც აღმოჩენილიყო, ჩვენ მხოლოდ კრამიტის საშუალებითაც საკმაოდ სწორად დავათარიღებდით მას, მაგრამ ამ შემთხვევაში თვით სამარხმაც ისეთი მასალები მოგვცა, რაც მთელი კომპლექსის და მათ შორის კრამიტის საკმაოდ ზუსტი დათარიღების შესაძლებლობას იძლევა. სხვა რომ არა იყოს რა, ამისათვის მარტო № 1 სამარხში აღმოჩენილი კ ა რ უ ს ი ს (282—283) აურეუსიც იკმარებდა.

2. მინის ჭურჭელი. მინის ნაკეთობა ძირითადად სამარხეული წარმოშობისაა. კულტურულ ფენაში მოხვედრილი მინის ნატეხები, როგორც ჩანს, დანგრეული სამარხებიდან მომდინარეობს.

ქუშანაანთგორის II სამაროვანზე სულ აღმოჩნდა მინის 8 ჭურჭელი, ამათგან 6 მთელია და ორი (№ 13 სამარხიდან) დამტვრეული. მიუხედავად ჭურჭელთა მცირე რიცხვისა, ტიპოლოგიური თვალსაზრისით, ქუშანაანთგორის მინის კოლექცია ძალზე საყურადღებოა. მათგან სამი ცალი განეკუთვნება კოლბისებრტანიანი მაღალყელიანი ჭურჭლების ჯგუფს, რომლებიც თავისუფალი ბერვითაა მიღებული (ტაბ. 44, სურ. 1, მარცხენა ორი; ტაბ. 44, სურ. 2 და 4, ინვ. № 292, სამარხი 12, სურ. № 9 ტექსტში). ამ ტიპის ჭურჭლები ყველაზე დიდი რაოდენობით მოპოვებულია ურბნისში, სადაც ისინი მკვლევარ მ. საგინაშვილს მრავალრიცხოვანი ქვეტიპების სახით ერთ დიდ ჯგუფში აქვს გაერთიანებული[16]. ერწოს ველის კოლბისებრტანიანი მაღალყელიანი სანელსაცხებლეებიდან ერთი, ყველაზე უფრო მაღალყელიანი (ტაბ. 44, სურ. 2), თითქმის ზუსტი ანალოგიაა ურბნისის № 221, 234, 238, 243 და, განსაკუთრებით, 266 სამარხებში მოპოვებული სანელსაცხებლეებისა. აღნიშნული ჭურჭელი სამეცნიერო ლიტერატურაში სირიულ ნაწარმადაა მიჩნეული და ზოგადად ახ. წ. I—II სს. თარიღდება[17], თუმც ურბნისის მინის ჭურჭლების ამ ქვეტიპს

---

[15] მცხეთა, I, გვ. 249, ტაბ. VI, VII; ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, დასახ. ნაშრ.

[16] მ. ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი. თბ., 1970, გვ. 20-23. სურ. 6-20: ტაბ. 59-90; მ. საგინაშვილის ტიპოლოგიით აღნიშნული ჭურჭლები განეკუთვნება XIV ტიპს (გვ. 20), რომლებშიაც გაერთიანებულია 12 ქვეტიპი. ჩვენი მასალების გასააზრებლად ამათგან ყველაზე უფრო საინტერესოა პირველი ქვეტიპის ბ სახეობა (სურ. 7) და მეორე ქვეტიპი (სურ. 10 და 11).

[17] Н. П. С о р о к и н а, Сирийский стеклянный сосуд из собрания Одесской Гос. Археологического Музея. Краткие Сообщения. Одесса, 1915. გვ. 186, სურ. 2, 7, 10; M. C. E d g a r, Craeco-Egyptian glass. Le Caire, 1905, გვ. 50-51 ტაბ. VII, VIII; T o l l N. The Excavations at Durra-Europos, New Haven, London, 1946. ტაბ. XLIII, სამარხი 23 XV, ტაბ. XLIV; G. E i s e n, Glass, vol. I, New-York, 1927, pl, 89, გვ. 292.

სომხეთში, გარნისის ნეკროპოლზე მაღალყელიანი სანელსაცხებლეები საკმაოდ ბევრია მოპოვებული. ზომებით, ყელის სიგრძითა და მოყვანილობით ისინი ურბნისის კონუსურტანიანი და ყელმაღალი ჭურჭლების მსგავსნი არიან, მაგრამ ტანის მოყვანილობა განსხვავებული აქვთ. გარნისის ნეკროპოლის 1956—1972 წლების მასალების მიხედვით, ამ ყელმაღალ ჭურჭლებს მსხლისებრი მოყვანილობა აქვთ, ხოლო კონუსური ტანის მქონე ყელმაღალი ჭურჭლები, ისეთები, როგორიც ურბნისსა და ერწოშია აღ მოჩენილი, გარნისის კომპლექსებში არ გვხვდება. იხ. Ж. Х а ч а т р я н, Гарни V. Античный некрополь. (Результаты раскопок 1956—1972), Ереван, 1976. ტაბ. VIII, 5; XII, 2, XV, 2; XVII, 6; ჟ. ხაჩატრიანი, მსგავსად მ. საგინაშვილისა, ამ ჭურჭლებს სირიული წარმომავლობის ნაწარმად თვლის. სომხეთსა და საქართველოში აღნიშნული ჭურჭლები რომ ერთიდაიგივე საწარმოო ცენტრიდან იყოს შემოსული, მაშინ მათ შორის განსხვავება არ უნდა შეიმჩნეოდეს.

მ. საგინაშვილი ახ. წ. I ს. ათარიღებს, რაც მკვლევრის მითითებით, თვით სამარხეული კომპლექსების თარიღიდან გამომდინარეობს[18]. იმის გამო, რომ ურბნისის გვიანანტიკური ხანის სამაროვნის კომპლექსები ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ არის, ჩვენ ვერაფერს ვიტყვით იმის თაობაზე, თუ რამდენად შეიძლება გავიზიაროთ ამ სამარხებისათვის ამჟამად მიღებული თარიღი. მაგრამ ერწოს მასალების მიხედვით სრულიად აშკარაა, რომ ყელმაღალი, კონუსურტანიანი ჭურჭლები პირველი საუკუნის შემდგომაც აგრძელებს არსებობას. ასევე სათუოდ გვეჩვენება ურბნისისა და ერწოს ამგვარი ჭურჭლების წარმოშობის საკითხიც. მაღალყელიანი კონუსურტანიანი ჭურჭლების არაჩვეულებრივი სიუხვე ურბნისის კომპლექსებში და მისი ასეთი ფართო გავრცელება თანაც დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთში[19], ჩვენი აზრით, უნდა ქმნიდეს გარკვეულ საფუძველს იმისათვის, რომ მათი ადგილობრივი წარმოება ვივარაუდოთ. შესაძლოა, ეს სავარაუდო ადგილობრივი წარმოება ემყარებოდა მზამზარეული ფორმების იმპორტს, მაგრამ ისეთ ქვეყანაში, როგორიც ქართლის სამეფო იყო, სადაც ანტიკურ და გვიანანტიკურ ხანაში ყვაოდა ხელოსნური წარმოების მრავალი დარგი (მეთუნეობა-მეკრამიტეობა, ტორევტიკა-ოქრომჭედლობა, ქვისა და ლითონის დამუშავება და სხვა) და სადაც ჩვ. წ. დასაწყისისათვის ტიხრული მინანქრის წარმოებაც არ იყო უცხო, სრულიად მარტივი ალნაგობის ჭერქლები რომ ეწარმოებინათ, არ უნდა მივიჩნიოთ შეუძლებელ და მიუღწეველ საქმედ. მით უმეტეს, რომ გვიანანტიკური ხანის საქართველოში უკვე კარგახანია ნავარაუდევია მინის ადგილობრივი წარმოება და ასეთ საწარმოთ კერებად მიჩნეულია არა მარტო ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი მცხეთა, არამედ ურბნისიც[20]. სწორედ ურბნისის გვიანანტიკურ სამაროვანზე მოპოვებულ მინის ჭურჭლებს შორის წუნდებული ნაკეთობის არსებობამ საფუძველი შეუქმნა დ. ქორიძეს, იქ მინის წარმოება ევარაუდა[21]. ეს ვარაუდი კიდევ უფრო მყარ საფუძველზე დადგა მას შემდეგ, რაც ურბნისის ნაქალაქრის XVI უბანზე 1955 წელს გვიანანტიკური ხანით დათარიღებულ ფენაში აღმოჩნდა მინის ზოდები[22].

სავაჭრო ურთიერთობათა შედეგად რომ მზა ნაწარმი შემოდიოდა საქართველოში (რა თქმა უნდა, სირიიდანაც), ამას ვერავინ უარყოფს[23], მაგრამ არც ის იქნება მართებული, რომ ისეთი მასობრივი ნაწარმი, როგორც არის თავი-

---

[18] მ. საგინაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 60—62. ურბნისის გვიანანტიკური ხანის სამარხების შესახებ არსებობს დ. ქორიძის ვრცელი ხელნაწერი ნაშრომი «ურბნისის სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ძეგლების პერიოდიზაციისათვის», რომელიც დაცულია წინაფეოდალური ხანის საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილების არქივში.

[19] ივ შემთხვევაში, თუ ურბნისის კოლბისებრი ჭურჭლების შემცველი სამარხების თარიღად I საუკუნეს მივიჩნევთ.

[20] გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის ახ. წ. I-III საუკუნეებში. «ისტორიის ინსტიტუტის შრომები», 1955, გვ. 352; ნ. უგრელიძე, ადრეულ შუასაუკუნეთა ქართლში მიწის წარმოების ისტორიისათვის. თბ., 1967, გვ. 7—9; ლ. ჰილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ. 1964, გვ. 56—57; დ. ქორიძე, მითით. ნაშრ., ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. თბ. 1963, გვ. 233—234.

[21] დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ.

[22] ლ. ჰილაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 57.

[23] О. Д. Лорткипанидзе, Ремесленное производство и торговля в Мцхета в I—III вв н. э. თსუ-ს შრომები, 65, თბ. 1957.

სუფალი ბერვით მიღებული მინის ჭურჭელი, მათ შორის კოლბისებრი და კონუსურტანიანი მაღალყელიანი ჭურჭლები, მაინც და მაინც შემოტანილად მივიჩნიოთ[24]. მცხეთის, ურბნისისა და სხვა უახლესი განათხარი მასალების (მაგ., არაგვისპირის, ახალი ჟინვალისა და სხვა) ანალიზი ჩვენ იმასაც კი გვაფიქრებინებს, რომ მაღალყელიანი კონუსურტანიანი ჭურჭლები სხვა ტიპის ნაწარმთან ერთად გვიანანტიკურ ხანაში სწორედ ურბნისში მზადდებოდა. გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ ერწოს სამარხში აღმოჩენილი მაღალყელიანი კონუსურტანიანი ჭურჭელიც ურბნისიდან მომდინარეობდეს. რაც შეეხება ჭყმანაანთგორის II სამაროვნის № 13 სამარხში აღმოჩენილ კიდევ ერთ ჭურჭელს (ტაბ. 44, სურ. 4), რომელსაც აგრეთვე საკმაოდ მაღალი ყელი, მსხლისებრი ტანი და ბრტყელი ძირი აქვს, მასაც საკმაოდ მრავლად მოეძებნება პარალელები ურბნისის მასალებში.

მსხლისებრტანიანი და მაღალყელიანი სანელსაცხებლეების ერთი ჯგუფი მ. საგინაშვილს მიაჩნია ადგილობრივ ნაწარმად (მდარეხარისხოვანი მინის გამო) და მათ ახ. წ. I—II სს. ათარიღებს[25].

სამარხთა აღწერილობის დროს ჩვენ აღვნიშნეთ, რომ № 13 სამარხი, სადაც ეს მაღალყელიანი ჭურჭლებია მიკვლეული, ძლიერ მოკრუნჩხული პოზის გამო შედარებით ადრეულ სამარხთა ჯგუფს განეკუთვნება. მაგრამ სამარხეული ინვენტარის მიხედვით (ბეჭდები, რგოლი ნისკარტისებრი შვერილით, ისეთი როგორიც № 3 სამარხშია დადასტურებული), მისი თარიღი III ს. პირველ ნახევარზე დაბლა ვერ დაიწევს. ასე რომ, ერწოს მაღალყელიანი სანელსაცხებლე მსხლისებრი ტანით, ჩვენის ვარაუდით, III ს. პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს[26].

მაღალყელიანი მინის ჭურჭლების რიგს განეკუთვნება კიდევ ერთი მცირე ჯგუფი (სამი ჭურჭელი), რომლებსაც ახასიათებთ აგრეთვე მაღალი ყელი, სფე-

---

[24] ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, არც თუ იშვიათად, ადგილობრივ ხელოსნურ ნაწარმად მიიჩნევენ ხოლმე ისეთ ნივთებს, რომლებიც მდარე ხარისხის მასალითაა დამზადებული და შედარებით ულაზათოა. ახალი არქეოლოგიური მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ასეთ ტენდენციას არ გააჩნია მყარი საფუძველი.

[25] მ. საგინაშვილის მიხედვით, ასეთი ჭურჭლები გაერთიანებულია XIV ტიპის მეორე ქვეტიპში. გვ. 25-25. სურ. 10, 11.

[26] მსხლისებრი მოყვანილობის ერთი ჭურჭელი აღმოჩენილია ზემოავჭალის № 2 სამარხში (იხ. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, 1920—1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. IV. თბ., 1928. გვ. 174-177. ტაბ. IX, 3). ს. მაკალათია ეყრდნობოდა რა სამარხებში აღმოჩნილ გოტარზესა და ავგუსტეს მონეტებს, ზემოავჭალის სამაროვანი დაათარიღა ახ. წ. I საუკუნით. მაგრამ, სადღეისოდ საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ავგუსტესა და გოტარზეს მონეტები დამათარიღებლად ვერ გამოდგება. თვით ზემოავჭალის მასალების ერთობლივი ანალიზი თითქოს იმის საფუძველს გვიქმნის, რომ მსხლისებრი მოყვანილობის ჭურჭლის შემცველი სამარხი ახ. წ. II—III საუკუნეებით დავათარიღოთ. მსხლისებრი სანელსაცხებლის ასეთ თარიღს გარკვეულად მხარს უბამს კლდეეთის სამაროვანზე მოპოვებული მინის ერთი ჭურჭელი (იხ. გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე . კლდეეთის სამაროვანი, გვ. 23 და გვ. 178; ტაბ. XX—2), რომელიც, ავტორის სიტყვით, მიეკუთვნება იმ ტიპს, რომელიც საკმაოდაა გავრცელებული ახ. წ. I—III სს. სამარხებში. პარალელურ მასალად გ. ლომთათიძე ასახელებს ბორის მონაპოვარს (ე. პრიდკის ნაშრომის მიხედვით). მსგავსი ჭურჭლები ცნობილია სომხეთსა და აზერბაიჯანშიც. მაგალითად, გარნის მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მსხლისებრტანიანი ჭურჭლები, რომლებსაც საკმაოდ მაღალი ყელი აქვთ, მაგრამ ბევრად უფრო მოკლე ვიდრე კონუსურტანიან ჭურჭლებს, სომხეთშიც ფართოდ ყოფილა გავრცელებული (ე. ხაჩატრიანი ამგვარ ჭურჭლებს რატომღაც კონუსურტანიანს უწოდებს. იხ. Ж. Х а ч а т р я н, Гарни, V. გვ. 58-66. ტაბ. XI, 1; XXI, I, 3,5.

რული პატარა ტანი და მცირე დიამეტრის მჭონე მომრგვალებული ძირი (ტაბ. 44. სურ. 1, მარჯვენა; ტაბ. 48). ამათგან ორი მთელია, ერთი დამტვრეული (ინვ. № 293). კოლბისებრი სანელსაცხებლეები ფართოდ იყო გავრცელებული გვიანანტიკურ ხანაში როგორც მახლობელ აღმოსავლეთში[27], ასევე კავკასიაში[28]. ურბნისის სამაროვანზე ასეთი ჭურჭლები დამოწმებულია I—II და III—IV საუკუნეთა სამარხებში[29].

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ერწოს მონაპოვარში მინის ერთადერთი ორყურა ჭურჭელი (სამარხი 12, ტაბ. 44), რომელიც ხასიათდება ბრტყელი პირბაკოთი, შემაღლებული ყელით, მოგრძო-ოვალური ტანით და მომრგვალებული ძირით. ორი, სიმეტრიულად განლაგებული, ყური მიმაგრებული აქვს თავით პირბაკოს ქვემოთ, ხოლო ძირით — მხარზე. ორყურა ჭურჭლები, ოღონდ სფერული მოყვანილობისა, ურბნისსა და მცხეთაში საკმაოდ მრავლადაა მოპოვებული[30], მაგრამ ერწოს ქუშანაანთგორის ორყურა ჭურჭლის ზუსტი ანალოგია ამ კოლექციებში ჩვენთვის უცნობია. სფერული ორყურა ჭურჭლები განსაკუთრებით უხვად ურბნისის ნეკროპოლზე აღმოჩნდა. მ. საგინაშვილი მათ ახ. წ. I საუკუნეს მიაკუთვნებს, თუმც ერთი ასეთი ჭურჭელი, ლ. ჭილაშვილის ჩვენებით, IV ს. სამარხშიცაა აღმოჩენილი[31]. ურბნისის ორყურა ჭურჭლებიდან ტანის მოყვანილობით ერწოს ორყურა ჭურჭელს ემსგავსება № 20, № 170 და № 230 სამარხებში აღმოჩენილი ორყურა ჭურჭლები[32], თუმც მათ შორის განსხვავებაც დიდია. სფერულმუცლიანი ორყურა ჭურჭელი აღმოჩენილია არმაზისხევის № 6 სამარხშიც, რომელიც II ს. მიწურულით თარიღდება[33]. ასეთი ორყურა ჭურჭლები ცნობილია გარნისის ნეკროპოლიდანაც[34], სადაც მათი თარიღი ახ. წ. I ს. განსაზღვრული.

ერწოს ორყურა ჭურჭლის წარმომავლობის შესახებ რაიმეს თქმა გვიძნელდება, მხოლოდ შეგვიძლია ხაზი გავუსვათ მისი ფორმის იშვიათობას და ორიგინალობას.

ქუშანაანთგორის II სამაროვანზე მოპოვებულ მინის ჭურჭლებს შორის ცალკე გამოიყოფა კიდევ ერთი ტიპი, რომელიც მხოლოდ ერთი ეგზემპლარითაა წარმოდგენილი (ინვ. № 376, ტაბ. 44, სურ. 3). ესაა მომცრო, ყელშემაღლებული და „მუცელდატალღული“ ჭურჭელი, რომელიც კვეთში ხუთქიმიან ვარსკვლავს მოგვაგონებს. დაახლოებით ასეთი ჭურჭელი აღმოჩენილია ურბნისის 36-ე უბნის № 28 სამარხში, რომელიც IV ს. დათარიღებული[35].

---

[27] E d g a r C. Graeco-Egiptian... ტაბ. XI.

[28] А. Н у р и е в, Стеклянные изделия и их производство в Кавказской Албании, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი.

[29] მ. ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 30. VIII ქვეტიპი. №№ 61—66. თუმცა ქუშანაანთგორის № 1 სამარხში აღმოჩენილ სანელსაცხებლეს უფრო ურბნისის ჭურჭლები ემსგავსება, რომლებსაც მ. საგინაშვილი I საუკუნით ათარიღებს (№ 16, 18). სფერულმუცლიანი კოლბისებრი ყელმაღალი ჭურჭლები ცნობილია გარნისის სამაროვნიდანაც. იხ. Ж. Х а ч а т р я н, Гарни. ტაბ. XVI, 4, XXI, 6 და სხვ.

[30] მ. ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., №№ 45, 46, 48-54, 56, 58; მცხეთა, 1, ტაბ. XXIII, 4.

[31] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ნაქალაქარი ურბნისი. გვ. 74, სურ. 33—4.

[32] მ. ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., ჭურჭლები №№ 15, 56, 58.

[33] მცხეთა I. გვ. 82. ჩვენი ვარაუდით არმაზის ერისთავთა სამაროვანის № 6 სამარხი შესაძლოა III ს. პირველი ნახევრითაც დათარიღდეს.

[34] Ж. Х а ч а т р я н, დასახ. ნაშრ., გვ. 63—66. ტაბ. XI, 3. ეს ჭურჭელი ქუშანაანთგორის ორყურა ჭურჭელს განსაკუთრებით ყურების მოყვანილობით ემსგავსება.

[35] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 75, სურ. 33—1.

გვერდებშეზნექილი მინის ჭურჭელი (მცირე სანელსაცხებლე) დადასტურებულია ზღუდერშიც[36]. გარკვეულ სიახლოვეს ერწოს ამ „ვარსკვლავისებრ" ჭურჭელთან ამჟღავნებს მცხეთისა და გარნისის მასალებიც, სადაც აგრეთვე ხშირია გვერდებშეზნექილი ჭურჭლების აღმოჩენის შემთხვევები. აღნიშნული ჭურჭელი მცხეთაში IV—V სს. დათარიღებული[37], ხოლო გარნისში III—IV სს[38].

მიუხედავად მინის ჭურჭლების სიმცირისა, ერწოს ველის ჭუშანაანთგორის II სამაროვანმა საკმაოდ საყურადღებო მასალა შეგვძინა ხელოსნობის ამ დარგის ისტორიასთან დაკავშირებით. თავი იჩინა არა ერთმა სიახლემ და აშკარად გვიჩვენა, რომ მინის ჭარჭლის ზოგიერთი ფორმა ძალზე სიცოცხლისუნარიანი ყოფილა. თვით ჭუშანაანთგორაზე არსებული სამოსახლოს ისტორიისათვის მინის ჭურჭელს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. ქალაქური ყოფისათვის დამახასიათებელი ასეთი ნაწარმის სიუხვე ერწოს ქვეყნის ერთერთ პუნქტში უნდა მიუთითებდეს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, აგრეთვე ამ პუნქტის მჭიდრო კავშირზე მაშინდელი ქართლის სამეფოს მოწინავე ეკონომიურ და კულტურულ ცენტრებთან.

3. ვერცხლის ნაკეთობა. ვერცხლის ნაკეთობა განსაკუთრებით უხვად წარმოდგენილია ჭუშანაანთგორის II სამაროვანის მდიდრულ სამარხებში. მაგრამ ვერცხლისაგან დამზადებული სამკაული, არც თუ იშვიათად, გვხვდება რიგით სამარხებშიც. ვერცხლის ნაწარმი არა მარტო რაოდენობრივად იპყრობს ყურადღებას, არამედ შედგენილობითა და მხატვრული შესრულების მაღალი დონით. შეიძლება ითქვას, რომ ჭუშანაანთგორის II სამაროვნის მთელ მონაპოვარში ვერცხლის ნაკეთობას ამ თვალსაზრისით ნივთსამკაულთა ვერც ერთი სახეობა ვერ შეედრება. ვერცხლის ნივთებიდან ამჯერად ჩვენ განვიხილავთ სამ უმთავრეს ჯგუფს:

1. ვერცხლის ჭურჭელს;
2. ტანისამოსთან დაკავშირებულ ვერცხლის საგნებს;
3. ვერცხლის სამკაულს.

ვ ე რ ც ხ ლ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი. ჭუშანაანთგორის სამაროვანზე ვერცხლის სულ სამი ჭურჭელია აღმოჩენილი: ორი სურა და ერთი პინაკი, სამივე № 1 სამარხში[39]. ჭურჭლები განლაგებული იყო თავისქალას მახლობლად.

ს უ რ ე ბ ი (ინვ. №№ 63, 64, ტაბ. 24, 26, ფერადი ტაბ. IV, სურ. 2). მოყვანილობით ზუსტად ერთნაირია, ოღონდ ოდნავი განსხვავებაა ზომებში.

---

[36] გ. ნ ე მ სა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

[37] ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, ადრეულ შუასაუკუნეთა მინის ჭარმოების ისტორიისათვის, გვ. 32—33, სურ. 14, 15. როგორც ჩანს, ოთხი მხრიდან გვერდშეზნექილი ჭურჭლები მცხეთაში უფრო ადრეჭრისტიანული ხანიდან პოულობს გავრცელებას და ისინი მთელი ადრე შუასაუკუნეების მანძილზე ინახავენ თავს.

[38] Ж. Х а ч а т р я н, Гарни, V, გვ. 82, ტაბ. XII, 4; — XVI, 1, 3. ნახ. 49, 4.

[39] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ერწოს ველის არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის შედეგები. XVI სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1966 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. თბ., 1967. გვ. 71—74; К. М а ч а б е л и, Некоторые вопросы изучения художественного серебра в позднеантичной Грузии. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყ. მოამბე, 1969 წ. № 4. Е с ж е, Несколько памятников сасанидской торевтики в Грузии. „მაცნე", ისტორიის სერია, 1972, №3, გვ. 64—70; რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ერწოს ველი ანტიკურ ხანაში, „ძეგლის მეგობარი", 1971, № 27—28; რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ი. ა ნ დ რ ი ა შ ვ ი ლ ი, ვერცხლის პინაკი ერწოდან. „საბჭოთა ხელოვნება". 1972 წ. № 8, გვ. 72—75; К. М а ч а б е л и, Позднеантичная торевтика Грузии. Тб., 1976, გვ. 76—77. 121—128. ტაბ. 27, 44—45.

ერწოს სურებისათვის დამახასიათებელია ოვალური მოყვანილობის ნისკარტიანი პირ-ბაკო, პირისკენ გაფართოებული ყელი, მსხლისებრი მოყვანილობის, ოდნავ გამობერილი ტანი, ძირშეღრუებული მაღალი ფეხი და სამწილადი ყური. ყელისა და მხრის საზღვარზე აქვს მსხვილრელიეფური რკალი, ასევე შუაზე შემსხვილებულია ფეხიც. მხარზე შემოსდევს ორი წყვილი კონცენტრული ნაჭდევი. ორივე სურა, ჩვენი ვარაუდით, პრაქტიკული დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო.

მოყვანილობითა და აღნაგობით ერწოს სურები განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს არმაზისხევის ერისთავთა სამაროვანზე აღმოჩენილ სურებთან. არმაზისხევში სამი წყვილი სურაა აღმოჩენილი (№ 1, 6 და 7 სამარხები)[10], რომელთაგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ № 7 სამარხში ნაპოვნი წყვილი სურა. არმაზისხევის № 7 სამარხში აღმოჩენილი სურა რამდენადმე უფრო სადაა, ფეხი ოდნავ დაბალი აქვს, ხოლო ყელისა და მხრის საზღვარი სწორი და სადაა. ყური ორნაწილიანია, მაგრამ განსხვავებით ერწოს სურისაგან აქვს მოძრავი თავსახური, რომელსაც პირის მოყვანილობა აქვს. თავსახურს გააჩნია საგანგებო შვერილი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში აიხდებოდა მარჯვენა ხელის ცერა თითით. აღნიშნულ დეტალზე ჩვენ იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ გვეჩვენებინა ამ ჭურჭლის აშკარა პრაქტიკული დანიშნულება[11]. ვფიქრობთ, რომ № 6 სამარხის წყვილ სურასაც თავის დროზე ჰქონოდა რეალური გამოყენება. რაც შეეხება არმაზისხევის № 6 სამარხის სურებს, რომლის მხოლოდ კორპუსია წარმოდგენილი, შესაძლოა ისინი მივიჩნიოთ ან დაუმთავრებელ ნაწარმად და დაკრძალვის რიტუალისათვის ნაჩქარევ შენაძენად, ან კიდევ ძველ, ხმარებიდან გამოსულ ჭურჭლად, რომელსაც ფეხი და ყური დაკარგული ჰქონია.

არმაზისხევის მდიდრულ სამარხებში მიკვლეული სურები დათარიღებულია ახ. წ. II ს. მეორე ნახევრით, უფრო კი მიწურულით, რაც გარდა საკუთრივ სამარხეული კომპლექსების საერთო ანალიზისა, ეყრდნობა ოქროს იმ აურეუსებს, რომლებიც აღნიშნულ სამარხებში ასე უხვად იყო წარმოდგენილი[12].

---

[10] მცხეთა I. გვ. 35. სურ. 12. ტაბ. XLII; გვ. 77, სურ. 39. გვ. 96, სურ. 56; ტაბ. XXXIV.

[11] უკანასკნელი წლების არქეოლოგიურ პრაქტიკაში გვაქვს შემთხვევები, როდესაც ჩნდება არაპრაქტიკული, დეკორატიული დანიშნულების სურებიც. მაგ., არაგვისპირის სამაროვნის № 13 სამარხში აღმოჩენილი წყვილი სურა წარმოადგენდა იმიტაციას—ხის მოდელზე გადაკრულ ვერცხლის ფირფიტას.

[12] მცხეთა, I, გვ. 39—40, 82. 97. ოქროს აურეუსები, რა თქმა უნდა, სამარხების დათარიღებისათვის უფრო საიმედო საყრდენს წარმოადგენს, ვიდრე ავგუსტეს დენარები, ან გოტარზეს დრაჰმები. მაგრამ უნდა შეინიშნოს, რომ აქაც გარკვეული სიფრთხილეა საჭირო. ცნობილია, რომ ოქროს მონეტებს საერთოდ და რომაულ აურეუსებს განსაკუთრებით დიდი სიცოცხლისუნარიანობა ახასიათებდათ. ერთი და იგივე ნომინალი ხანგრძლივი დროის განმავლობაში (ზოგჯერ 2-3 საუკუნე) იყო ხოლმე მიმოქცევაში. თვით არმაზისხევის მდიდრული სამარხები ამის კარგი მაგალითია. №6 სამარხში უძველესი იყო ნერონის (54—68 წწ.), ხოლო უახლესი კომოდის (180—192 წწ.) აურეუსი, ამასთანავე, ოქროს ხუთი აურეუსიდან ხუთივე სხვადასხვა იმპერატორის სახელითაა მოჭრილი. № 7 სამარხშიც უძველესი იყო ნერონის მონეტა, ყველაზე ახალგაზრდა მარკუს ავრელიუსისა (161-180 წწ.). ასეთ ვითარებაში სრულიად ადვილად შეიძლებოდა ჭირისუფალს რიტუალური პროცესის შესრულებისას ხელთ ჩავარდნოდა და სამარხში ჩაედო არა თავისი თანამედროვე, არამედ. რომელიმე უფრო ადრული იმპერატორის სახელით მოჭრილი მონეტა. მაგრამ არმაზისხევის ზემოდასახელებული სამარხების თარიღისადმი მარტო ეს კი არ აღგვიძრავს გარკვეულ ეჭვს, არამედ ისიც, რომ თვით სამარხეულ კომპლექსებშია ისეთი მასალა, რაც № 6 და № 7 სამარხებს გარკვეულად ეწევა III საუკუნისაკენ (ოქროს ბეჭდები — ზოგჯერ წყვილპორტრეტული გამოსახულებით, შედგენილი საყურეები, ქამრისა და ტანისამოსის აბზინდები, მინის ჭურჭელი და სხვ).

გარდა არმაზისხევისა, ვერცხლის სურები ცნობილია ცხინვალიდან, ზღუდერიდან, არაგვისპირიდან, ბორიდან და სხვა პუნქტებიდან. ცხინვალის სურა[43] მოყვანილობით დახლოებით ერწოს სურის მსგავსია, მაგრამ მისი ზედაპირი რელიეფური ტალღოვანი ორნამენტითაა დაფარული. რაც შეეხება ზღუდერის ვერცხლის სურას, რომელიც აგრეთვე მსხლისებრი მოყვანილობისაა და შემკულია ირიბი ტალღური ორნამენტით, თანმხლები ინვენტარისა და მონეტების მეშვეობით III ს. მეორე ნახევრის დასაწყისით თარიღდება[44].

მიუხედავად იმისა, რომ ერწოს სურების ზედაპირი სადაა, ხოლო ზღუდერის სურისა ტალღოვანი ორნამენტით შემკული, საერთო მოყვანილობითა და ზოგიერთი დატალით მათ შორის საგრძნობი მსგავსებაა და ამდენად ისინი ერთი დროის ნაწარმადაა მისაჩნევი. მაგრამ ჭუშანაანთგორის ორი სურის დათარიღებაში ჩვენ გვშველის არა მარტო დღემდე ცნობილი ჭურჭლების შედარებითი ანალიზი, არამედ თვით სამარხეული კომპლექსი, რომელიც უხვად შეიცავს თარიღის დადგენისათვის საჭირო მონაცემებს (კრამიტი, ბეჭდები, მინის ჭურჭელი, მონეტები და სხვ.). ამ მასალებს შორის გარკვეულ საყრდენს გვიქმნის ოქროს მონეტები, რომელთაგან კარუსის (282—283 წწ.) აურეუსი გვაძლევს სამარხის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს. რა თქმა უნდა, კარუსის აურეუსის მოღწევას კავკასიამდე გარკვეული დრო ესაჭიროებოდა (გასათვალისწინებელია ამ მონეტების იშვიათობაც), ამასთანავე, ახ. წ. IV ს. ორმოციანი წლების შემდეგ, როდესაც ქრისტიანობა საქართველოში უკვე ოფიციალურ რელიგიად იყო მიღებული, საეჭვოა, არისტოკრატიული ოჯახის წევრი (ოჯახისა, რომელიც პროვინციაში ახორციელებდა სამეფო კარის ნება-სურვილს) წარმართული წესით დაემარხათ.

აქვე უნდა გავამახვილოთ ყურადღება ერთ მეტად საგულისხმო დეტალზე: № 1 სამარხში, როგორც აღწერიდან ჩანდა, აღმოჩენილია მცირე „სანექე" ბეჭედი, რომლის თვალზეც ქრისტიანული მონოგრამაა გამოსახული. ამ ფაქტში ჩვენ, შეუძლებელია, არ დავინახოთ ბეჭდის პატრონის კეთილი განწყობილება ქრისტიანული რელიგიისადმი ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მას ოფიციალურად აღიარებდნენ. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ 337 წლის შემდეგ იმ სოციალური წრის წარმომადგენელს, რომელსაც ეკუთვნოდა მონოგრამიანი ბეჭედი, ასე „წარმართულად" აღარ დაკრძალავდნენ და საიმქვეყნო ნივთებს ასე უხვად არ ჩააყოლებდნენ.

მაშასადამე, № 1 სამარხის წარმოქმნის ქვედა ზღვარი 282 წელია, ხოლო ზედა 337 წლის მახლობელი ხანა. მაგრამ ეს არის ორი უკიდურესი ზღვარი და უფრო მართებული იქნება, თუ № 1 სამარხს III ს. მიწურულით დავათარიღებთ. ასე რომ, № 1 სამარხში ვერცხლის სურების მოხვედრის თარიღად ჩვენ III ს. ბოლო მიგვაჩნია. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ვერცხლის სურები ნაინცა და მაინც III ს. ბოლოსაა დამზადებული. ჩვენ ორივე ჭურჭელი მიგვაჩნია პრაქტიკული დანიშნულების საგნებად[45] და არ არის გა-

---

[43] К. Мачабели, Позднеантичная торевтика Грузии, გვ. 74.

[44] გ. ნემსაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 46—47.

[45] აღნიშნულ ჭურჭლებს რომ, მართლაც, ჰქონდათ პრაქტიკული გამოყენება, ეს კარგად ჩანს სასანურ ტორევტიკულ ნიმუშებზე შემონახული სიუჟეტებიდან; მაგ., რამდენადმე გვიანდელ სასანურ პინაკზე ასახულ ნადიმის სცენებში შაჰის მსახურთ ხელთ დაახლოებით ასეთი ჭურჭლები უკავიათ. ამასთან დაკავშირებით იხ. И. А. Орбели, К. В. Тревер, Сасанидский металл. М. Л. 1937, ტაბ. 16, 18; Р. В. Кинжалов, В. Г. Луконин, Памятники культуры сасанидского Ирана, Л., 1960, ტაბ. 17.

მორიცხული, რომ ისინი ოჯახურ საგანძურში რამდენადმე ადრე იყოს მოხვედრილი. მით უმეტეს, რომ საქმე გვაქვს ძვირადღირებულ და გამორჩეულ ნივთებთან, რომელთაც ყოველთვის ახასიათებდა და დღესაც ახასიათებს მდგრადობა და მეტი სიცოცხლისუნარიანობა, ვიდრე სხვა უფრო ჩვეულებრივ ყოფით საგნებს.

ერწოს სურების აღმოჩენით საქართველოში დღემდე ცნობილი ვერცხლის ჭურჭლების კოლექცია საგრძნობლად გამდიდრდა. მასალის რაოდენობრივი ზრდა კი უფრო აადვილებს ამ რიგის ნაწარმთა მხატვრულ-სტილისტურ ანალიზს. ახლა სრულიად ცხადია, რომ არმაზისხევის, ზღუდერის, ცხინვალის, ერწოს, არაგვისპირისა და სხვა პუნქტებიდან ცნობილი სურები ტორევტიკული ხელოვნების ნიმუშთა ერთ ჯგუფში (ერთ წრეში) ექცევა და, ზოგადად, ერთი პერიოდის ნაწარმადაა მისაჩნევი. მაგრამ ისიც ცხადია, რომ მათ შორის მაინც შეიმჩნევა ზოგიერთი თავისებურება, ამ მოვლენას ხელოვნებისმცოდნე კ. მაჩაბელი ხსნის იმით, რომ გარკვეული დროის განმავლობაში ვერცხლის სურებმა განიცადეს კანონზომიერი ევოლუცია, შეიძინეს ახალი ელემენტები (მაგ., შუაში შემსხვილებული მომაღლო ფეხი, რელიეფური წიბო ყელზე, ორნამენტირებული ზედაპირი და სხვ.). მხატვრულ-სტილისტური ნიშნების მიხედვით ცალკეული ქრონოლოგიური ჯგუფების გამოყოფა იქნება არ იყოს მოკლებული ჰეშმარიტებას[46] (თუმც მნიშვნელოვანი ქრონოლოგიური სხვაობა ჭურჭელთა აღნიშნულ ჯგუფებს შორის შეიძლება არცაა საძებნი), მაგრამ შესაძლოა ვივარაუდოთ ისიც, რომ ასეთი სხვაობის სათავე ცალკეულ საწარმოო კერათა თავისებურებებიდანაც მომდინარეობს.

ასეა თუ ისე, ერთი სავსებით ცხადია, რომ ქართლის სამეფოში გვიანრომაულ ხანაში ვერცხლის ჭურჭელი და მათ შორის სურები ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების წყალობით მოპოვებული მასალების საფუძველზე უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ რომის იმპერიის გავლენის სფეროში მყოფ ქვეყნებს შორის საქართველო განსაკუთრებით გამოირჩევა ტორევტიკული ნაწარმის სიუხვით. რა თქმა უნდა, რეალურად ასეთი ნაკეთობა განუზომლად მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე შემოგვრჩა. ამასთანავე, საქართველო თითქმის გამონაკლისია იმითაც, რომ ეს უძვირფასესი ნაწარმი ძირითადად სამარხეულ კომპლექსებშია მიკვლეული.

ერწოსა და საერთოდ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სურების შესახებ საუბრისას, ბუნებრივია, უნდა დაისვას მათი წარმომავლობის საკითხიც.

ერწოს ქუშანაანთგორის ვერცხლის სურები თავისი ფორმით, როგორც ეს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული (არმაზისხევის, ზღუდერის, ცხინვალისა და სხვა პუნქტებიდან მომდინარე სურებთან ერთად), განცალკევებით დგას ახ. წ. რომში და მის პროვინციებში დამზადებული ჭურჭლებისაგან[47]. მიუხედავად მძლავრი ზოგადი გავლენისა, საქართველოს ტორევ-

---

[46] К. Мачабели, Позднеантичная торевтика Грузии, გვ. 75—79.

[47] იქვე, გვ. 75. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში აღმოჩენილი რომაული ტორევტიკული ნაწარმის შესახებ იხ. В. В. Кропоткин, Рымские импортные изделия в Восточном Европе (II в. до н. э.–V в. н. э.), свод археологических источников, М., 1970, სურ. 41—55. განსაკუთრებულ ყურადღებას ამ გამოცემაში იქცევს IV—V სს. დათარიღებული ვერცხლის სურა (სურ. 53—3), რომელიც გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს ერწოს სურებთან.

ტიკულ ხელოვნებაში იგრძნობა სწრაფვა თვითმყობადობისაკენ, რაც ვლინდება როგორც ფორმის, ასევე ცალკეული მხატვრული დეტალების ორიგინალობაში, ფორმის თვალსაზრისით, ჩვენი სურები უფრო მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს აღმოსავლურ, კერძოდ ირანულ, ნაწარმთან, მაგრამ მათგან მკვეთრად განსხვავდება გარეგნული სისადავით და მეტად მოქნილი და „რბილი“ კონტურებით.

ჩვენ, რა თქმა უნდა, შორსა ვართ იმ მოსაზრებისაგან, რომ საქართველოში ცნობილი ტორევტიკული ნაწარმის ყველა სახეობა ადგილობრივ ნაწარმად მივიჩნიოთ, მაგრამ მხატვრული ხელოსნობის ნაწარმთა ზოგიერთი სახეობა (მაგ., სარეცლის ფეხთა გარსაკრავები) იმდენად ორიგინალურია, რომ მათ ადგილობრიობაში ეჭვის შეტანა, ვფიქრობთ, შეუძლებელია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ რიგის ნაწარმთა შორისაა გასაერთიანებელი არმაზისხევისა და ერწოს სურებიც.

ვერცხლის სურების ორიგინალობასა და მათს ადგილობრივ წარმოებაზე ფრთხილად მსჯელობისას, ვფიქრობთ, უაღრესად საინტერესოა კ. მაჩაბლის მინიშნება თიხის ადგილობრივ ჭურჭლებზე, რომელთა ფორმებსაც შესაძლოა გარკვეული როლი ეთამაშა ვერცხლის სურების ფორმის შემუშავებაში[48].

სამწუხაროდ, ქართული კერამიკა ფორმათა ევოლუციისა და მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით, ჯერჯერობით შესწავლილი არ არის, თორემ იქნებ ბევრი რამ ლითონის პლასტიკის გენეზისთან დაკავშირებით უფრო დამაჯერებლად აგვეხსნა. კერძოდ, ჩვენ გვგონია, რომ ყელწიბოვანმა თიხის ჭურჭლებმა, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოში III ს. იწყებენ ფართო გავრცელებას, გარკვეული გავლენა იქონია ლითონის ჭურჭლებზეც. რაც შეეხება თვით ფორმას, ჭურჭლების ოვალურ-მსხლისებრ მოყვანილობას, ეს მთელი ანტიკური ხანის ქართული კერამიკული ნაწარმის ძალზე დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა[49] და ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის ფორმათა კანონზომიერი ევოლუციის ნაყოფია.

ვერცხლის სურებთან დაკავშირებით, საგანგებო ყურადღებას იმსახურებს მათი საკმაოდ ორიგინალური ყურებიც, რომელიც ერწოს შემთხვევაში სამწილადია, ხოლო ჩვეულებრივ კი ორნაწილიანი ყურები ჭარბობს (არმაზისხევი, ზღუდერი). ამ ნიშნითაც ერწოს № 1 სამარხში აღმოჩენილი ორი სურა, საქართველოში ცნობილ სხვა დანარჩენ სურებთან ერთად, განცალკევებით გამოიყურება და კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს მათს ადგილობრივ ხასიათს.

რომაულ-იტალიკური ენოხოების, ან სასანური სურების ყურები საერთო იერით, რბილადმოხრილი კონტურებით თითქოს ემსგავსება საქართველოში ცნობილ ნიმუშებს, მაგრამ მრავალწილად ყურებს ისეთი ორიგინალური აღნაგობა და ამ ნიშნით ჭურჭლის მხატვრული იერის აქცენტირება, რაც ჩვენს სურებს ახასიათებს, არსად ასე გამოკვეთილად არ ჩანს.

ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ჩვენი სურები (როგორც სხვებიც) ჯერჯერობით არასათანადოდაა შესწავლილი, მხოლოდ, შეიძლება ითქვას, რომ მათი კორპუსი თანაბრადგაწნეული მთლიანი ფირფიტითაა ნაკეთები, ალბათ, სათანადო ხელსაწყოს (მორგვის? ყალიბების?) გამოყენებით. ჭურჭლის ფეხი

---

[48] К. Мачабели, Позднеантичная торевтика Грузии, გვ. 75, 79.

[49] რ. რამიშვილი, კამარახევის სამაროვანი. მსკა II, თბ., 1959, ტაბ. XI.

ცალკეა დამზადებული და, მრავალწილადი ყურების მსგავსად, მერეა მირჩილული სათანადო ადგილას. ერწოს ქუშანაანთგორის სურების შემთხვევაში ყურის ზედა ნაწილის პირ-ბაკოზე მისამაგრებლად მანჭვლებიცაა გამოყენებული.

დღემდე საქართველოში შესწავლილ სამაროვნებზე სულ აღმოჩენილია 13 სურა, ამათგან ხუთ შემთხვევაში წყვილ-წყვილად. უნდა შეინიშნოს, რომ წყვილად აღმოჩენილი სურები ხელუხლებელი სამარხებიდან მომდინარეობს მაშინ, როდესაც თითო-თითო სურის შემცველი სამივე სამარხი (ხღუდერში, ცხინვალში, ბორში) შემთხვევითაა აღმოჩენილი და სამარხეული კომპლექსები ძალზე ნაკლული სახითაა მოღწეული (ამის გამო ძნელი დასადგენია, იქ მხოლოდ თითო-თითო სურა იყო, თუ უფრო მეტი).

სამარხებში სურების წყვილად აღმოჩენის ახსნის საინტერესო ცდა მოცემულია კ. მაჩაბლის ნაშრომში[50], ოღონდ უნდა შეინიშნოს, რომ ბოსკორეალეს, ბერტუვილის, ჰილდესჰეიმის და სხვა განძების წყვილი ჭურჭლების მაგალითი ელინისტურ-რომაული და ძველქართული რიტუალების ერთგვაროვნების დასამტკიცებლად ნაკლებად შეიძლება გამოგვადგეს.

ვერცხლის ჭურჭელი და მათ შორის სურები რომ რომაულ სამყაროში და სასანურ ირანში რიტუალური პროცესების დროს ფართოდ იყო გამოყენებული, ეს საყოველთაოდაა ცნობილი[51]. ამჟამად თითქმის შეუძლებელია ერთიმეორისაგან გავარჩიოთ პრაქტიკული და რიტუალური დანიშნულების ვერცხლის ჭურჭლები, მაგრამ არმაზისხევის ტიპის სამარხებში წყვილი სურების აღმოჩენის ფაქტი მხოლოდ დასავლური ან აღმოსავლური რიტუალების გავლენით არ უნდა აიხსნას. შინაგანი ეკონომიკური, სოციალური და ეთნო-კულტურული განვითარების წყალობით, საქართველოში უძველესი დროიდან შემუშავდა უაღრესად თავისებური სულიერი კულტურა, რომელშიაც დაკრძალვის რიტუალს საგანგებო ადგილი ეკავა. ამ ფონზე ჩვენ, შეუძლებელია, არ გავიხსენოთ საკმაოდ ძველი ტრადიცია ზოგიერთ სამარხში თიხის წყვილი ჭურჭლის ჩატანებისა. მსგავსი შემთხვევები არაერთხელაა ფიქსირებული ქუშანაანთგორის მდიდრული სამაროვნის სინქრონულ სხვა სამაროვანზედაც[52].

ამასთანავე, ცნობილია ისიც, რომ დასავლური სამყაროს სამარხეულ კომპლექსებში ვერცხლის ჭურჭელი ჩნდება მხოლოდ რომისა და იტალიის მიღმა და ისიც განსაზღვრულ რეგიონში[53] მაშინ, როდესაც საქართველოს მდიდრული სამაროვნებისათვის ვერცხლის ნაკეთობა და ჭურჭელი (მათ შორის წყვილი სურა) თითქმის სავალდებულო ატრიბუტადაა ქცეული.

არ არის გამორიცხული, რომ დასავლურ სამყაროს ყოველდღიურ ყოფა-

---

[50] К. Г. Мачабели, Позднеантичная торевтика Грузии, გვ. 78.

[51] R. von Schaewen, Römische Opfergeräte, ihre verwendung in Kultus und in der Kunst. Berlin, 1940, გვ. 15 და შემდეგი. მითითებულია კ. მაჩაბლის ნაშრომის მიხედვით, გვ. 78.

[52] წყვილ-წყვილი თიხის ჭურჭელი (სურა) აღმოჩენილია ზღუდერის სამაროვანზე გათხრილ რიგით ორ სამარხში (ვ. ნ ე მ ს ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 53), რაც იმას მიუთითებს, რომ თიხის ჭურჭელი ადვილად ხელმისაწვდომი იყო მოსახლეობის ფართო ფენებისათვის. თუმც, არაგვისპირის სამაროვანზე წყვილი ერთნაირი სურა აღმოჩნდა № 9 მდიდრულ სამარხში (იხ. Полевые археологические исследования в 1974 г. Тб., 1976, ტაბ. LI, 1).

[53] Д. Е. S t r o n g, Greck and Roman Silver Plate. London, 1966, გვ. 123—27; K. M a y e w s k u, Importy Rzymsku w Polsce, Warsawa, 1960, ტაბ. XXXIV, XIX. ორივე წყარო მითითებულია კ. მაჩაბლის ნაშრომის მიხედვით.

ცხოვრებასა თუ რიტუალურ პროცედურაში წყვილი ჭურჭლების გამოყენება მახლობელი აღმოსავლეთიდან ჰქონდეს ათვისებული[54].

ვ ე რ ც ხ ლ ი ს პ ი ნ ა კ ი. ქუშანაანთგორის სამაროვნის უმნიშვნელოვანეს მონაპოვართა შორის ვერცხლის პინაკმა აღმოჩენისთანავე მიიქცია ყურადღება არა მარტო დახვეწილი ფორმითა და მდიდრული დეკორით, არამედ ფსკერზე მოთავსებული გამოსახულებით[55].

როგორც სამარხისა და სამარხეული კომპლექსის აღწერილობიდან ჩანდა, ვერცხლის პინაკი საკმაოდ რთულ და მხატვრული თვალსაზრისით მდიდრულად შემკულ ნაკეთობას წარმოადგენს (ტაბ. 47, სურ. 1, 2).

ნ უ შ ი ს ე ბ რ ი (ზოგჯერ მათ უწოდებდნენ კოვზისებრს ან კვერცხისებრს) ღრმულები დიდებიც და მცირეც სხვა დანარჩენ წვრილ ბურცობებთან ერთად ჭურჭლის ორივე ზედაპირზე ქმნის შუქ-ჩრდილთა ძალზე საინტერესო შეხამებას, მაგრამ ჭურჭლის კალთების ასეთი გადატვირთულობის პირობებშიაც კი სრულიად აშკარად ჩანს, რომ მთავარი აქცენტი პინაკის ფსკერზე გამოყვანილ მედალიონზეა გადატანილი, რომლის შუაშიც ზემოხსენებული ნიშანია გამოყვანილი. მედალიონს გარს ერტყმის ორი წრეხაზი, რომელთა შუაშიც ჩასმულია წნული ორნამენტი (ტაბ. 47. 1, 2).

საქართველოში ცნობილი გვიანარმაზული ხანის ვერცხლის ჭურჭლებს შორის ჩვენს პინაკს პირდაპირ პარალელი არ მოეძებნება. თუ შემკულობის საერთო ხასიათით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ რამდენადმე მეტნაკლებ სიახლოვეს ერწოს პინაკთან ამჟღავნებს მრგვალი ბურცობების კოკბებით შემკული პინაკი არმაზისხევის № 2 სამარხიდან, რომლის მედალიონზე ირანელი დიდკაცის პორტრეტია გამოსახული[56]. აღნიშნული ნივთი არმაზისხევის № 2 სამარხთან ერთად დათარიღებულია III ს. მეორე ნახევრით[57].

ხელოვნებისმცოდნე კ. მაჩაბელს ერწოს ორნამენტული პინაკი შეტანილი აქვს სასანურ-ტორევტიკულ ნაწარმთა ჯგუფში და იგი, ბუნებრივია, ჩვენში ირანული სამყაროდან მოხვედრილად მიაჩნია[58].

ჩვენი ვარაუდით, ერწოს პინაკი თავისი ორნამენტული შემკულობით, მართლაც, განეკუთვნება აღმოსავლურ ნაწარმთა წრეს თუნდაც იმიტომ, რომ ნუშისებრი, თუ კვერცხისებრი ნაჭდევებით შემკობის ხერხი მახლობელ აღმოსავლეთში უძველესი დროიდანაა ცნობილი[59], მაგრამ ერწოს პინაკის ასე ხელაღებით აღმოსავლურ, ამ შემთხვევაში ირანულ ნაწარმად მიჩნევა ჩვენ არ მიგვაჩნია მთლად მართებულად.

---

[54] Я. П. С м и р н о в, Восточное серебро, СПб., 1909, ტაბ. XXXVIII, 67. აღნიშნული სიუჟეტი დიდხანს შემორჩა ირანის ხელოვნებას. მაგ., იხ. В. В. К и н ж а л о в, В. Г. Л у к о н и н, Памятники культуры Сасанидского Ирана, ტაბ. 17.

[55] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ერწოს ველი ანტიკურ ხანაში. „ძეგლის მეგობარი", № 27—28, გვ. 53. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ. 1973, გვ. 64; К. М а ч а б е л и, დასახ. ნაშრ., გვ. 121.

[56] მცხეთა, 1, გვ. 45, ტაბ. XLVIII-XLIX, XLVII.

[57] იქვე, გვ. 46.

[58] К. М а ч а б е л и, დასახ. ნაშრ., გვ. 121—128.

[59] E. H e r z f e l d, Iran in the Ancient East. London-New-York, 1941; Heinz L u s c h a y, Die phiale Bleioherode am Harz, 1939, გვ. 31-37. მახლობელი აღმოსავლეთიდან ბერძნულ სამყაროშიც შეუღწევია ამ მოტივს, რაზედაც მიუთითებს ნუშისებრი ნაჭდევებით შემკული თეფშების აღმოჩენა ძვ. წ. VII—VI საუკუნეთა სამაროვნებზე, კუნძულ როდოსზე. იხ. L u c i a n o L a u r e n z i, Necropoli Ialisie. Clara Rhodos, VIII, 1936. გვ. 179—180. სურ. 168.

საქმე ისაა, რომ ნუშისებრი თუ კვერცხისებრი ორნამენტით შემკული ჭურჭელი კავკასიასა და საქართველოშიცაა ცნობილი დაახლოებით იმავე დროიდან, როდესაც ვარაუდობენ ამ მოტივის მახლობელი აღმოსავლეთიდან აქემენიდურ ხელოვნებაში შესვლასა და დამკვიდრებას[60]. რა თქმა უნდა, აქემენიდურმა სამყარომ აიტაცა რა ნუშისებრი მოტივით შემკობის ხერხი და აქცია რა აქემენდური ხელოვნების ორგანულ ნაწილად, თავისი ძლიერების ხანაში შეუწყო ხელი ამ მოტივის კიდევ უფრო გავრცელებას მეზობელ ქვეყანაში. მაგრამ სრულიადაც არ არის სავალდებულო, რომ ასურულ ხელოვნებაში ფართოდ გამოყენებული ეს მოტივი ჩვენში მაინც და მაინც აქემენიდური ირანის გავლით შემოსულიყო[61].

როგორც ჩანს, აქემენიდურ ხანაში გავრცელებულმა და შეთვისებულმა ნუშისებრმა მოტივმა გარკვეულად თავი სასანურ ხანაშიც შემოინახა, თუმც განიცადა სავსებით კანონზომიერი ევოლუციაც[62].

ნუშისებრი მოტივის ხელახალ აღორძინებაში სასანურ ირანს რომ უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვოდა, ეს საკმაოდ კარგადაა ცნობილი, მაგრამ ქუშანაანთგორის № 1 სამარხის პინაკი, ჩვენი ვარაუდით, რამდენადმე არქაული ნაკეთობის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე იგი თანმხლები ინვენტარითაა დათარიღებული. ასეთი შემთხვევები არქეოლოგიურ პრაქტიკაში არა ერთია ცნობილი, როდესაც ესა თუ ის საყურადღებო საგანი დიდი ხნის მანძილზე ინარჩუნებს „სიცოცხლეს“. ამავე დროს არც ანტიკვარული საგნებით გატაცება უნდა ყოფილიყო უცხო გვიანანტიკური ხანის საზოგადოებისათვის, ამიტომაც არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ ერწოს პინაკი რამდენადმე წინ უსწრებს საკუთრივ სასანურ ხანას. ამჯერად არ გაგვაჩნია სათანადო საბუთი ამ ჩვენი ვარაუდის შესამაგრებლად, მაგრამ ერთი მაინც შეგვიძლია შევნიშნოთ: ნუშისებრი ნაჭდევები თავისი სიღრმით, რელიეფურობით, ნაჭდევთა რაოდენობითა[63] (10 ნაჭდევი) და განლაგებით უფრო ადრეული ჭურჭლებისაკენ იხრება. რა თქმა უნდა, ერწოს პინაკის კალთების ზომაზე მეტად გადატვირთვა მხატვრული დეკორით ამ ჭურჭელს ძალზე აშორებს აქემენიდური ხანის ნიმუშებისაგან, რომელთა ერთადერთ სამკაულს დიდრონი ნუშისებრი ბურცობები (კოკბები) წარმოადგენდა, მაგრამ მაინც ამ ჭურჭლის სამკაულის ზოგიერთი თავისებურება და ჭურჭლის საერთო იერი დიდ საცდურს ქმნის, რომ იგი სასანური ხანის წინამორბედ ნაწარმად მივიჩნიოთ. მომავალი კვლევა-ძიება, ვფიქრობთ, უფრო მეტ სიცხადეს შეიტანს ჩვენს ამ უაღრესად წინასწარულ ვარაუდში.

ეჭვგარეშეა, რომ ირანული აღმოსავლეთის საერთო გავლენა ერწოს პინაკს ერთობ თვალნათლივ ეტყობა, მაგრამ ამ ჭურჭელს გააჩნია რიგი ნიშნებისა, რომლებიც იქცევენ გარკვეულ ყურადღებას. ამათ შორის პირველ რიგში

---

[60] H. Luschey, დასახ. ნაშრ. გვ. 50; ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან. თბ., 1964, გვ. 72—74. ტაბ. XII და XIII; ლ. წითლანაძე, ხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1976. გვ. 17; Я. И. Смирнов, Ахалгорийский клад, Тб., 1934, ტაბ. VIII, IX, X.

[61] აღსანიშნავია, რომ ახალგორის № 63 ფიალას ლუშაი მიაკუთვნებს ურთიერთმოპირდაპირე ბურცობებიანი პინაკების ტიპს და მას მიიჩნევს ერთ-ერთ უძველესად გვიანასურულის შემდგომდროინდელ პინაკად. იხ. ლუშაი, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

[62] A. Sarvey of Persian Art. by A. U. Pope, Oxford, I, 1938—1939.

[63] აქემენიდურ ხანაში 8—10 ბურცობიანი ანუ ნუშისებრნაჭდევიანი ჭურჭლები შედარებით უფრო ფართოდ იყო გავრცელებული. იხ. ი. გაგოშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 73.

შევეხებით პინაკის ქუსლს, რომელიც რამდენადმე შემაღლებულია და ფუძეში გაგანიერებული. ასეთი ქუსლები დამახასიათებელია არმაზისხევის[64], ზღუდერის[65], ჟინვალისა[66] და სხვა ჭურჭლებისათვის, რომელთაც აქვთ ტალღური ორნამენტით შემკული კალთები და ფსკერზე ცხენის თუ სხვა ცხოველთა გამოსახულებები. სამეცნიერო ლიტერატურაში თითქოს დომინირებს ის აზრი, რომ ჭურჭელთა აღნიშნული ჯგუფი თავისი ორიგინალობითა და გავრცელების ლოკალურობით ადგილობრივ-იბერიულ ნაწარმადაა მისაჩნევი, რადგანაც ნუშისებრი ორნამენტით შემკული ერწოს პინაკი რამდენადმე ადრეულად მიგვაჩნია, ვიდრე ტალღური ორნამენტით შემკული ჭურჭლები. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მსგავსი ქუსლები ჩვენში საკმაოდ ადრე გაჩენილა (ყოველ შემთხვევაში უშუალოდ წინასასანურ ხანაში მაინც). თუ შევადარებთ ერწოს პინაკისა და სასანელი დიდებულის გამოსახულებიან არმაზისხევის პინაკის ქუსლებს, თვალნათლივ გამოჩნდება სხვაობა, მათ შორის (არმაზისხევის № 2 სამარხის ჭურჭლის ქუსლი გაცილებით უფრო დაბალია).

ერწოს პინაკზე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მედალიონის ჩარჩო ჭურჭლის ფსკერზე, რომელიც შესრულებულია წნული ორნამენტით. მსგავსი მოტივით მოჩარჩოებული ფსკერი არ მოეპოვება არც სასანურ და არც დასავლურ (რომაულ) ვერცხლის ჭურჭლებს. წნული ორნამენტი ჩვენში უძველესი დროიდანაა ცნობილი და ახ. წ. პირველ საუკუნეებში ეს მოტივი ფართოდ გამოიყენებოდა თიხის ჭურჭლების შემკულობაში[67]. ამასთანავე წნული ორნამენტი იმდენად ორგანული და მახლობელი იყო ქართული სინამდვილისათვის, რომ იგი შეიჭრა ქრისტიანულ ხელოვნებაშიც და ლითონში, ქვასა თუ ხეში ჰპოვა განსახიერება.

გარკვეულ ყურადღებას იქცევს ჭურჭლის ფორმაც. ერწოს ორნამენტული პინაკი განეკუთვნება შედარებით უფრო ღრმა (მაღალ) ჭურჭლების ჯგუფს, რომლებიც უფრო ადგილობრივი (იბერიული) წრისთვისაა დამახასიათებელი მაშინ, როდესაც სასანური პინაკების კალთები საგრძნობი სიდაბლითა და უფრო მეტად გადაშლილი პირით გამოირჩევა (მაგ., იგივე ჭურჭელი სასანელი დიდებულის გამოსახულებით არმაზისხევის № 2 სამარხიდან).

რა თქმა უნდა, ჩვენთვის ნათელია, რომ აქ ჩამოთვლილი ნიშნები არასაკმარისია იმისათვის, რომ მაინც და მაინც ამ ჭურჭლის ადგილობრიობა ვამტკიცოთ, მაგრამ, ვფიქრობთ, იგი მაინც ანგარიშგასაწევია. ამიტომაც ჩვენ უფრო იმ ვარაუდისაკენ ვიხრებით, რომ ერწოს ნუშისებრი ბურცობებით შემკული პინაკი მივიჩნიოთ ირანული ტორევტიკის ძლიერი გავლენით შექმნილ ადგილობრივ ნაწარმად.

ახლა რაც შეეხება პინაკის ფსკერზე მედალიონის ცენტრში გამოსახულ ნიშანს, რომელიც აგრეთვე საგანგებო ინტერესს აღძრავს (ტაბ. 47, სურ. 1). დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ზუსტად ასეთი ნიშანი ჩვენ არ გვეგულება არც დასავლური და არც სასანური ხელოვნების არც ერთ ნიმუშზე, იგი ორიგინალურია და ჯერ-ჯერობით ერთადერთი. ჩვენ სავსებით ვუჭერთ

---

[64] მცხეთა, I, ტაბ. LVI, LVII

[65] გ. ნ ე მ ს ა ძ ე, დასახ. ნაშრ., ტაბ. III, სურ. 2.

[66] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია 1971 წელს. „მაცნე“ ისტორიის სერია, თბ., 1971, 4. გვ. 167, ტაბ. 1, 3.

[67] განსაკუთრებით უხვად წნული რელიეფი გამოყენებულია ქვევრებზე, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული ახ. წ. პირველ ათასწლეულში.

მხარს კ. მაჩაბელს, როდესაც იგი ერწოს პინაკის ფსკერზე მოთავსებულ გამოსახულებაში სამკაულს კი არ ხედავს, არამედ რაღაც საგანგებო ნიშანს, რომელიც მთელი კომპოზიციის დომინანტია[68], მაგრამ მთელი სირთულე ის არის, რომ სრულიად გაურკვეველი რჩება ამ ნიშნის შინაარსი.

სასანურ ხელოვნებაში, განსაკუთრებით გლიპტიკურ და ნუმიზმატიკურ ძეგლებში, დიდიხანია შემჩნეულია გარკვეული ნიშნების ჯგუფი, რომელიც კარგახანია მოქცეულია მეცნიერული ინტერესების სფეროში[69] (ე. ჰერცფელდი, ე. პორადა, ფ. აკერმანი, ვ. ლუკონინი, რ. ფრაი, გ. პუგაჩენკოვა, კ. მაჩაბელი და სხვები). ნიშნების აღნიშნული ჯგუფი, მართლაც, გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს ერწოს ნიშანთან, მაგრამ აქაც თავს იჩენს სულ მცირე ორი სირთულე: ერთი ის, რომ სასანური ხელოვნების ნიმუშთაგან ასეთი ნიშნები



სურ. 12. ირანული ხელოვნების ნიმუშებზე და მონეტებზე შემონახული ნიშნების კრებითი სურათი:
1—4. გამოსახულებანი სანანურ-ქუშანურ და ქუშანურ-სანანურ მონეტებზე ვ. ლუკონინის მიხედვით. 5. გამოსახულება „ირანის ანბარკაბატ ვახუდენა შახპუხრის“ თავსაბურავზე, (სანანური საბეჭდავი). რ. ფრაის მიხედვით. სურ. 52. 6. გვიანსასანური მონოგრამა. რ. ფრაის მიხედვით, სურ. 113. 7. გამოსახულება ურბნისში ნაპოვნ სასანურ საბეჭდავზე, ქ. ჯავახიშვილის მიხედვით. ნახ. 139.

ყველაზე ცოტა სწორედ ჭურჭელზეა შემონახული, მეორეც — სასანურ, გლიპტიკურ თუ ნუმიზმატიკურ ნიმუშებზე ასე უხვად შემონახული ნიშნები, რომელთაც ცალკეულ ნაწილებში, მართლაც, აქვთ გარკვეული მსგავსება ერწოს ნიშანთან, აუხსნელია შინაარსობრივად, ან სრულიად განსხვავებული მოსაზ-

[68] К. Мачабели, დასახ. ნაშრ. გვ. 124.

[69] В. Луконин, Культура сасанидского Ирана, ტაბ. XXI; Р. Фрай, Наследие Ирана, М., 1972. სურ. 52; Herzford E., Paikuli, The monument and inscription of the Early History of Sasanian Empire, I, Berlin, 1924, გვ.. 78; A. Christensen L, Iran sous les Sassanides, Copenhague, 1934, Ph. Ackerman, SPA, I, გვ. 805; Г. А. Пугаченкова, Материалы по восточной глиптике, Труды среднеазиатского Гос. ун.-та, вып. CXI, Археология Средней Азии, Ташкент, 1957, გვ. 148, E. Porada, Iran ancien, Paris, 1966, გვ. 225 და სხვ.

























1



2



1



2



135



134



137



133

0 1 2 3



128



127



129



130



131





157



156



155



153



154



158

1





150







149

2

რებებია გამოთქმული სხვადასხვა ავტორებთან. მაგ., ჰერცფელდს ეს ნიშნები მიაჩნია ფალაურის საფუძველზე შექმნილ მონოგრამებად, სადაც ამა თუ იმ ნივთის მფლობელად გვარი ან სახელია გადმოცემული; ა. ქრისტენსენი ამ ნიშნებში ხედავს სამხედრო ჩინის აღმნიშვნელ გამოსახულებებს; ფ. აკერმანი უწოდებს ასტრალურ გამოსახულებებს; ე. პორადას მოსაზრებით კი ეს ნიშნები ძალიან ჰგავს მომთაბარე ტომების საგვარეულო ნიშნებს და ა. შ. (სურ. 12).

აქვე უნდა შეინიშნოს, რომ ნიშნები, რომელთაც თითქოს ემსგავსება ერწოს პინაკის ფსკერზე მოცემული გამოსახულება, უპირატესად შემონახულია ქუშანურ-სასანურ მონეტებზე, რომლებიც განეკუთვნებიან IV ს. მეორე ნახევარს და ბოლოს[70]. ასე რომ, აღნიშნული ნიშნები გაცილებით გვიანდელია ერწოს პინაკთან და შესაბამისად მასზე გამოსახულ ნიშანთან შედარებით. მიუხედავად გარკვეული შესადარებელი მასალის არსებობისა, ერწოს პინაკზე მოცემული გამოსახულების შინაარსი ჯერ-ჯერობით ამოუცნობია. იგი ცალკეული ნაწილებით (კერძოდ, ქვედა ნახევრით) გარკვეულად ემსგავსება ირანულ სამყაროში ცნობილ ნიშნებს, მაგრამ ისეთ ვითარებაში, როდესაც ჩვენ არ გაგვაჩნია უფრო ახლო პარალელები და როდესაც ერწოს პინაკის ნიშანი მთლიანობაში სრულიად განყენებულად გამოიყურება, მათი მაინცდამაინც ირანული წარმოშობის ნიშნებად მიჩნევა არ მიგვაჩნია დასაბუთებულად. ასეთ ვითარებაში უფრო იმ აზრისა ვართ, რომ აღნიშნული ნიშანი ან მონოგრამად მივიჩნიოთ, ან კიდევ საგვარეულო ვერბად იმ ოჯახისა, რომელსაც ეკუთვნოდა ვერცხლის აღნიშნული ჭურჭელი[70ა].



სურ. 13. კათალიკოს დომენტი III-ის საბეჭდავის ანაბეჭდი. კათალიკოსის კვერთხის გამოსახულებით (გვირგვინის მარცხნივ). ს. ბარნაველის მიხედვით.

ადრეული ფეოდალიზაციის გზაზე შემდგარი საქართველოს ცალკეული არისტოკრატიული ოჯახები, რომლებიც განასახიერებენ საქართველოს შემადგენელ ცალკეულ „ქვეყნებს“, გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ ფლობდნენ საკუთარ ინსიგნიებს და გარკვეულ ნიშნებს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა მისი მფლობელის გამოცნობა. ამდენად, ერწოში აღმოჩენილი ზოგადად ირანული იერის მატარებელი ვერ-

---

[70] В. Г. Луконин. Культура сасанидского Ирана. გვ. 139—144, ტაბ. XXI

[70ა] საყურადღებოა, რომ ერწოს მონოგრამის ქვედა ნაწილი მოგვაგონებს კათალიკოს დომენტი III-ის კვერთხის თავს, რომელიც გამოსახულია მისსავე ბეჭედზე (სურ. 13).

ცხლის პინაკი ჩვენ მაინც ადგილობრივი წრის ნაწარმად[71] და ადგილობრივი წარჩინებული ოჯახის საგვარეულო საკუთრებად მიგვაჩნია.

ტანისამოსთან დაკავშირებული ვერცხლის საგნები. ქუშანაანთგორის II სამაროვანზე როგორც მდიდრულ, ასევე ღარიბულ სამარხებში საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა ტანისამოსთან დაკავშირებული საგნები, რომელთა შორის ყველაზე უფრო საყურადღებოა ჭამრის ნაწილები (ტაბ. 28, ტაბ. 29, ტაბ. 32).

მდიდრულ სამარხებში ჭამრის ნაწილები უპირატესად ვერცხლისაგანაა ნაკეთები, თუმცა ზუსტად ისეთივე აბზინდები, რგოლები, თუ ჭამრის სხვა ნაწილები ბრინჯაოსაგანაცაა დამზადებული.

ვერცხლის აბზინდები და ჭამრის სხვა ნაწილები უხვად აღმოჩნდა № 3 სამარხში. მათ შორის გამოიყოფა მოზრდილი აბზინდა ნახევარწრიული რგოლით, იღლიაამოღებული ორმაგი ფირფიტით, რომელშიც ღვედის თავი მაგრდებოდა, და იმავე იღლიაში ჩასმული ენით, რომლის წვერიც რკალისკენაა მიმართული (ტაბ. 28, სურ. 1). ღვედის დასაჭერი ორმაგი ფირფიტის ზედა მხარე თითქმის წრიულია, ხოლო გადანაკეცის ქვედა მხარე შედარებით მომცროა. დამჭერ ორმაგ ფირფიტაზე შემორჩენილია სამი მანჭვალი, რომელიც სამკუთხადაა განლაგებული.

მსგავსი აბზინდა, ოღონდ ერთი დამჭერი მანჭვლით, აღმოჩნდა ახალი ჟინვალის გვიანარმაზული ხანის სამაროვანზე, № 5 სამარხში, რომლის ხნოვანება განსაზღვრულია III ს. მეორე ნახევრით. საყურადღებოა, რომ ამავე სამარხში დადასტურებულია ჭამრის ზუსტად ისეთივე ნაწილები, როგორიც გვაქვს ქუშანაანთგორის № 3 და № 4 სამარხებიდან[72].

ქუშანაანთგორის მესამე სამარხში, გარდა დიდი აბზინდისა, აღმოჩნდა ვერცხლისაგან დამზადებული სამი ენიანი აბზინდა, აგრეთვე ნახევარწრიული რკალებით, ამათგან ორი ყველაზე უფრო პატარა, შესაძლებელია ფეხსაცმელთან იყო დაკავშირებული. შედარებით დიდს, რომელსაც აქვს წაგრძელებული სწორკუთხა საღვედე, თან ახლავს ჭამრის სხვა ნაწილებიც (ტაბ. 29, სურ. 1). ამ ჭამრის რეკონსტრუქცია (ნახატში) მოცემულია მე-14 სურათზე.

ენიანი აბზინდები რომაულ ხანაში ძალზე ფართოდ იყო გავრცელებული და ამიტომაც ხშირია მათი აღმოჩენის შემთხვევები[73]. მსგავსი მოყვანილობისა

---

[71] ამ თვალსაზრისით გარკვეული დახმარების გაწევა შეუძლია ჭურჭლის დამზადების ტექნოლოგიურ თავისებურებათა გარკვევასაც. ჩვენ ეს ადრევე ვცადეთ (იხ. რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ი. ა ნ დ რ ი ა შ ვ ი ლ ი, ვერცხლის პინაკი ერწოდან, «საბჭოთა ხელოვნება», 1972, გვ. 72—75) და მთავარი აქცენტი თეგური ჭედვის საკითხზე გავამახვილეთ. რა თქმა უნდა ჭედური ხელოვნების ნიმუშთა ტექნოლოგიური ციკლი, სრულიად სხვადასხვა საწარმოო კერებისათვის შეიძლება საერთო იყოს (და ჩვენ შორსა ვართ იმ მოსაზრებიდან, რომ მხოლოდ დამზადების ტექნიკის მიხედვით განისაზღვროს ამა თუ იმ ნაწარმოების წარმომავლობის საკითხი), მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ყოველ საწარმოო კერას თუ ცენტრს შეუძლებელია არ ახასიათებდეს რაღაც თავისი განსაკუთრებული.

ერწოს პინაკის ტექნოლოგიას აქ არ შევეხებით, რადგანაც ჩვენი მოსაზრება ამის თაობაზე უკვე გამოქვეყნებულია.

[72] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია 1971 წელს. «მაცნე», 1971 წ. № 4, გვ. 168—170, ტაბ. II, 2; ეს სამარხი თავისი ინვენტარით განეკუთვნება არმაზისხევის მდიდრული ნეკროპოლის სამარხთა რიგს. აღმოჩენელია ვერცხლის პინაკი, სარეცელის ფეხთა გარსაკრავები და სხვა.

[73] Т. Н. К и н и п о в и ч, Танаис, М., Л., 1949, გვ. 61. უფრო გვიან ე. წ. «სარმატული» ტიპის სამარხებში დაახლოებით ამგვარი აბზინდები უხვადაა წარმოდგენილი. ამასთან დაკავშირებით იხ. К. С м и р н о в, Вопросы изучения сарматских племен и их культуры в советской

და მეტნაკლები სიდიდის აბზინდები მრავლადაა აღმოჩენილი კლდეეთში № 3 და № 4 სამარხებში და, შეიძლება ითქვას, ზოგიერთ ცალებს შორის გასაოცარი მსგავსებაა[74], რაც იქნებ ამ ნაკეთობათა (და იქნებ სამაროვანთა?) ქრონოლოგიურ სიახლოვეზედაც მიუთითებდეს.



სურ. 14. ვერცხლის ჭამრის აღდგენის ცდა, სამარხი № 3.

ასევე ცნობილია ერწოულის მსგავსი აბზინდები, ოღონდ ოქროსი, მცხეთაშიც[75] და, როგორც გამთხრელები ვარაუდობენ, იგი დიადემის შესაკრავი ნაწილები უნდა იყოს[76].

გარდა ენიანი აბზინდებისა, ქუშანაანთგორის მასალებში გვაქვს უენო აბზინდებიც (ორმაგ ფირფიტაზე გამოდებული რგოლები), რომლებიც აგრეთვე ჭამართან ჩანან დაკავშირებული და, შესაძლოა, საბრძოლო იარაღების ჩამოსაკიდებლად იყო გამოყენებული.

ვერცხლის აბზინდები და ჭამართან დაკავშირებული ნაწილები, როგორც ჩანს, ფართოდ იყო ხმარებაში მთელ გვიანარმაზულ ხანაში. მათი ადგილობრივი წარმოება ეჭვს არ უნდა იწვევდეს თუნდაც იმიტომ, რომ ზუსტად ისეთივე მოყვანილობის აბზინდები და ღვედების დამჭერი ორმაგი ფირფიტები უკეთებიათ ბრინჯაოსაგანაც (სამარხი № 3 და № 4, ტაბ. 28 და 29). ახ. წ. პირველ საუკუნეებში, ვერცხლით გატაცების ხანში როგორც მცხეთის, ასევე პროვინციული არისტოკრატიის წარმომადგენლები, როგორც ჩანს, ტანისამოსთან დაკავშირებულ საგნებსაც უპირატესად ვერცხლისაგან ამზადებდნენ. ვერცხლის დიდი აბზინდა (ტაბ. 28, სურ. 1) თავისი დახვეწილი ფორმებით, შესრულების მაღალი კონტურით და თვით ლითონის მაღალი ხარისხით სანიმუშო

археологии. Вопросы скифо-сарматской археологии, М., 1953; Т. М и н а е в а. Археологические памятники на р. Гиляч в верховьях Кубани. МИА, № 23, გვ. 196. სურ. 12—2. ამ ნაშრომში მოცემულია შედარებით გვიანდელი აბზინდები. Заметки Имп. Русского Археологического общества, Новая серия, т. XII, 1961.

[74] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, კლდეეთის სამაროვანი, გვ. 134, 140, 153. ტაბ. X; რ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, გვიანანტიკური დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, მსკა II, თბ., 1959.

[75] მცხეთა I. ტაბ. XXXIX, 2; გარდა ოქროს აბზინდებისა არმაზისხევის სამარხში აღმოჩნდა ამავე ტიპის ვერცხლის აბზინდებიც, ტაბ. X, 9—11.

[76] თუ ქუშანაანთგორის № 3 სამარხის მაგალითით ვიხელმძღვანელებთ შესაძლოა მცხეთის ოქროს აბზინდები აგრეთვე ჭამრის იყოს, რაზედაც უნდა მიუთითებდეს ორმაგად მოკეცილი ფირფიტები, რომლებიც ღერძით უნდა ყოფილიყვნენ ურთიერთთან დაკავშირებული (ტაბ. XXXIX, სურ. 2). ერწოში აღმოჩენილი ვერცხლის ასეთი ნაწილები ჭამრის ღვედების ურთიერთგადასაბმელ საშუალებად მივიჩნიეთ.

ნაკეთობას წარმოადგენს და მისი გამკეთებელი ხელოსნის მაღალ ოსტატობასაც გვიჩვენებს.

ვ ე რ ც ხ ლ ი ს ს ა მ კ ა უ ლ ე ბ ი. შედარებით მცირერიცხოვანია. სულ წარმოდგენილია ერთი წყვილი „წიწიბოსებრი“ საყურე (სამარხი № 4 ა, ფერადი ტაბ. V, ინვ. № 127), ორი ბეჭედი (რომელთაგან ერთი დიონისეს გამოსახულებით № 3 სამარხში აღმოჩნდა, ხოლო მეორე — ფარაკმომტვრეული — № 4 სამარხში) და ერთი ხვია, გველის გამოსახულებით.

„წიწიბოსებრი“ საყურეები გვიანანტიკურ ხანაში საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული. მცხეთაში ამ ტიპის სამი წყვილი საყურედან ორი წყვილი ოქროსია. ამათგან ერთი წყვილი აღმოჩენილია არმაზისხევის მდიდრული სამაროვნის № 3 სამარხში, რომელიც თარიღდება III ს. მეორე ნახევრით[77], ხოლო ერთი წყვილი — № 9 სამარხში, რომელიც დათარიღებულია II ს. შუა ხანებით[78]. მსგავსი საყურეები მიკვლეულია სამთავროს სამაროვანზეც და ქრონოლოგიურად II—III სს. ეკუთვნის.

„წიწიბოსებრი“ საყურეები მოპოვებულია ახალი ჟინვალის III ს. დათარიღებულ სამარხებშიაც[79], სადაც დადასტურდა როგორც ოქროს, ასევე ვერცხლისა და ბრინჯაოს წყვილები. ეს ორიგინალური სამკაული, როგორც ჩანს, დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოში მოსახლეობის ყველა ფენაში და ლითონის ღირსება ჭონებრივ შესაძლებლობებზეც იყო დამოკიდებული.

რაც შეეხება № 3 სამარხში მოპოვებულ ვ ე რ ც ხ ლ ი ს ბ ე ჭ დ ე ბ ს (ტაბ. 28, სურ. 1, ტაბ. 31, სურ. 1 და 3; ფერადი ტაბ. IV, სურ. 1), თავისი მოყვანილობითა და დამზადების ტექნიკით ძლიერ ემსგავსება III ს. მცხეთაში, ახალ ჟინვალში, ჟინვალსა და სხვა პუნქტებში მოპოვებულ ფუყერკალიან ბეჭდებს, რომლებიც აგრეთვე III ს. მეორე ნახევრითაა დათარიღებული[80].

მართალია, მცხეთაში ერისთავთა რანგის სამარხებში ვერცხლის ზუსტად ასეთი ბეჭდები არ აღმოჩენილა, მაგრამ ოქროს ბეჭდები როგორც მოყვანილობით, ასევე ჭრილა ქვებით, ძლიერ სიახლოვეს ამჟღავნებს ერწოს ბეჭდებთან[81].

ვ ე რ ც ხ ლ ი ს ხ ვ ი ა გ ვ ე ლ ი ს გ ა მ ო ს ა ხ უ ლ ე ბ ი თ. იგი უფრო საყურედ შეიძლება მივიჩნიოთ. მსგავსი ნაკეთობა ჩვენთვის უცნობია. შესრულებულია საკმაოდ რეალისტურად. გველის კულტი საქართველოში უძველესი დროიდანვე იყო გავრცელებული, ამიტომაც ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელზე მათი გამოსახულებები ხშირია[82]. ალბათ, ამ კულტის გვიანდელი გამოძახილი

---

[77] მცხეთა I. გვ. 49, ტაბ. LII, 4 და LIII. 2 a, b, სურ. 137—5, 7...

[78] იქვე, გვ. 99, ტაბ LXXXVII, 2. უნდა შეინიშნოს რომ № 9 სამარხის დათარიღება II საუკუნის შუა ხანებით გარკვეულ ეჭვს აღძრავს. ბოლოებგადაგრეხილი სამაჯურები, თიხის ორყურა მოჭიქული ჭურჭელი და თვით ეს „წიწიბოსებრი“ საყურეები № 9 სამარხს უფრო III საუკუნის ბოლოსაკენ ეწევა და იგი არმაზისხევის № 3 სამარხის სინქრონული უნდა იყოს. აღსანიშნავია მსგავსი საყურეები, ოღონდ ბრინჯაოსი, აღმოჩენილი არმაზისხევის № 3 კრამიტსამარხში, რომელიც აგრეთვე ახ. წ. III საუკუნით თარიღდება.

[79] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია 1971 წელს. ტაბ. I, 1. ახალი ჟინვალის „წიწიბოსებრ“ ოქროს საყურეებს წვერზე აქვს მცირე შვერილი. ერთზე ვარდულია შერჩენილი.

[80] იქვე, ტაბ. I, 1. გასაოცარი მსგავსებაა ერწოსა და ახალი ჟინვალის ბეჭდებს შორის, რაც შესაძლოა, მათი ერთი საწარმოდან მომდინარეობას მიუთითებდეს. ფორმით ასევე ახლოსაა ჩვენს ბეჭდებთან ზღუდერში აღმოჩენილი ზოგიერთი ოქროს ბეჭედი.

[81] მცხეთა I, სურ. 136,8, 137,20 და სხვა.

[82] Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, ტაბ. LXXVI.

უნდა იყოს, ანტიკური ხანის გველისთავიანი სამაჯურები და გველის ეს მცირე გამოსახულებაც, რომელიც კომპლექსის მიხედვით ახ. წ. III ს. მიწურულით თარიღდება.

*
* *

თუ თვალს გადავავლებთ ამ ჩვენს მოკლე მსჯელობას ვერცხლის ნაკეთობათა შესახებ, ცხადი გახდება, რომ ახ. წ. პირველ საუკუნეებში ქართლის სამეფოში დიდი მოთხოვნილება ყოფილა ვერცხლეულზე. ამ მხრივ მაინც არისტოკრატიული ფენისადმი კუთვნილი სამარხები გამოირჩევა, სადაც ვერცხლს თითქმის გაბატონებული ადგილი უკავია. მაგრამ უახლესი მასალების გათვალისწინება გვარწმუნებს, რომ ასეთი მიდრეკილება და შესაძლებლობა არა მარტო სამეფო დედაქალაქის არისტოკრატიულ წრეებს გააჩნდათ, არამედ პროვინციელ მმართველებსაც და, საერთოდ, პროვინციაში მცხოვრებ შეძლებულ სოციალურ ფენას. ერწოს, ზღუდერის, ახალი ჟინვალის, ჟინვალისა და სხვა უახლესი მასალები ამის ნათელი დადასტურებაა.

მაგრამ, რაც არ უნდა მრავალრიცხოვანი შეიქნეს ჩვენი ტორევტიკული მონაპოვარი, მათი სწორი ანალიზი შეუძლებელი იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ იმ მძლავრ გავლენებს, რასაც მაშინდელი კულტურული სამყარო და მათ შორის საქართველოც განიცდიდა დასავლური (რომის მეთაურობით) და აღმოსავლური (ირანის თაოსნობით) კულტურებისაგან. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ენიჭება რომის იმპერიას, რომელიც ახ. წ. პირველ საუკუნეებში გვევლინება, როგორც კანონმდებელი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში[83].

მაგრამ საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო განიცდიდა არა მხოლოდ ელინისტურ-რომაული სამყაროს გავლენას, არამედ უზარმაზარი კულტურული ტრადიციების მქონე ირანის გავლენასაც, ირანისა, რომელიც თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებით უშუალოდ იყო დაკავშირებული კავკასიასთან.

მიუხედავად ასეთი მძლავრი ორმხრივი გავლენებისა, ისეთმა მცირე ქვეყანამ, როგორიც საქართველო იყო, მაინც მოახერხა საკუთარი კულტურული სახის შენარჩუნება, რასაც მრავალი ფაქტორი განაპირობებდა. ამ ფაქტორთაგან უმთავრესი მაინც იყო ის ძირძველი კულტურა, რომელიც შეიქმნა ქართველური ტომების წიაღში, და რომელიც დაფუძნებული იყო მყარ ეკონომიკურ ბაზისზე (სარწყავი მიწათმოქმედება, მრავალწლიანი კულტურები, მესაქონლეობა, მეტალურგია, ვაჭრობა). მეურნეობის მრავალი დარგიდან, რომელიც კავკასიაში უძველესი დროიდან დაწინაურდა, მელითონეობა მაინც განსაკუთრებით ახლობელი იყო ჩვენი წინაპრებისათვის. ლითონის ნაწარმსა და მელითონეობაში, საერთოდ, კარგად ჩანს ჩვენი წინაპრების პოტენციური შესაძლებლობები: მათი სულიერი სამყარო, მსოფლმხედველობა, გემოვნება, მდიდარი ფანტაზია და სწრაფვა სრულქმნილი მხატვრული აზროვნებისადმი. ამიტომაცაა, რომ საქართველომ ახ. წ. პირველ საუკუნეებში მაინც მოახერხა არა მარტო საკუთარი სახის შენარჩუნება, არამედ თვითმყობადი კულტურის მაგისტრალუ-

[83] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. К. Мачабели, Позднеантичная торевтика Грузии, გვ. 9—23.

რი ხაზის ისეთი განვითარებაც კი, რომლის ლოგიკური შედეგი შუა საუკუნეებში „ვეფხისტყაოსანი“ იყო.

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების წყალობით დაგროვდა უაღრესად მეტყველი მასალა, რომელიც შუქს ჰფენს როგორც საქართველოს ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს მეზობელ ქვეყნებთან, ასევე საკუთარი კულტურული განვითარების უმთავრეს თავისებურებებსაც.

გარდა იმისა, რომ იბერია უხვად მარაგდებოდა დასავლური თუ აღმოსავლური ხელოსნური ნაწარმით (ამის არა ერთი და ორი არქეოლოგიური ფაქტი გაგვაჩნია), სრულიად აშკარაა, რომ ადგილობრივი ხელოსნური წარმოება მდგარა საკმაოდ მაღალ დონეზე. ეს სახელოსნოები უნდა ყოფილიყო ის კერები, სადაც სხვადასხვა ლითონისა და მასალისაგან მზადდებოდა დიდძალი ყოფითი თუ რიტუალური საგნები, რომლებიც, აგრეთვე, მრავლადაა აღმოჩენილი არქეოლოგიური კვლევა-ძიებით. ქართულ ნიადაგზე განხორციელებულმა კულტურათა სინთეზმა სწორედ ამ სახელოსნოებში მოგვცა მატერიალური კულტურის ისეთი ძეგლები, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს ქართველი ხალხის წვლილად მსოფლიოს ხალხთა კულტურულ საგანძურში ახ. წ. პირველი საუკუნეებისათვის.

ამავე დროს ისიც აშკარაა, რომ ასეთი სახელოსნო ცენტრები არა ერთი უნდა ყოფილიყო მაშინდელ საქართველოში (ფაქტიურად, ყველა მნიშვნელოვან ქალაქში).

განსაკუთრებული აღმავლობა ხელოსნურ წარმოებას საქართველოში უნდა განეცადა ახ. წ. II—III სს., რასაც ხელს უწყობდა ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარება და ქართლის სამეფოს საგრძნობი გაძლიერება.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ფარსმან მეორის მმართველობის ხანა, რომელიც იმპერატორების — ადრიანესა (117—138) და ანტონიუს პიუსის (138—161) თანამედროვე იყო. ამ დროის იბერიის სამეფოში ხელოსნური წარმოებისა და ხელსაქმის მაღალ განვითარებაზე, სხვათა შორის, მიუთითებს რომაული წყაროებიც. კერძოდ, ამ მხრივ საყურადღებოა ცნობა, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ გაუგზავნა ძვირფასი საჩუქრები (რომაული მოსაკითხის პასუხად) ფარსმან მეორემ ადრიანეს. ამ საჩუქრებს შორის ყოფილა ოქროთი გაწყობილი 300 წამოსასხამიც[84].

ეჭვგარეშეა, რომ ფარსმანი საჩუქრებს რომაული წარმოშობის საგნებით არ შეადგენდა. იგი შეეცდებოდა, რომაელი იმპერატორის წინაშე თავი გამოეჩინა საკუთარი, იბერიისათვის დამახასიათებელი ნახელავით.

ასეთივე აღმავლობა სუფევდა იბერიაში თითქმის მთელი III ს. მანძილზედაც. ცნობილია, რომ პირველი სასანელი მმართველების ხანაში ქართლის სამეფო ახორციელებდა დამოუკიდებელ პოლიტიკას და იმ ზომამდე ძლიერად გრძნობდა თავს, რომ როდესაც შაპურ I-მა 262 წელს იბერთა მეფეს წერილი გაუგზავნა რომის იმპერატორ ვალერიანეს ტყვედ წაყვანის თაობაზე, მას არც კი მოუსურვებია ამ წერილის მიღება[85]. ირანელთა ექსპანსია კავკასიაში რეალურად იწყება III ს. 70-იანი წლებიდან.

---

[84] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, გვ. 529—531. ადრიანეს ბიოგრაფის ელიუს სპარტიანეს ცნობა ფარსმანთან ურთიერთობის შესახებ. იხ. ВДИ, 1957 წ., № 1 გვ. 257 და შემდ.

[85] В. Г. Луконин, Культура сасанидского Ирана, М., გვ. 50—51.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, III ს. იყო ქართლის სამეფოს განსაკუთრებული აღმავლობის ხანა. კერძო მიწისმფლობელობის ინსტიტუტის საბოლოო გამარჯვებამ (იგულისხმება ეკონომიურად მოწინავე რაიონები), ქვეყნის საერთო ეკონომიურმა დაწინაურებამ და ხელსაყრელმა საგარეო ვითარებამ, ხელი შეუწყო ქვეყნის სოციალურ და კულტურულ წინსვლას. ამის მეტყველი საბუთია არქეოლოგიური ძიებით მოპოვებული მრავალფეროვანი კომპლექსები, სადაც უცხოური ნაწარმის გვერდით უხვადაა წარმოდგენილი ადგილობრივი სახელოსნო კერიდან მომდინარე პროდუქციაც.

თუ ამ საერთო ფონზე თვალს გადავავლებთ ერწოს ველის გვიანარმაზული ხანის მასალებს, დავრწმუნდებით, რომ ადგილობრივ (პროვინციულ) მფლობელთა თუ მესვეურთა ყოფა და მისწრაფებები დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც ქართლის სამეფოს დედაქალაქის არისტოკრატიისა. თუ დაკრძალვის რიტუალი ერთგვარად მაინც ასახავს ყოველდღიურ ყოფას, უნდა ვივარაუდოთ, რომ ვერცხლის ნაკეთობით მოდური გატაცების ხანაში იბერიის პროვინციების შეძლებული სოციალური წრეები ელტვოდნენ სიმდიდრეს, ბრწყინვალებას და პომპეზურობას.

მაგრამ ეს მიდრეკილებები არა მარტო ვერცხლის ნაწარმის მიხედვითაა საცნაური, არამედ მატერიალური კულტურის სხვა მონაცემებითაც, რომელთა შორის არც თუ უკანასკნელი ადგილი უკავია ოქრომჭედლურ პროდუქციას.

4. ოქროს ნივთ-სამკაულები. ქუშანაანთგორის II სამაროვანზე ოქროს ნივთ-სამკაულები შედარებით ცოტაა მოპოვებული. ხუთი მდიდრული სამარხიდან, რომელიც ჩვენ შევისწავლეთ, მხოლოდ ერთი იყო ხელუხლებელი. ორი დაანგრიეს მიწის მხვნელებმა და გაურკვეველია იქ ოქროს სამკაულები იყო[86] თუ არა. ორი კი ძველადვე იყო გაძარცვული, ან დაზიანებული.

ოქროს ბეჭდები სულ 4 ცალია აღმოჩენილი: № 1 სამარხში ორი და თითო-თითო № 8 და № 10 სამარხებში (ფერადი ტაბ. I, ფერადი ტაბ. IV, სურ. 1). მოყვანილობით ეს ბეჭდები ერთიმეორისაგან საკმაოდ განსხვავდებიან, მაგრამ ყველა მათგანი მაინც სამკაულთა ერთ წრეში ერთიანდება, რომლებიც მცხეთის მაგალითის მიხედვით დამახასიათებელი იყო ახ. წ. II და უფრო კი III საუკუნისათვის[87], თუმც ამგვარი ბეჭდები არც IV საუკუნისათვისაა უცხო.

მაგალითად, დიდი ბეჭედი, მრგვალი რკალით, დიდი ოვალური ფარაკითა და თვალზე ამოკვეთილი მჯდომარე ზევსის გამოსახულებით, გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს არმაზისხევის № 2 სამარხში აღმოჩენილ ოქროს მრგვალრკალიან ბეჭედთან, რომელსაც რომბისებრი მოყვანილობის ფარაკი აქვს. რკალისა და ნაწილობრივ ფარაკის მოყვანილობით ქუშანაანთგორის II სამაროვნის პირველი სამარხის მრგვალრკალიანი ბეჭედი უფრო მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს ზღუდერისა და არაგვისპირის მასალებთან[88].

ზევსის გამოსახულებიან ბეჭედთან ერთად აღმოჩენილ მომცრო ბეჭედს, რომელსაც რამდენადმე დაწახნაგებული რკალი აქვს (ფერადი ტაბ. I), რკალის მოყვანილობით გარკვეული მსგავსება აქვს არმაზისხევის VI სამარხის ბეჭდებ-

---

[86] დანგრეულ ორ სამარხში (№ 2 და № 3) აღმოჩენილი კომპლექსების შედგენილობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შესაძლოა მათში ოქროს ნივთებიც ყოფილიყო.

[87] მცხეთა, 1, გვ. 43, ტაბ. XLVII, სურ. 136—4;

[88] გ. ნ ე მ ს ა ძ ე, დასახ. ნაშრ., ტაბ. IV, სურ. 4, 7.

თან[89], მაგრამ ზუსტად მისი შესატყვისი ნაკეთობა ჩვენთვის უცნობია. ოდნავ შემაღლებული ფარაკით თითქოს უფრო IV ს. ბეჭდებისაკენ იხრება.

ბ ე ჭ ე დ ი ს ა დ ა თ ვ ა ლ ი თ (სამარხი № 8, ტაბ. 54, ინვ. № 149) სტილისტურად აგრეთვე IV ს. „მხრებშემკულ“ ბეჭდებთან ამყღავნებს სიახლოვეს[90]. იგი სამკაულად გადაკეთებული ოქროს მონეტით (დიოკლეტიანე—284-305) III ს. მიწურულით ან IV ს. დამდეგით (პირველი ნახევრით?) თარიღდება.

ტიპოლოგიურად ასევე III ს. ბეჭედთა რიგში ექცევა № 10 სამარხში აღმოჩენილი ოდნავ მხრებამომჯდარი ბეჭედი ათინა ქალღმერთის გამოსახულებით (ფერადი, ტაბ. IV, სურ. 1, მარცხნივ ზევიდან მეორე), რომელიც ახლოსაა არმაზისხევის 3[91] და არაგვის პირის 13[92] სამარხების ბეჭდებთან.

ო ქ რ ო ს ს ა ყ უ რ ე, ორი წყვილია. ამათგან ერთი წყვილი პატარა, სადა რგოლებს წარმოადგენს (რიგით № 11, სამარხი: ფერადი ტაბ. IV, სურ.. 1) და მასალის საერთო დახასიათებისათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. რაც შეეხება საყურეების მეორე წყვილს (სამარხი № 1, ტაბ. 24), მათ გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლიათ კომპლექსის ხნოვანების დადგენის საქმეში. ესაა რგოლოვან-ღეროვანი საყურე[93], ოვალური (არაწესიერი) რკალით და შვეული ღეროთი, რომლის ბოლოც სხივანა ღერაკებითაა შემკული. ამ ღერაკებზე მძივები ან მარგალიტები უნდა ყოფილიყო ასხმული.

გარდა არმაზისხევის რიგითი სამარხებისა, ამ ტიპის საყურეები ცნობილია ზღუდერიდანაც[94] და ისინი შედარებით უფრო მოგვიანებით გავრცელებულ სამკაულებადაა მიჩნეული (III ს. ბოლო—IV ს.). ოქროს ნივთების ამ შედარებით უფრო მოკრძალებული კოლექციის მნიშვნელობა განუზომლად დიდია იმ გემების გამო, რომლებიც ზემოაღწერილ ბეჭდებს ამკობენ (მათ შესახებ ცალკე ვისაუბრებთ).

5. ბრინჯაოსა და რკინის ნივთ-სამკაულები. სამარხთა აღწერილობიდან ჩანდა, რომ გარდა ოქროსა და ვერცხლის ნივთებისა, საკმაო რაოდენობითაა აღმოჩენილი ბრინჯაოსა და რკინის ნივთ-სამკაულები, რომლებიც უმთავრესად რიგითი სამარხებიდან მომდინარეობენ, თუმც ბრინჯაოსაგან დამზადებული საგნები № 3 მდიდრულ სამარხშიც იყო აღმოჩენილი. ბრინჯაოს საგნებს შორის ჭარბობს აბზინდები, რგოლები და ორად გაკეცილი ვიწრო ფირფიტები, რომლებიც ქამრის ნაწილებად მიგვაჩნია, თუმც რგოლების ნაწილი შესაძლოა უშუალოდ ტანისამოსთან იყოს დაკავშირებული.

ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ა ბ ზ ი ნ დ ე ბ ი დ ა ნ ერთი, ყველაზე მოზრდილი (ინვ. № 106, ტაბ. 28, სურ. 2; ტაბ. 29, სურ. 2), მოყვანილობით წააგავს იმავე სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის დიდ აბზინდას, ოღონდ ღერძზე, რომელზედაც გამოდებულია აბზინდის ენა, შემორჩენილი არ არის ტყავის დამჭერი ორად გაკეცილი ფირფიტა. შესაძლებელია, ასეთი რამ აბზინდას არც ჰქონოდა და ტყავის ბოლოთი უშუალოდ იყო გამოდებული ღერძზე.

მსგავსი აბზინდები, მეტ-ნაკლები სიდიდის, ცნობილია ახ. წ. პირველი საუ-

---

[89] მცხეთა, I, სურ. 136, 15.

[90] მცხეთა, I, სურ. 136, 21, 22.

[91] მცხეთა, I, სურ. 136, 8.

[92] Р. Рамишвили, Новые открытия на новостройках Арагвского ущелья, КСИИ 151, М., 1977, ნახ. 5.

[93] მცხეთა, I, სურ. 138—8. აღმოჩენილია ორმოცდამეცხრე სამარხში.

[94] გ. ნ ე მ ს ა ძ ე. დასახ. ნაშრ., ტაბ. IV, სურ. 7.

კუნეების სამაროვნებიდან და კულტურული ფენებიდან, კერძოდ, კლდეეთის № 4 სამარხში საკმაოდ მრავლად იყო ბრინჯაოს აბზინდები, რომელთაგანაც ყველაზე მოზრდილი (დმ. 3,4 სმ) საკმაოდ ახლოა ჭუშანაანთგორის აბზინდასთან[95], მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ კლდეეთის აბზინდას აქვს გამოდებული ტყავის დამჭერი ორმაგი ფირფიტა, რაც ესოდენ დამახასიათებელია კლდეეთის სხვა აბზინდებისათვისაც.

ბრინჯაოს აბზინდებიდან ცალკეა გამოსაყოფი შედარებით მომცრო რკალის მქონე ცალები, რომლებსაც მოგრძო სწორკუთხა ორმაგი ფირფიტები აქვთ გამოდებული, ზუსტად ისე, როგორც ზემოაღწერილ ვერცხლის აბზინდებს.

გარდა მცხეთის, კლდეეთის, არაგვისპირისა და სხვა პუნქტებისა მსგავსი ბრინჯაოს აბზინდები ბევრია ნაპოვნი წებელდის სამაროვნებზეც. სადაც უმეტესობა ახ. წ. III—IV სს. კომპლექსებშია გაერთიანებული[96]. წებელდის მასალებში ასევე მრავლადაა წინგანხრილული დიდი აბზინდის მსგავსი ნაწარმიც[97].

ბრინჯაოს ყველაზე უფრო პატარა აბზინდები (ინვ. № 106, ტაბ. 28, სურ. 2) ფეხსაცმლისა უნდა იყოს ისევე, როგორც კლდეეთის მეოთხე სამარხშია დადასტურებული[98]. თუ გავითვალისწინებთ ახალი ჟინვალის მაგალითს, ასევე ფეხსაცმელთან (ყელიან უძიროებთან) უნდა იყოს დაკავშირებული ბრინჯაოს მოგრძო-ოვალური ყუნწიანი საგნებიც (ტაბ. 28, სურ. 2), რომლებიც, როგორც ჩანს, ფეხსამოსის ყელზე იყო ხოლმე მიმაგრებული (თითოზე თითო).

ქამართან და აბზინდებთან კავშირშია განსაზღვრული ბრინჯაოს რგოლების ნაწილიც, რომელთაგან ზოგი სრულიად სადაა (ინვ. № 107, 313 და სხვა. ტაბ. 28, სურ. 2, ტაბ. 29, სურ. 2), ხოლო ნაწილი შემკულია კენტი ან წყვილი შვერილებით, თანაც რამდენიმე რგოლზე ეს შვერილი ფრინველის თავკისერს გამოხატავს (ინვ. № 109, 312 და სხვ. ტაბ. 29, სურ. 2, ფერადი ტაბ. 8, სურ. 1). მსგავსი რგოლები აღმოჩენილია ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ახ. წ. III—IV სს. დათარიღებულ სამარხებში.

ბრინჯაოს ბეჭდები. 5 ცალია აღმოჩენილი, მათ შორის გამოიყოფა ორი ჯგუფი: პირველი დაბალ-ოვალური ბეჭდები მასიური, მხრებისაკენ გაგანიერებული რკალითა და განიერ ნაწილში გამოყვანილი თვალბუდით (ინვ. № 135, ტაბ. 33, სურ. 2 და № 309, ფერადი ტაბ. VI). ორივე ბეჭედს ჰქონია მინის ოვალური თვალი, აქედან მხოლოდ ერთია შემონახული (309) და, ისიც ამოვარდნილია ბუდიდან. მასზე შეიმჩნევა რაღაც მკრთალი გამოსახულება.

მოყვანილობით ბრინჯაოს ბეჭდებს ბევრი აქვთ საერთო ოქროსა და ვერცხლის იმ ბეჭდებთან, რომლებიც დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი მცხეთის[99], ურბნისის[100], არაგვისპირის, კლდეეთისა[101] და სხვა სამაროვნებზე. ჭუშანაანთგორაზე აღმოჩენილი თვალბუდიანი ბეჭდები დამზადებულია ჩამოსხ-

---

[95] გ. ლომთათიძე. კლდეეთის სამაროვანი, გვ. 148.

[96] М. М. Трапш, Труды, III, Тб., 1971. გვ. 164, 169. ტაბ. I. 4. ტაბ. XXIX, 4 და სხვა.

[97] იქვე, ტაბ. XXV, 5; XXX, 7 და სხვა.

[98] გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 146 (ინვ. №96). ასეთივე აბზინდები ცნობილია სამთავროდანაც. იხ. ო. ტუეშელაშვილი, ადრეფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები სამთავროს სამაროვნიდან, სსმმ. XIX—ნ, თბ., 1956, გვ. 272.

[99] მცხეთა, I, სურ. 136; ო. ტუეშელაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 273.

[100] ლ. ჰილაშვილი, დასახ. ნაშრომი, სურ. 34.

[101] გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 41—42, ტაბ. I, 1 და ტაბ. XVI, 1.

მის წესით, ყალიბით. სამარხეული კომპლექსებისა და შესადარებელი მასალის მიხედვით ბრინჯაოს ბეჭდების ეს მცირე ჯგუფი ახ. წ. III—IV სს. თარიღდება.

რაც შეეხება ბრინჯაოს ბეჭდების მეორე ჯგუფს, მათ ახასიათებთ წვრილ-ღეროიანი, მხრებისკენ ოდნავ გაგანიერებული რკალი და ბრტყელი ფარაკი. ეს ბეჭდები, ალბათ, ითვლებოდა ყველაზე იაფფასიან და მოსახლეობის დაბალი ფენებისათვის ხელმისაწვდომ სამკაულად.

გაცილებით უფრო საინტერესოა ბრინჯაოს საყურეები. მართალია, აქაც სულ 5 წყვილი საყურეა წარმოდგენილი, მაგრამ მათ შორის გამოიყოფა ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავებული სამი ტიპის საყურე, რომლებსაც ბევრი რამ აქვთ საერთო სინქრონული სამაროვნებიდან მომდინარე მასალებთან. მათ შორის ორი წყვილი „წიწიბოსებრი“ საყურეების ჯგუფს განეკუთვნება (სამარხები 4 ა და 4. ტაბ. 32 და 33). ჩვენ ზუსტად ამგვარი ოქროს საყურეების შესახებ უკვე გვქონდა საუბარი და მათ თარიღზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ოღონდ აღვნიშნავთ, რომ იგი ფრიად ორიგინალურ და ქართული სამაყაროსათვის დამახასიათებელ სამკაულად გვევლინება, რომელსაც შესატყვისები ჯერ-ჯერობით მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში მოეძებნება.

რაც შეეხება „ყურძნის მტევნისებრ“ საყურეებს, იგი მხოლოდ ერთი წყვილითაა წარმოდგენილი. სამკაულის ეს ტიპიც ჩვენში ფართოდ ყოფილა გავრცელებული გვიანანტიკური ხანისათვის. ამგვარი საყურეები უკეთებიათ როგორც ოქროსაგან, ასევე ბრინჯაოსაგანაც. ოქროს ასეთი საყურეები ცნობილია კლდეეთიდან[102], მცხეთა-სამთავროდან[103], ბორიდან[104] და სხვა. მათ ფართო გავრცელებაზე მიუთითებს ის, რომ როგორც მდიდრული, ასევე რიგით სამარხებში ბრინჯაოსაგან ნაკეთები მტევნისებრი საყურეები კიდევ უფრო მეტია აღმოჩენილი, ვიდრე ოქროსი. მაგალითად, იმავე კლდეეთიდან ბრინჯაოს მტევნისებრი საყურე 7 ცალია ცნობილი[105]. მსგავსი სამკაული აგრეთვე ნაპოვნია შიდაქართლში[106], მცხეთაში, ბორში[107], ჩრდილოეთ ოსეთში[108] და სხვა. ამ საყურეების გავრცელების ძირითადი ხანა ახ. წ. II—IV სს. მოდის. ჭუშანაანთგორის № 5 სამარხში მოპოვებული მტევნისებრი საყურე თარიღდება III საუკუნით.

საყურეების მესამე ტიპი, რომლებიც ოვალურადაა მორკალული და გადახვეული თავები აქვთ, იშვიათობას წარმოადგენს (№ 4 სამარხში ორი წყვილია წარმოდგენილი). ჩვენთვის ცნობილ მასალებში მათი შესატყვისები არ გვეგულება, მაგრამ თანმხლები მასალის მიხედვით (ტაბ. 32) ოვალური საყურეები III ს. მეორე ნახევრით თარიღდება.

ბრინჯაოს ზარაკები. მხოლოდ ერთ (№ 15) სამარხში აღმოჩნდა სამი ცალი. მათ შორის ორი დაფანჯრული კორპუსითაა (სამკუთხა „ფანჯრები“

---

[102] ნიჩბისის ოქროს საყურეები აღმოჩნდა შემთხვევით 1957 წელს. დაცულია ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

[103] აღმოჩნდა სამთავროს სამხრეთ უბნის № 148 სამარხში 1939 წელს. მას გ. ლომთათიძე ათარიღებს II საუკუნით. იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

[104] Е. Придик, დასახ. ნაშრ. ტაბ. II, სურ. 2.

[105] გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. IX, 2.

[106] Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию, 1949, Тб. გვ. 25. ტაბ. VI, 1. გარდა სოფ. ჯრიასა, ასეთი საყურე აღმოჩენილია სოფ. დირგინშიც (ОАК, 1890, გვ. 109, სურ. 46).

[107] Е. Придик, დასახ. ნაშრ., გვ. 105, № 35, ტაბ. VI, 21 და 23.

[108] П. Уварова, Могильники Северного Кавказа, МАК VIII, 1900, ტაბ. V.

ერთ შემთხვევაში ორმწკრივიანია, ერთში კი ერთმწკრივიანი), ერთი — დაუფანჯრავი უნდა ყოფილიყო (დაზიანებულია). მსგავსი ზარაკები აგრეთვე ფართოდ ყოფილა გავრცელებული ჩვ. წ. პირველ საუკუნეებში.

კლდეეთის[109], დიღმის[110], ბორისა[111] და სხვა პარალელური მასალების მიხედვით, კონუსურტანიანი სამკუთხა ფანჯრებით შემკული ზარაკები თარიღდება II—III სს. ქუშანაანთგორის № 15 სამარხში მოპოვებული ზარაკები უფრო III ს. განეკუთვნება.

დაუფანჯრავი ზარაკები, აგრეთვე კონუსური მოყვანილობისა, საკმაოდ მრავალია კლდეეთის მასალებშიც[112].

ზარაკები როგორც საქართველოში, ასევე მთელ კავკასიაში საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული უფრო ადრეც, მაგრამ მათ განსხვავებული მოყვანილობა ჰქონდათ (ცილინდრული კორპუსი და შეჭრილი გვერდი)[113]. აქემენიდურ ხანაში ცილინდრული გვერდშეჭრილი ზარაკებისა და ზარების გვერდით ჩნდება კონუსური, დაფანჯრული ზარაკებიც. მაგალითად, ყაზბეგის განძში ერთი ცალია დადასტურებული, ხოლო ახალგორის მასალებში — რამდენიმე ცალი[114]. ელინისტური ხანის დამლევიდან ცილინდრული ზარაკები თანდათანობით მცირდება და ბატონდება კონუსური და დაფანჯრული ზარაკები. ამიტომაც, გვიანანტიკურ ხანაში მხოლოდ კონუსური ზარაკები ჩანს ხმარებაში, რომელთა დიდი ნაწილი დაფანჯრულია, ხოლო ნაწილს მთლიანი კონუსი აქვს.

გვიანარმაზულ ხანაში, ისევე როგორც წინამორბედ პერიოდში, ამ ზარაკებს ერთი და იგივე დანიშნულება უნდა ჰქონოდათ. მათ, უეჭველია, იყენებდნენ რიტუალური პროცესებისა და დღესასწაულების დროს, რასაც სრულიად აშკარად მიუთითებს ყაზბეგის, ახალგორისა და სხვა მასალები. რიტუალურ-სადღესასწაულო პროცესებში ასე ფართოდ ხმარებული ზარები და ზარაკები, სრულიად ბუნებრივია, გამოეყენებინათ დაკრძალვის დროსაც[115]. საყურადღებოა, რომ, მსგავსად წინამორბედი პერიოდებისა, ზოგჯერ ეს ზარაკები გარკვეულ კომპლექსებად ჩნდება ხოლმე გვიანანტიკური ხანის სამარხებშიც, რაც ძველ ტრადიციათა უწყვეტობაზე მიუთითებს. მაგალითად, კლდეეთში დაფანჯრულგვერდებიანი ოთხი ზარაკი ირმის ქანდაკებასთან ერთად იქნა ნაპოვნი[116]. როგორც ჩანს, ქრისტიანობის ოფიციალურ აღიარებამდე რიტუალურ-მაგიური დანიშნულების კომპლექსები (დროშები, შტანდარტები თუ სხვა), თავისი ზარ-ზანზალაკებით უაღრესად ფართოდ იყო გავრცელებული მთელს კავკასიაში, რაზედაც მიუთითებს კლდეეთის და ქუშანაანთგორის სინქრონული ზარაკების და ქანდაკებების აღმოჩენა როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში[117], ასევე სომხეთის ტერიტორიაზეც[118].

---

[109] გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 81—84.

[110] ს. მაკალათია, 1920—24 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის. სსმმ. IV, თბ., 1928, 171—172. ტაბ. VIII, სურ. 19.

[111] Е. Придик, დასახ. ნაშრ., ტაბ. V.

[112] გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. IX, 1 და ტაბ. X.

[113] ადრეულ ზარაკებთან დაკავშირებით იხ. ლ. წითლანაძე, ხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ. 1976. გვ. 27—33. ტაბ. V-VI. იქვე საჭიროდ ბიბლიოგრაფიაც.

[114] Я. И. Смирнов, Археологический клад, 1934, М., გვ. 57, სურ. 89, 90.

[115] ლ. წითლანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

[116] გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 78—79.

[117] МАК, VIII, ტაბ. XI, 4, 5; ტაბ. XXXV, 11, CV, 8. 9; CXXII, 4 და სხვა.

[118] Ж. Д. Хачатрян, Гарни, V, გვ. 40, სურ. 16—1. საყურადღებოა, რომ გარნისში

6. მძივები და მძივსაკიდები. ქუშანაანთგორის II სამაროვანზე (როგორც გვიანარმაზული ხანის ყველა სამაროვანზე) მრავლად აღმოჩნდა მძივები, რომლებიც გამოირჩევიან ფორმებისა და მასალის მრავალფეროვნებით.

პირველ რიგში აღსანიშნავია გიშრის მძივთა სიმრავლე. იგი გვხვდება როგორც მდიდრულ, ასევე რიგით სამარხებში, მაგრამ მდიდრული სამარხების კომპლექსში გაერთიანებული გიშრის მძივები გამოირჩევა ფორმათა სინატიფით და შესრულების მაღალი ხელოვნებით. მაგალითად, № 1 სამარხში გვაქვს მოგრძო სწორკუთხა და ტრაპეციისებრი მძივები, რომლებიც ცალი მხრიდან შემკულია ორნამენტით (ტაბ. 24, სურ. 1; ფერადი ტაბ. I). გიშერი, როგორც ადგილობრივი მასალა და შედარებით ხელმისაწვდომი, ეტყობა ძალზე პოპულარული იყო ქართლის სამეფოს მოსახლეობაში, ამიტომაც გიშრისაგან ნაკეთები მძივები გამოირჩევა ფორმათა მრავალფეროვნებით. ქუშანაანთგორის სამარხებში ჩნდება სფერული, სფერულ-ცილინდრული, ე. წ. „ნაპობი", მოგრძო ცრემლისებრი და სხვა მოყვანილობის გიშრის მძივები, რომლებსაც მრავალი შესატყვისი მოეძებნებათ გვიანარმაზული ხანის არაერთ სამაროვანზე (ზემო ავჭალა, მცხეთა, არაგვისპირი, ჟინვალი, ახალი ჟინვალი და სხვა).

არანაკლებ საყურადღებოა ქარვის მძივებიც, რომლებიც მაინცდამაინც ნატიფი ფორმით არ გამოირჩევიან (მომრგვალო, ცილინდრული, „ნაპობი" და სხვა). ქარვის მძივები გვიანანტიკური ხანის საქართველოში აგრეთვე დიდად დაფასებული ყოფილა, რაზედაც მიუთითებს მათი ფართო გავრცელება კლდეეთის, ზღუდერის, მცხეთის, არაგვის ხეობისა და სხვა სამაროვნებზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ქარვის ძირითადი მომწოდებელი იყო ბალტიისპირეთი და რომ ნედლი მასალა თუ მზა მძივები ჩვენში ჩრდილოეთის გზებით შემოდიოდა. ქარვის მძივები სწორედ ამ ძველი გზების გასწვრივ მდებარე ნამოსახლარებში უფრო მეტია აღმოჩენილი.

ქუშანაანთგორის II სამაროვანზე მრავლადაა მინის მძივებიც, რომელთა შორის გამოიყოფა მრავალფრად ინკრუსტირებული ცალები. მსგავსი მძივები ბევრია ცნობილი მთელს კავკასიაში. № 9 სამარხში (ფერადი ტაბ. VIII, სურ. 1) მოპოვებული ერთი „ხალიჩისებრი" მძივი თითქმის ზუსტი ანალოგიაა კლდეეთის მოზაიკური მძივებისა[119].

ქუშანაანთგორის სამაროვანზე, გარდა ზემოჩამოთვლილისა, გვხვდება სარდიონისა და ქალცედონის მძივებიც. ამათ შორის ყველაზე უფრო მსხვილებია მოთეთრო-რძისფერი ქალცედონის მძივები (მაგ., სამარხი № 5, ფერადი ტაბ. VII), რომლებსაც განსაკუთრებული მოწონება გვიანარმაზულ ხანში ჰქონია.

№ 4ა სამარხში მინის მძივებს შორის აღმოჩნდა ლურჯი მინის კვირისტავისებრი ნაკეთობა, ოღონდ ჩვეულებრივ კვირისტავზე რამდენადმე უფრო მომცრო ზომისა, რომლის ამობურცული პირი შემკულია წრიულ-სპირალური თეთრი ინკრუსტირებული ზოლით (ტაბ. 33, სურ. 1). ს. მაკალათია ასეთ საგნებს

აღმოჩენილ ირმის ქანდაკებას ფეხები საკიდ რგოლებად აქვს გადაკეთებული, რომლებზედაც ჩამოკიდებული უნდა ყოფილიყო იქვე ნაპოვნი დაფანჯრული ოთხი ზარაკი. მთელი ეს კომპლექსი ძალიან გავს კლეეთში აღმოჩენილ ზანზალაკებიან ირმის ქანდაკებას. ამ ფაქტში კარგად ჩანს, თუ სომხურმა მოსახლეობამ როგორც შეითვისა და „გაითავისა" კავკასიის უძველესი მოსახლეობისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი რიტუალური ჩვევა, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო მხოლოდ კავკასიის აბორიგენთათვის.

[119] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, კლდეეთის სამაროვანი, ტაბ. III.

მძივებს შორის განიხილავს (ალბათ, იმის გამო, რომ ისინი ჩვეულებრივ მძივებს შორის გვხვდება ხოლმე)[120], თუმც ამ ბოლო დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული „კვირისტავები“ მძივებს შორის კი არ არის გასაერთიანებელი, არამედ საკინძის თავებს წარმოადგენენ[121]. ქუშანაანთგორის მონაცემების მიხედვით, ჩვენ გვიჭირს ამ მოსაზრებისადმი მხარის დაჭერა თუნდა იმის გამო, რომ საკინძის ღერო არ აღმოჩენილა, ხოლო თვით ეს „კვირისტავი“ მძივებს შორისაა ნაპოვნი.

რ კ ი ნ ი ს ნ ი ვ თ ე ბ ი. ქუშანაანთგორის II სამაროვანზე რკინისაგან დამზადებული ნივთები ყველაზე უფრო მცირერიცხოვანია. სულ ნაპოვნია შვიდიოდე ნივთი, რომელთაგან სამი დანისპირია (ორმო № 4. ინვ. № 328, და სამარხი № 7. ინვ. № 148.) მიუხედავად რკინის ცუდი დაცულობისა, მაინც ჩანს, რომ ესენია ცალპირა, მოხრილი დანები, რომლებიც მეტად დამახასიათებელი იყო მთელი ანტიკური ხანისათვის.

რკინის აბზინდა ერთადერთია — დაახლოებით ბრინჯაოს დიდი აბზინდის ტიპისა (ინვ. № 138, ტაბ. 33, სურ. 2). იმავე № 5 სამარხში, სადაც აღმოჩნდა რკინის აბზინდა, იყო რკინის ბეჭდის ნაშთიც (ფარაკის ნაწილი გემიანი თვალით), რაც იმას მიუთითებს, რომ ჩვ. წ. პირველი საუკუნეების ერწოს მოსახლეობა რკინის ბეჭდებსაც ატარებდა. გაურკვეველი დანიშნულების რკინის ღეროს ნატეხები აღმოჩნდა № 1 მდიდრულ სამარხშიც.

8. ჭრილა ქვები. ქუშანაანთგორის II სამაროვანზე სულ 7 ჭრილა ქვაა აღმოჩენილი, შვიდივე ბეჭდის თვალია და, როგორც სამარხთა აღწერილობიდან ჩანდა, სულ სხვადასხვა სიუჟეტებითაა შემკული. ამათგან, მხოლოდ ერთი გამოსახულება არ იკითხება[122], დანარჩენი ექვსი გემის შინაარსი კი მეტნაკლებად გარკვეულია.

ერწოს ჭრილა ქვების დასამზადებლად გამოყენებულია სარდიონი (სამ შემთხვევაში), საფირონი, იასპი და გრანატი. ამ ქვებს შორის ახ. წ. პირველი საუკუნეების საქართველოში ყველაზე უფრო გავრცელებული იყო სარდიონი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, სარდიონზე ამოჭრილი გემები ჩვენში ძვ. წ. IV საუკუნიდან ჩნდება და გვიანფეოდალურ ხანამდე განაგრძობს არსებობას[123].

დიდად გავრცელებული ჩანს წინაქრისტიანული ხანის საქართველოში გრანატიც. ეს ძვირფასი ქვა გამოყენებული ყოფილა არა მარტო გემების ამოსაკვეთად, არამედ ოქროს სხვადასხვაგვარი სამკაულების შესამკობადაც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში გრანატი (თავისი სახესხვაობით) ძვირადღირებული სამკაულების დასამშვენებლად ყველაზე უფრო სასურველი მასალა ყოფილა ახ. წ. პირველ საუკუნეებში. ამასთანავე, თუ სარდიონი თითქმის ყველა სოციალური ფენისათვის ასე თუ ისე ხელმისაწვდომი იყო, გრანატი მხოლოდ უმაღლესი სოციალური წრის სამკაულებისათვისაა დამახასიათებელი[124].

---

[120] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, დასახ. ნაშრ. გვ. 171. ტაბ. VIII, 1—4.

[121] მ. ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, საკინძის თავების ერთი სახეობის შესახებ, „ძეგლის მეგობარი“, № 42.

[122] სამარხი № 13. ინვ. № 309. ფარაკიდან ამოვარდნილი თვალი მინისაა, ეტყობა მიღებულია ჩამოსხმის წესით. სიუჟეტი სრულიად გაურკვეველია.

[123] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, საქართველოს სახ. მუზეუმის გემები, II, თბ. 1958, გვ. 15.

[124] გვიანანტიკური ხანის ქართულ ოქრომჭედლურ ნაწარმს გრანატისა და ფირუზის თვლების თუ ფირფიტების ინკრუსტაცია მეტად თავისებურ ორიგინალურ იერს სძენს. ასეთი სინთეზი ადგილობრივი საოქრომჭედლო სკოლის დამახასიათებელი თვისებაა.

რაც შეეხება იასპს, ვარაუდობენ, რომ ამ ქვისაგან დამზადებული გემები ჩვენში ახ. წ. III საუკუნიდან შემოდის[125].

შედარებით უფრო იშვიათად გავრცელებულ ძვირფას ქვათა რიცხვს საქართველოში მიეკუთვნება საფირონი. ერწოს ბრწყინვალე გემა, რომელიც III ს. ტიპიურ ბეჭედშია ჩასმული და რომელზედაც მჯდომარე ზევსია გამოსახული — საფირონისაა. საგულისხმოა, რომ საფირონისგან დამზადებულ ამ ორად-ორ გემაზე, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლექციაშია დაცული, აგრეთვე ზევსია გამოსახული, ერთგან — მჯდომარე, თასით ხელში[126], ხოლო მეორეგან — ფეხზე მდგომი[127].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში აღმოჩენილ გემებს შორის ზევსის არა ერთი გამოსახულებაა ცნობილი[128], შეიძლება ითქვას, რომ ქუშანაანთგორის II სამაროვანზე აღმოჩენილი ზევსის გამოსახულება ზოგიერთი დეტალითა და აგრეთვე შესრულების დონით განცალკევებით დგას. კერძოდ, ერწოს მონაპოვარი პირველი უნდა იყოს ჩვენში, სადაც ზევსის მარჯვენა ხელის გულზე დგას ნიკე გვირგვინითა და პალმის ტოტით. მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ხსენებულ გემაზე რომაული სამყაროს გლიპტიკაში ახ. წ. II—III სს. გავრცელებული ზევსის სახეა წარმოსახული[129]. ერწოს გემაზე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქვაზე კვეთის მაღალი კულტურა, ოსტატის დახვეწილი ხელი, თვით გამოსახულების შესრულების მხატვრული დონე. იმ დროს, როდესაც საკუთრივ რომსა და მეტროპოლიაში ქვაზე კვეთის ხელოვნება ერთგვარ დეკადანსს განიცდიდა, „პროვინციულ“ ცენტრებში იფეთქა აღმავლობის ახალმა ტალღამ და III საუკუნეში ასეთი მაღალხარისხოვანი ქვაზეკვეთილობის გაჩენაც შესაძლოა ამ პერიფერიული „რენესანსის“ ნაყოფი იყოს. მაგრამ, თუ თვით ბეჭდის მოყვანილობისა და შესრულების მანერის მიხედვით ვიმსჯელებთ, იქნებ ისიც არ იყოს გამორიცხული, რომ ამ გემის ადგილობრივი წარმოებაც ვიგულისხმოთ. მცხეთის ხელოსანთა შორის სრულიად ადვილი მოსალოდნელია ეცხოვრა უკვე გამოცდილ და „მაღალ დონეზე“ მოაზროვნე ისეთ მოხეტიალე ხელოსანს, რომელიც რომაული გლიპტიკის მოწინავე გამოცდილებაზე იქნებოდა აღზრდილი. ასეთი მოარული ხელოსნები ძველმა სამყარომ არა ერთი და ორი იცის[130].

ერწოს ქუშანაანთგორის სამაროვანზე დაკრძალულთა შორის თავისი სიმდიდრითა და შემადგენლობით № 1 სამარხი რომ საგანგებო ყურადღებას იქცევს, ჩვენ ამაზე უკვე გავამახვილეთ ყურადღება. თუ სამარხის სოციალური

---

[125] მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 15; ქუშანაანთგორის აღმოჩენამ ამ დებულების სისწორე ერთხელ კიდევ ცხადყო.

[126] მ. ლორთქიფანიძე, საქ. სახ. მუზეუმის გემები, IV, თბ. 1967, გვ. 27, № 24.

[127] იქვე გვ. 43., № 47 ტბ. IV.

[128] იქვე გვ. 26—31. №№ 23, 24. № 27, 28, 29.

[129] მ. ლორთქიფანიძე, კახეთში აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები და საბეჭდავები, ხელნაბეჭდი (1968), გვ. 52. აქვე გამოთქმულია ვარაუდი, რომ, შესაძლოა, ინტალიო ზევსის გამოსახულებით, რომელიმე მცირეაზიული სახელოსნოდან მომდინარეობდეს. ზევსის გამოსახულებიან გემებთან დაკავშირებით იხ. Catalogue of the Engroveg Gems and Cameos Greck. Etrusscan and Roman in the British Museum. By H. B. Walters, London, 1926, ტაბ. XVIII, 1244, 1245, 1246 და სხვა.

[130] შეიძლება ისიც კი ვიფიქროთ, რომ, მცირეაზიულ თუ სხვა რომელიმე მოწინავე „გლიპტიკურ კერაში“ დამზადებული თვალი ვაჭრობის გზით შემოვიდა ქართლში და აქ ადგილობრივმა ხელოსანმა გაუკეთა სათანადო თვალბუდე და რკალი.

კუთვნილება სწორად გვაქვს განსაზღვრული და თუ სამარხში დაკრძალული ჩვენ მიგვაჩნია ერისთავის რანგის ადამიანად, მაშინ, ბუნებრივია, აქ განხილული ორი ბეჭდიდან დიდი, ინტალიოზე ზევსის გამოსახულებით, მივიჩნიოთ ამ ერწოელი დიდებულის პირად საბეჭდავ ბეჭდად, მის ინსიგნიად. ასეთი ბეჭდები არა ერთია ცნობილი არმაზისხევის ერისთავთა ნეკროპოლიდან. როგორც ჩანს, პირადი საბეჭდავი ბეჭდების სამარხში ჩატანება გვიანარმაზული ხანისათვის ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა.

მდიდრულ სამარხში, სადაც ზევსის გამოსახულებიანი ბეჭედია აღმოჩენილი, იყო მეორე — ქრისტიანულ მონოგრამიანი ინტალიოც, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ძველი ჭრილქვათაგანია ქრისტეს სახელით. აღნიშნული ინტალიო და ბეჭედი მ. ლორთქიფანიძეს შემოტანილად მიაჩნია[131], თუმც ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება, თუ რომელი სახელოსნო ცენტრიდან მომდინარეობს იგი.

ერწოს მონაპოვარი კიდევ ერთი მეტყველი საბუთია იმისა, თუ ქრისტიანულ იდეოლოგიას როგორი ფართო აღიარება ჰქონია ჯერ კიდევ მის ოფიციალურ გავრცელებამდე. ამასვე მეტყველებს ნასტაკისის ახალი მონაპოვარიც, სადაც III ს. დასასრულისა და IV ს. დამდეგის სამოსახლო კვარტალში ქრისტიანული ეკლესიის ნაშთებიც კი იქნა მიკვლეული[132]. მაგრამ ერწოს მონაპოვარი მაინც იმითაა საყურადღებო, რომ ამ ახალ „ქრისტიანულ“ მოძრაობაში მოსახლეობის ფართო მასებთან ერთად არისტოკრატიული წარმოშობის გარკვეული ნაწილიც ყოფილა ჩართული. როგორც ჩანს, ასეთმა ხელსაყრელმა ვითარებამ მირიან მეფეს საგრძნობლად გაუადვილა იმ უდიდესი რეფორმის განხორციელება, რასაც ახალი იდეოლოგიის აღიარება მოჰყვა. ქართლის მეფეს, ჩანს, ყველა სოციალურ ფენაში ჰქონია სათანადო საყრდენი.

გარკვეული ინტერესის აღმძვრელია №3 მდიდრულ სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ბეჭდის ჭრილა ქვა დიონისეს გამოსახულებით (ინვ. 98, ტაბ. 43, სურ. 3), რომელიც საკმაოდ იშვიათია საქართველოში. საქართველოს გლიპტიკურ კოლექციაში დიონისეს გამოსახულებით მხოლოდ ერთი ჭრილა ქვაა ცნობილი[133], იკონოგრაფიულად ჩვენს ინტალიოსთან უფრო ახლო დგას ურბნისის 234-ე სამარხში მიკვლეული ამეთვისტოს ჭრილა ქვა, რომელზედაც გამოსახულია დიონისე მოკლე ქლამიდით და თავზე დიადემით. იგი მარცხენათი ეყრდნობა კვერთხს, ხოლო მარჯვენაში კანთაროსი უჭირავს[134]. ურბნისის ინტალიო დათარიღებულია II ს. მაშინ, როდესაც ერწოს ჭრილა ქვა III ს. მიწურულისაა.

ჭრილა ქვები არწივის გამოსახულებით (ინვ. № 118, ტაბ. 32, სურ. 3) საქართველოსა და კავკასიაში შედარებით მრავლადაა. მკვლევართა ერთსულოვანი აღიარებით, იგი ჩნდება ყველგან, სადაც რომაულ ლეგიონებს შეუღწევიათ. მ. მაქსიმოვას ვარაუდით, ფრთაგაშლილი არწივი ნისკარტში გვირგვინით გამოხატავდა რომაული იარაღის სიძლიერეს. ამასთან, იგი მიჩნეული იყო კე-

---

131 მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 57.

132 ალ. ბოხოჩაძე, ჯ. ამირანაშვილი, გ. მირცხულავა, ც. ჩიქოიძე, ი. ცუხიშვილი, ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია და დაზვერვები მცხეთის რაიონში. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს. თბ. 1973 გვ. 57—77.

133 მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახ. მუზეუმის გემები, IV, გვ. 62.

134 ქ. ჯავახიშვილი, ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბ. 1972, გვ. 50. ტაბ. IV, სურ. 63.

თიღდღეობისა და მშვიდობის სიმბოლოდ[135]. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებენ მ. ლორთქიფანიძე და ქ. ჯავახიშვილიც. ურბნისის არწივიანი ბეჭდები II ს. დათარიღებული. ქუშანაანთგორის ჭრილა ქვა კი III ს. მეორე ნახევრისაა. იგი ჩვენ საქართველოში ვაჭრობის გზით მიგვაჩნია შემოტანილი. საყურადღებოა ამ ბეჭდის რიგით სამარხში აღმოჩენაც.



სურ. 15. ათინა ქალღმერთის გამოსახულება ოქროს ბეჭდის თვალზე, სამარხი 10, გადიდებული 8-ჯერ.

აგრეთვე რიგით სამარხშია აღმოჩენილი გემა, დემეტრას გამოსახულებით (სამარხი № 5, ინვ. № 137, ტაბ. 43, სურ. 2), რომელიც რკინის ბეჭედში ყოფილა ჩასმული. მსგავსი ჭრილა ქვები ჩვენში აგრეთვე ცოტაა ცნობილი. შესადარებლად საინტერესოა ურბნისის მონაპოვარი, რომელიც II ს. დათარიღებული[136].

